

1026 / 3  
1988

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ჩვესთავენი



„მეცნიერება“


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და  
ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
საქართველოს არქეოლოგიური კომისია

# რუსთაში

არქეოლოგიური  
გამოსწავლა  
1946-1965





წინამდებარე კრებული ეძღვნება შუა საუკუნეთა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქისა და კულტურული ცენტრის კახეთის რუსთავის არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს.

რუსთავში მოპოვებულ მასალას დიდი მნიშვნელობა ენიჭება შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიის შესწავლის საქმეში. კრებულში „რუსთავი“ შეტანილია რუსთავის პირველი გამთხრებების მ. ივანიშვილისა და გ. ლომთაძის შემაჯამებელი ნაშრომები. მასში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის ძეგლები: სამაროვანი, საფორტიფიკაციო, სოციალური და სამეურნეო ნაგებობანი.

კრებულში პირველად ქვეყნდება რუსთავში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიდი უმრავლესობა და მათი კვლევის შედეგები, რის გამოც მათ სათანადო შეცნეობა ენიჭება.

რუსთავის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1972 წ. განაახლა მუშაობა, რომლის შედეგების გამოქვეყნება განზრახულია მომდევნო ტომებში.

კრებული უხვადაა ილუსტრირებული; იგი გამიზნულია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველთა საზოგადოებისათვის.

В данном сборнике представлены результаты археологических исследований одного из древнейших городов и культурных центров средневековой Грузии — Кухтского Рустави.

Обнаруженный в Рустави археологический материал имеет важное значение для изучения политической, экономической и культурной истории Грузии в средневековый период.

В сборник «Рустави» внесены сводные труды первых исследователей г. Рустави М. М. Иващенко и Г. А. Ломтадзе. В нем представлены археологические памятники разного характера: могильники, фортификационные, жилищные и хозяйственные сооружения.

В сборнике впервые публикуется большая часть археологического материала, добытого в Рустави, и итоги исследования, поэтому им придается важное научное значение.

Руставская археологическая экспедиция в 1972 году возобновила работу, результаты которой будут опубликованы в последующих томах.

Данный сборник богато иллюстрирован и предназначен для специалистов, а также для широкого круга читателей.

რედაქტორი ისტ. მეცნ. კანდ. ც. ჩიკოტიძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტ. რ. რამიშვილი  
ისტ. მეცნ. კანდ. გ. ტყეშელაშვილი

საქ. ს. მარქსის  
სახ. საუბ. ოფისი  
ბინა

სსსრ-2000  
შეგორვა

### წიხასიტყვაობა

შუა საუკუნეთა ქალაქების ისტორიის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის, კუხეთის რუსთავის არქეოლოგიურ კვლევას.

რუსთავის არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო 1944 წელს სოციალისტური ქალაქის მშენებლობის პარალელურად, როდესაც მიწის სამუშაოების შესრულების დროს გამოჩნებულა საინტერესო არქეოლოგიური ძეგლები.

1944—48 წლებში აქ მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარეს მ. ივანიშვილმა და ნ. ლომთათიძემ.

1949 წლიდან დაიწყო და 1951 წლამდე გაგრძელდა რუსთავის ნაქალაქარის გეგმავითი არქეოლოგიური გათხრა. შეიქმნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია ცნობილი არქეოლოგის გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში რუსთავის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ექსპედიციამ შეისწავლა ნამოსახლარები და სამაროვნები, შექმნა სტრატეგრაფიული შკალა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება.

1959 წელს განახლდა დროებით შეწყვეტილი ექსპედიცია და დაიწყო რუსთავის ციხისა და მტკვრის მარჯვენა ნაპირის არქეოლოგიური გათხრა.

1959—1965 წლებში რუსთავში გამოვლინდა მრავალი საინტერესო არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლი, რომლებმაც ბევრი სიახლე შეიტანეს ფეოდალური საქართველოს ქალაქების კვლევაში.

1965 წლის შემდეგ ტექნიკური მიზეზების გამო რუსთავში კვლავ შეწყდა სავლე მუშაობა. იგი აღდგა 1972 წელს ისევ გ. ლომთათიძის დაუფლავი გარჯის შედეგად (მაგრამ უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ) და დღესაც ახანგრძობს მუშაობას.

რუსთავის ხანგრძლივი კვლევა-ძიებით საკმაოდ დაგროვდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, მართალია, მონაპოვრის დიდი ნაწილი (მოკიეული კერამიკა, ფიანისი, მინა, მონეტები და სხვა) გამოყენებული და გამოქვეყნებულია ცალკეულ ნაშრომებში, მაგრამ ექსპედიციას მიზანშეწონილად მიიჩნია საძიებო-არქეოლოგიურ სამუშაოთა უმთავრესი შედეგების, მისი დოკუმენტური ანგარიშებისა და მდიდარი არქეოლოგიური მასალის ცალკე კრებულებად გამოქვეყნება.

წინამდებარე კრებული „რუსთავი“ მიზნად ისახავს რუსთავის პირველი გამთხრელების მ. ივანიშვილისა და გ. ლომთათიძის დღემდე გამოუქვეყნებელი ნაშრომების პუბლიკაციას. კრებულში შეტანილია მ. ივანიშვილის ორი ნაშრომი: „Рустави“ (археологическая разведка, 1945 г.) და „Руставский могильник“ (археологические раскопки, 1946 г.), რომლებიც დაწერილია 1946 წელს და გ. ლომთათიძის ნაშრომი: „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“, დაწერილი 1963 წელს. მათი გამოქვეყნება მიზანშეწონილად მიგვაჩნია,

საქართველოს  
პატარაგნების  
მცოდნეობის  
ბიბლიოთეკა



უნაიდან ჩატარებული კვლევა-ძიებების შედეგს არსებითი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ისტორიის შემდგომი კვლევისათვის.

იმის გამო, რომ აღნიშნული შრომები ავტორებს არ მოუშადადებიათ გამო-საცემად, კრებულის შემდგენლებს, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომლებს თ. არჩვაძეს, მ. ჩხატარაშვილსა და რედაქტორს დასჭირდათ რედაქციული ზასათაის შე-ნიშვნების გაკეთება. კრებულის შემდგენლებმა თავი მოუყარეს მ. ივანჩენკოს გათხრილ მასალებს და მათვე დაუბრუნეს სამარხთა ნივთების აღწერალობა (კატალოგი). გ. ლომთათიძის ნაშრომის საილუსტრაციოდ შეირჩა და მკითხველს მიეწოდა ძირითადად გამოქვეყნებული მასალა. რაც შეეხება ავტორისეულ ტექსტებს, მათ არავითარი ცვლილებები არ განუცდიათ.

მ. ივანჩენკოს ნაშრომები ეძღვნება ქ. რუსთავის ნაქალაქარზე გათხრილ სამაროვანს, რომელსაც ავტორი VI—VII საუკუნეებით ათარიღებს. მ. ივანჩენკოს მოძიებულ მასალას, მის დაკვირვებებს დღესაც არ დაუყარავს მეცნიერუ-ლი ღირებულება და გარკვეულ ინტერესს იწვევს.

შემდგომმა კვლევა-ძიებამ ბევრი რამ დააზუსტა და უფრო სრულად გა-აშუქა რუსთავის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შვირთოდენი კომენტარი გავუკეთოთ აღნიშნულ ნაშრომებს. მ. ივანჩენკო ნაშ-რომში „Рустави“ (археологическая разведка, 1945 г.) იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც თბილისთან მდებარე რუსთავი პერეთში იგულისხმება. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში კი სადღეისოდ დამკვიდრებულია აზრი, რომ აღნიშნული ქალაქი მდებარეობს ისტორიული კუხეთის ტერიტორიაზე. ამავე აზრს იზიარებს კუხეთის არქეოლოგიური ექსპედიციაც.

ნაშრომში „Руставский могильник“ (археологические раскопки, 1946 წ.) მ. ივანჩენკო გამოთქვამს ვარაუდს, თითქოს აღრეფოდალური ხანის ქალაქის ტერიტორია დაუსახლებელი იყო შუაფეოდალურ ხანაში (XII—XIV ს.). შემდ-გომმა გათხრებმა კი დაადასტურა, რომ განვითარებული შუასაუკუნეების ქალა-ქის დიდი ნაწილი გაშენებულია სწორედ აღრეფოდალური ხანის ნაქალაქარზე.

გ. ლომთათიძე ნაშრომში „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლებს მი-ხედვით“ ამოწმურავად გამოკვცემს მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპე-დიციის ჩატარებული შეიდი კამპანიის უმთავრეს შედეგებს. განხილულია ნაქა-ლაქარზე გამოვლინილი კომპლექსები: სამაროვნები, ნამოსახლარები და იქ აღმოჩენილი მასალა, სასიმაგრო, საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობანი, უამ-რავი ნივთი და მონეტა. გაცოცხლებულია ქალაქის ხანგრძლივი, მძიმე და რთუ-ლი თავგადასავალი. დასახულია კვლევის ძირითადი გეზი და შემდგომი მუშა-ობის უმთავრესი პრობლემები.

გ. ლომთათიძეს არ დასცალდა რუსთავის ბოლომდე შესწავლა, დაწყე-ბული საქმე გაავრძელეს მისმა მოწაფეებმა. რუსთავის არქეოლოგიურმა შეს-წავლამ უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო, რის შედეგადაც მდიდარი არქე-ოლოგიური მასალა გამოვლინდა. სამწუხაროა, რომ გ. ლომთათიძემ ვეღარ შესძლო მონაპოვრის მისთვის ჩვეული შემართებითა და დაკვირვებით გა-აზრება. მას ბევრი რამ დარჩა უთქმელი, მისი დაწყებული ძეგლები ბოლომდე არ იყო გამოშეტურებული, ახალია არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა კი ბევრი რამ ახალი წარმოაჩინა და გამოკვეთა. ეჭვს გარეშეა, იგი თვითონვე შეიტანდა კორექტივს თავისსავე დასკვნებში. ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ კომენტარი ფაუტუკეთით მის ზოგიერთ მოსაზრებას.

1972—1985 წწ. რუსთავის ციხეზე თითქმის მთლიანად გაიწმინდა ვალავა-ნი, გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის სამი ზღუდე: IV—V სს. პილონებანი



გალავანი ოთხკუთხა კოშკებით; VIII—IX საუკუნისა — ალიზიანი ბურჯანაძის კოშკებით და, XII საუკუნის გალავანი; სასახლის კომპლექსი, მრავალი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი და სხვა.

გ. ლომთათიძე ზღუდეთა მშენებლობაში გამოყოფდა ადრე, შუა და გვიანფეოდალურ ხანას. პირველს უკავშირებდა გორგასლის, ბოლო უკანასკნელს — ნაზარ-ალი-ხანის მეფობას (XVII ს. ბოლო — XVIII ს. დასაწყისში). შემდგომი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ადრეფეოდალურ ხანაში რუსთავის ციხეს ორი სხვადასხვა პერიოდის გალავანი ჰქონია შემოვლებული: ალიზით ნაგები ზღუდე, რომელსაც გ. ლომთათიძე ნაზარ-ალი-ხანის დროინდელ ნაგებობად მიიჩნევდა, VIII—IX სს-ით დათარიღდა. ასევე გაირკვა, რომ ზღუდეზე მიდგმული სასახლის გვიანდელი ნაწილის მშენებლობა და გალავანს გარეთ გათხრილი აბანოც განვითარებული შუა საუკუნეების ხანას მიეკუთვნება და არა გვიანფეოდალურს.

კრებულში „რუსთავი“ პირველად და უცვლელად ქვეყნდება იმ მკვლევართა ნაშრომები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ მეტად საინტერესო ისტორიის მქონე ქალაქის არქეოლოგიურ შესწავლას. ამით პატევი მიეგებათ მათ ნათელ ხსოვნას.

აღნიშნული კრებულით სათავე ედება რუსთავის არქეოლოგიური მასალის გამოქვეყნებას და მის სისტემატურად გამოცემის დაგეგმვას.

რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მოპოვებული დიდიხალი არქეოლოგიური მასალის მცირე ნაწილი დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო ძირითადი ინახება რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

1973 წლიდან ინსტიტუტის ყველა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიიღო მუდმივი შიფრი, რუსთავს მიეკუთვნა შიფრი — 04, რომელიც წინ წაემძღვარება ყველა ნივთის საინვენტარო ნომერს.

გ. ლომთათიძის გარდაცვალების შემდეგ ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ მ. მიწიშვილი (1972 წ.) და ნ. უგრელიძე (1973—1976 წწ.). 1944 წლიდან, სხვადასხვა დროს ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გ. ცქიტიშვილი, ნ. უგრელიძე, ნ. ოქროპირიძე, თ. ბატაშვილი, ე. ბარაბაძე, შ. ბატაშვილი, შ. ხანთაძე, რ. რამიშვილი, ჯ. ჯღამაია, ნ. მაშიაშვილი, დ. გაჩავა, ბ. ჯორბენაძე, ლ. კორძია, ლ. ფარცხალაძე, ვ. მ. ჯაფარიძე, ლ. შენგელია, ლ. ბასიაშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ს. ცინცაძე, მ. გოჩიაშვილი, მ. კინწურაშვილი; არქიტექტორები: ირ. ქავთარაძე, გ. ზამთარაძე, ირ. პარმისაშვილი, ი. ხოშტარია, გ. მიქელაძე, ბ. მჭედლიშვილი, კ. მელითაური, ვ. ჩაფუნავა; მხატვრები — კ. კვეციანი, ნ. თოფურიძე, ტ. ამბრაშვილი, თ. სულავა, ფოტოგრაფები: ე. კვეციანი, ი. ნესკოროდიევი, მ. კოზლოვსკი, ვ. სავინი.

ამჟამად ექსპედიცია (ც. ჩიკოიძის ხელმძღვანელობით) მუშაობს შემდეგი შემადგენლობით: თ. არჩვაძე, მ. ჩხატარაშვილი, ე. ჯანდიერი, ს. ჯაფარიძე, ნ. პაკიკაშვილი, ლ. ბასიაშვილი, არქიტექტორი გ. ქურდაძე, ფოტოგრაფი ნ. არჩვაძე.

კრებულში გამოქვეყნებული საილუსტრაციო მასალა შეასრულეს: ირ. ქავთარაძემ, გ. ზამთარაძემ, ზ. მჭედლიშვილმა, ნ. თოფურიძემ, ც. მჩითავიშვილმა, მ. კოზლოვსკიმ, ვ. სავინმა, ი. ნესკოროდიევმა, მ. ივანიშვილმა, თ. კონიაშვილმა, ნ. არჩვაძემ.





ისიც იყო, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთ სადგურს სახელით რუსული თავი ეწოდა, თუმცა ამის საბუთის მხოლოდ ის წარმოადგენდა, რომ სადგურთან სამიოდე კილომეტრზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე იყო დანგრეული, თითქმის უსახელო ციხე („რიშ-ყალა“ რუსულ რუკებზე), რომელსაც, ჩვენი ძველი ისტორიული და გეოგრაფიული წყაროების სიტყვაძვირი ცნობების მიხედვით (პირაბით, თითქმის მხოლოდ მანძილის გადათვლით), მიაკუთვნებდნენ თედსლავ აღორძინებულსა და შემდგომ კი მიწის პირთავან ადგილს ქართულ ქალაქს რუსთავს. ამ ციხესთან იწყებოდა არხი — 1865—67 წლებში „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების“ მიერ განახლებული ძველის ძეგლი რუშ<sup>2</sup>, რომლითაც ე. წ. ყარაიზის (ახლა გარდაბნის) ვრცელი ველი ირწყობდა და ნაყოფიერებდა. მისი სათავის მომსახურე პერსონალი ნაწილობრივ ზედ ნაციზგარზე იყო დაბინავებული, ნაწილობრივ კი გამონდბა, აზერბაიჯანელი მიწის მფლობელს მკვირვ სამოსახლოს სახით. ნაქალაქარი კი სრულიად არსად ჩანდა, მტკვრის ქალის პირებზე გაყოლებული თითქმის უდაბური, ზემელბალახიანი ველი ფარავდა...

უზვეულოდ გააღვივა ინტერესი რუსთავესადმი ჰაველი ინგოროყვას ერთ-ერთმა ადრინდელმა სენსაციურმა ნაშრომმა, რომელშიც ავტორი ცდილობდა გვეჩვენა, სხვა საკითხებთან ერთად, „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური, მაგრამ იდუნალი დამწერის ვინაობა, სადაურობა, მისი სამფლობელო და ა. შ. მასთან მან, მისთვის დამახასიათებელი გადაჭრილობათ, განაცხადა, რომ შოთა ჰერეთის რუსთავეს (ე. ი. თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქს) მფლობელი იყო და იმიტომ იწოდებოდა რუსთაველად<sup>3</sup>. ახლავე უნდა დავძინოთ, რომ აქ რთული და ზოგჯერ ნაძალადევი არგუმენტაცია თუ იყო ახალი, თორემ არსებითად შოთას სადაურობის ასეთი განზრახვა ჯერ კიდევ თეიმურაზ ბაგრატიონის, ერთ-ერთი პირველი ქართველი რუსთაველოლოგის სათანადო კომენტარში გვხვდება, თუ უფრო ადრე არა<sup>4</sup>. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთგვარ გაუგებრობას იწვევდა რუსთავეს მიაკუთვნება ჰერეთისადმი, მაშინ, როდესაც ძველი ქართული წყაროები მას კუხეთის ცენტრად მიიჩნევენ<sup>5</sup>.

ამრიგად, 1920-იანი წლების ბოლოსათვის გვექონდა: „რიშ-ყალად“ წოდებული ციხის ნანგრევები; მასთან მტკვრიდან გამოლებული, რუსეთის დედოფალ

<sup>2</sup> ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯში მჭიდროდ იყო ჩაქვილი ანდუზიტისა თუ ბაზალტის მონადირი, სქელი ფილა, რომელზედაც ეწერა: „Маринский канал“. ცხადია, ამ წარწერის ჩამდგმულ არა სცოდნია ან უფრო სწორად, არ სდომებია ცოდნა და დანახვა, რომ საამისოდ გამოყენებული ბურჯი ეკუთვნოდა არც თუ ხელწამოსაქრავსა და მცირე ციხეს, რომელიც თავის დროზე ერთ-ერთი უძველესი და უმძლავრესი ქართული არხის სათავეზე აღუმართავთ და რომლის ირგვლივაც მნიშვნელოვანი ქალაქი „რუსთავი“ წარმოქმნილა.

<sup>3</sup> აქვე შესაძარბებლად უნდა გავახსენოთ, რომ სულ სხვაგვარად მოტკეულა სოფ. სართიქალის მიდამოებში იერიდან არხის გამოყვანი იწყიერ-კაიპიანი ბაგრატიონი, რომელსაც სათანადო თბელისზე წაუწერია, რომ ეს „იერის რუ — Ирская каньон“ თავდაპირველად ერტკლე მეფის წამოუწყებ, მაგრამ ბოლოდღე ვერ ნიუყვანი და მხოლოდ მის შორეულ შთამომავალს დაუფთავებია“ 1843 წელს.

<sup>3</sup> ვ. ი. ცეცო რ უ ე ვ ა, *Rusthveliana*, I, ტფ. 1926.

<sup>4</sup> მცირე უწყება ქართველთა მწერლობათვის „ძველი საქართველო“, ტ. I, გვ. III, 33-345. არ შეიძლება აქვე არ აღინშნოს, რომ ამ ხელნაწერის გამოცემელს, ე. თაყაიშვილს სიცოცხლის ბოლო წლებში შედგენილ ბიბლიოგრაფიაში ასეთი შენიშვნა დურთავს მის შესახებ: „როგორც შემდგე გამოირცხა ითანე ბატონიშვილის „კილომასობის“ II ტომის ნაწილი ყოფილიო“. ჩვენთვის ამა, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.


<sup>5</sup> იხ. მაგ., ქართლის ცხოვრება I, ტექსტი დადგენილი კველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 8, 9, 131, 159.

მარიამის სახელით მონათლული. (არსებითად კი ძველ ნარქალზე მიმდინარე) არხი და მის სათავეში მსახლობელი რამდენიმე კომლი; რკინიგზის სადგური „რუსთავი“ და უკვე საყოველთაოდ აღიარებული სახელგანთქმული მკვლევრის მოსაზრება, რომელიც ახალი, ქართველი მკითხველისათვის რომანტიკული სა- მოსვლით ბურავდა — შოთას სახელს უკავშირდება — „რიშ-ყალას“. აგრეთვე, „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით განიხილავდა ამ ციხის ნანგრევს (და პო- ემის თავისუფალ გამოცემაში მისი გეგმაც კი დაბეჭდა) ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე<sup>6</sup>. მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, შემდეგდროინდელ რუსთაველოლოგიაში და „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებულ ვრცელ ლიტერატურაში თითქმის ერთსულოვნად იყო მიჩნეული შოთას მესხობა, იქაური რუსთავი- დან წარმომავლობა. წელს, ე. ი. „Rusthveliana-ს“ გამოცემიდან თითქმის მე- სამედი საუკუნის შემდეგ, ბალესტინაში ქართული ექსპედიციის მუშაობის შე- დევით პ. ინგოროყვა კვლავ და აღფრთოვანებული მეტი შემართებით მიუბ- რუნდა თავის მოსაზრებას, კიდევ უფრო ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი შე- ქმნა შოთას შესახებ, სავსებით დადასტურებულად მიიჩნია თავისი ადრეული ვარაუდები და, ამასთან დაკავშირებით, ქალაქ რუსთავის ისტორია სანაქებო- სისრულით გამოიწვლილა ჩვენი წერილობითი წყაროებიდან<sup>7</sup>. ჩვენ, ისევე, როგორც რუსთავის წარსულის ყველა სხვა შემსწავლელს, რა თქმა უნდა, გან- საკუთრებული ყურადღება გვმართებს სწორედ ამ თავისადმი, ოღონდ არ შე- იძლება დანაწიებით არ დავძინოთ, რომ ავტორი სრულიად უგულვებლყოფს რუსთავის ნაციხვარ-ნაქალაქარის საქმიად ხანგრძლივი არქეოლოგიური კვლე- ვის არც თუ უმნიშვნელო შედეგს და ჩვეულებისამებრ ქართულ მატიაანთა და- სხვა მსგავს თხზულებათა ცნობების უადრესად დაწვრილებით ანალიზს სჯერ- დება. წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მიზანს კი სწორედ წყაროთა ამ ორი ჯგუფის შეჯერება, ურთიერთშევესება და ურთიერთშემოწმება წარმოადგენს, ხოლო საამისოდ იძულებული ვიქნებით ხელახლა გავხადოთ მსჯელობის საგ- ნად შემოაღნიშნულ ნაშრომში (ისევე, როგორც ადრე ლ. კილაშვილის დი- სერტაციაში) თავმოყრილი წერილობითი ცნობები. ეს გარემოებაც (კერძოდ, პ. ინგოროყვას მიერ განახლება რუსთაველის წარმოშობა-ადგილსამყოფე- ლის საკითხის კვლევისა) ამართლებს ჩვენს გადაწყვეტილებას ნაქალაქარის შესწავლის შეჯამების შესახებ, ამ ეტაპზედღე...

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ამ მეოთხედი საუკუნის წინანდელ პერიოდს. 1937 წელს, რუსთაველის იუბილეს დროს, როგორც უკვე ითქვა, „ვეფხისტყა- ოსნის“ დამწერი თითქმის საყოველთაოდ იყო ისევ მესხად მიჩნეული და კუ- ხეთის რუსთავის ამგვარი „პატივი“ რამდენადმე მივიწყებული იქნა. მაგრამ გა- ვიდა ხანი და ეს ნაქალაქარი ისევ მოექცა ცხოველი, ახლა უკვე სახელმწიფოებ- რივი ყურადღების არეში. ეს მოხდა სამამულო ომის მიწურულში, როდესაც გადაწყდა, თბილისის მახლობლად, სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადმე გაშლილ ადგილას ამიერკავკასიის დიდი მეტალურგიული ქარხნისა და მისი მიმდგომი, თბილისის თანამგზავრი ქალაქის აშენება. ერთხანს საამისოდ რკინიგზის სად- გურ ველის მიდამოები იქნა შერჩეული, მაგრამ შემდეგ ხელმძღვანელმა ორგა- ნოებმა ძველი რუსთავის სავარაუდო ტერიტორია ამჯობინეს — იმ მოსაზრე- ბითაც, რომ დამარბული ქართული ქალაქი ამგვარად მკვდრეთით ამდგარიყო

<sup>6</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ნეორე გამოცემა სარგის კაკაბაძის რედაქ- ტორობით, 1927.

<sup>7</sup> პ. ინგოროყვა, რუსთაველიანის ებილოგი, ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1963, № № 3, 4, 5, 6, 7.



და მასჯახალი სივრცეზე დაეწყო, უკვე როგორც სოციალისტურ ქალაქსა და თანამედროვე ინდუსტრიის მძლავრ კერას.

მშენებლობა დაიწყო 1944 წელს. როგორც მოსალოდნელი იყო, სადგურსა და ნაციზმის შორის მიმომავალი მძიმე სატვირთო ავტომანქანების მიერ პირველად გათვლილმა ვახტანგმა მალე ახადეს მიწის საბურველი დაფლულ არქეოლოგიურ ნაშთებს — კერძოდ, ძველ სასაფლაოებს, რომლებიც დიდრონი ფილაქებისაგან შეკრული და გადახურული სამარხებისაგან შედგებოდა, ამ ამბავმა სულ მალე მოაღწია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტამდე და უკანასკნელმაც მშენებლობის არქეოლოგიური მეთვალყურეობა დაავალა თავის მხცოვან თანამშრომელს, საქართველოს ძველი ნივთიერი კულტურის დამსახურებულ მკვლევარს მიხეილ ივანიშვილს, რომელიც ჩვეული გულმოდგინებით ეწეოდა მეთვალყურეობასაცა და დრო და დრო მცირე თხრობასაც თავის გარდაცვალებამდე, 1946 წლის ზაფხულში. მან მოასწრო შედგენა თავისი ნაშუშევრის წინასწარი ანგარიშისა, რომელშიც მოუყარა თავი ქალაქ რუსთავის შესახებ მისთვის მისაწვდომი წერილობითი წყაროებიდან ამოკრებილ ცნობებსაც. ეს ანგარიში, ისევე, როგორც მისი კეთილსინდისიერი ავტორის ბევრი სხვა ხელნაწერად დარჩენილი ნაშრომი, ღირსია გამოქვეყნებისა. აქ მხოლოდ მის ძირითად დებულებებს გავაცნობთ მკითხველს.

მ. ივანიშვილს მუშაობა უწყაროებია მტკვრის მარცხენა ნაპირას — იქ, სადაც შემდგომ გაშენდა „სოციალისტური ქალაქი“. უთხრია უმოთხრესად ნეპოლინიზებული ქვის სამარხები, რომლებიც სხვადასხვა დროს თავს იჩენდა რკინიგზიდან გამოვლებულ შტოსა და ნაციზმის მასობრივად აგებულ პირველ საცხოვრებელ სახლთა შორის. მისი დაკვირვებით, სამაროვანი რამდენიმე ყოფილა, ერთიმეორისაგან დამორბეული და მათი საერთო ფართობი 15 ჰექტარს აღწევდა. სამარხები საოჯახო ყოფილა: მათში ორ-ორი და მეტი ჩონჩხი ჩნდებოდა. დამარხულთ აღმოაჩნდათ ბრინჯაოსა და რკინის ლეროვანი საკინძები შეკრული პასტის, მარჯნისა და გიშრის თავებით, ბრინჯაო-რკინის მშვილდ-საკინძები, ბრინჯაოს საყურებები, მინის, ბრინჯაოს, რკინისა და ქვის ბეჭდები და სხვ. საერთოდ მცირერიცხოვანი ინვენტარი (ტაბ. XXVII, XXVIII). ერთგან ვერცხლის გულსაკიდი, აღრინდელი ტიპის (ე. წ. „ბოლნურის“ მსგავსი) ჯვარიც იქნა ნაპოვნი. სამარხთა აღნაგობის, დაკრძალვის წესისა და აღნიშნული ნივთების მიხედვით შესაძლო შეიქნა რუსთავის ამ სამარხთა გატოლება მცხეთის უახლეს სამარხებთან (სამთავრო, არმაზისხევი, კარსნისხევი, ნავთსადენი) და, ამრიგად, მათი დათარიღება ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეებით. მ. ივანიშვილს ხაზგასმით აღნიშნავს რუსთავულ სამკაულთა პირწავარდნილ მსგავსებას მის ნიერ ზედმიწევნით შესწავლილ სამთავროულთან<sup>8</sup> დაავს არის პირველი სიგნალი ადრე შუასაუკუნეთა საქართველოს ამ ორი, თბილისს შემოთ და ქვემოთ მდებარე, მისგან თანაბრად და მცირედ დამორბეული ქალაქური ცენტრის მჭიდრო ურთიერთობის შესახებ (ალბათ სწორედ უკვე თბილისის მეშვეობით), რამდენადაც იგი შეიძლება ასახული იყოს სამარხებსა და მათ ინვენტარში (რომელიც იმ დროისათვის ყველაზე მცირეა — ჩანს, დაკრძალვის ახალი, ქრისტიანული წესის გავლენით); შემდგომ ამის მომასწავებელი დაკვირვებანი მომრავლდა.

<sup>8</sup> М. М. Ивашенко, Рустави, 1946 (ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის არქივში).

<sup>9</sup> ამავე კრებულში იბეჭდება რუსთავისადმი მიძღვნილი მ. ივანიშვილის ორივე ნაშრომი.

<sup>10</sup> М. М. Ивашенко, Погребения IV—VIII вв. Самтаврского могильника, рукопись.



სამაროვანთა შესწავლილ უბნებში დაკრძალულთა სიხშირის მითითებით მ. ივანიშვილმა სცადა დაახლოებით მაინც გამოეთვალა იმ ქალაქის მოსახლეობის ოდენობა, რომელსაც სამაროვნები ეკუთვნოდა, და მიიღო 20 000 სული. რაც არ უნდა გაზვიადებული იყოს ეს რიცხვი, მაინც ჩანს, რომ აღრეფეოდალურ ხანაშივე რუსთავი ხალხმრავალი ქალაქი ყოფილა და ვინ იცის, ეგებ თბილისს თუ არა, მცნეთას არც თუ დიდად ჩამოუვარდებოდა.

სამარხებს გარდა, რამდენსამე ადგილას მშენებლობამ გააშენებულა შუა საუკუნეთა კუთვნილ კულტურულ ფენათა ნაშთები და აგრეთვე შეგულად ჩარტული, მაშასადამე, საღვინე (და არა სამარხად გამოყენებული) ქვევრი. ამ შემთხვევით აღმოჩენილ მხედვეთ მოხერხდა ნაწილობრივ მაინც მოხაზულიყო საკუთრივ ნაქალაქარის სივრცე — 5-ოდე ჰექტარი. რა თქმა უნდა, სრული სივრცე გაცილებით მეტი იყო სავარაუდებელი და ეს შემდგომმა აღმოჩენადაკვირვებამ დააზუსტა.

მ. ივანიშვილს გარდაცვალების შემდეგ ისტორიის ინსტიტუტმა რუსთავის მშენებლობის არქეოლოგიური მეთვალყურეობა დააქისრა თავის სხვა თანამშრომლებს (ნ. უგრელიძე, ნ. ოქრობირიძე). განსაკუთრებით ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო 1948 წელს ნ. ლამბაშიძის მიერ ჩატარებული ამგვარი მუშაობა. მოხსენებით ბარათში<sup>11</sup> აღნიშნულია, რომ ნაქალაქარის და სამაროვნების საერთო სივრცე, ნაციხვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 40-დე ჰექტარი უნდა ვიგულისხმოთ და რომ ეს სწორედ ის არეა, სადაც „სოცქალაქის“ პირველი შენობები აღიშრათა, ისე რომ ნაქალაქარის ფართობის უმეტესობა უკვე მათ ქვეშ არის მოქცეული. იმ 40-იოდე ჰექტარიდან, ანგარიშის ავტორის დაკვირვებით, 12-იოდე განსაკუთრებით ინტენსიურად ყოფილა ძველად განაშენიანებული, ხოლო იქედან ორილა იყო ახალ ნაგებობათაგან თავისუფალი, გათხრისათვის მისაწვდომი (ბაზარსა, ნაციხვარსა და ქალაქის ბაღს შორის). იმავე ანგარიშში აღნიშნულია ფრად საყურადღებო ფაქტი: „ბინმშენის“ ტერიტორიაზე, კლუბის მახლობლად აღმოჩენა ორი ორმოსამარხისა, რომლებიც შავ-ლევა თიხის ჭურჭელს (ტაბ. XXI, 2, 4, 5, 9) გარდა, შეიცავდნენ ბრინჯაოს თათო სატევარსა და შუბისპირს. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსთავის ნაქალაქარის შორიანლოს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გვიანი ბრინჯაოს ხანაშივე, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებშივე ყოფილა სამოსახლო, რაკი მიცვალებულები უმარხავთ. თანაც იმ სამარხთა ინვენტარი პირწავარდნილად ჰგავდა მცხეთაში და ქართლ-კახეთის მრავალ სხვა ადგილას გათხრილსა თუ შემთხვევით აღმოჩენილ ჭურჭელსა და იარაღს, ეს კი მოასწავებდა იმ „წინარერუსთავის“ მოსახლეობის სრულ მონათესაობას, ერთი მხრივ, მცხეთის რაიონისა, ხოლო, მეორე მხრივ, გარეკახეთისა თუ შიდაკახეთის იმავდროინდელ მოსახლეობასთან.

ნ. ლამბაშიძის ანგარიშში აღნიშნულია კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დაკვირვება. ვერ ერთი, ავტორს უნახავს მტკვარში ჩარჩენილი ნაშთები ძველი, დასათარიღებლად საძნელო ხიდისა — ვიდი წყება ხის ბოძებისა. მეორეც, მისთვის ცნობილი შექმნილა, რომ ამ ნახილარს პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზედაც უნდა იყოს სამაროვანი და ამის გამო იგი საჭიროდ მიიჩნევდა იმ ნაპირის გულდასმით დაზვერვასაც.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მიწისქვეშა არქეოლოგიური ძეგლების გამოცდილი და მრავალი მნიშვნელოვანი ნაშთის მიმკვლევი მზვერავის თვალს აქაც

11 ნ. ლამბაშიძე, რუსთავში 1948 წელს ჩატარებული დაზვერვის ანგარიში, ხელნაწერი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის არქივში.

მახვილად დაუნახავს ბევრი რამე და მართებულად გაუსკამს ხაზი რამდენიმე არსებითი მომენტისათვის, რაც შემდგომ მუშაობას გამოადგა.

ასეთი მოხსენებითი ბარათის შემდეგ ინსტიტუტს გადაწყვეტილი ჰქონდა 1949 წელს უკვე ფართოდ მოეკიდა ხელი რუსთავის ნაქალაქარის გათხრისათვის და აღარ დასკვრებოდა შემთხვევითი აღმოჩენების აღნუსხვას — მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნულ მცირე დარჩენილ ფართობსაც მალე მოელოდა განაშენიანება: სწორედ ამ იყო დაგეგმილი საავადმყოფოს („მედქალაქის“) აგება. მაგრამ 1949 წელს ამ მუშაობის დაწყება ვერ მოხერხდა, რადგან გაცილებით უფრო სასწრაფო, გადაუდებელი სამუშაო გაუჩნდათ ინსტიტუტის არქეოლოგებს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, სწორედ იმ უბანზე, სადაც ზემოთ დამოწმებული მოხსენებითი ბარათის ავტორი ძველ სამარხებს აღნიშნავდა და დახვერვას საჭიროდ მიიჩნევდა.

საქმე ისაა, რომ აღნიშნული ნახიდურის მახლობლად დაგეგმილი იყო დიდი, თბილისიდან რუსთავში მომავალი ვზატკეცილის ქალაქში შემყვანი ხიდის, ზოლო მის თავში, მარჯვენა ნაპირზე, — ქალაქის საუკეთესო საცხოვრებელი უბნის აშენება და ამ მიზნით 1949 წლის დამდეგს იქ დაიწყო საექსკავაციო მუშაობა. მძღაგრმა ექსკავატორებმა სულ მალე მართლაც დაანგრიეს და დააზიანეს ძველი ორმოსამარხები, დაღწეეს მათში დაცული ჭურჭელი და სხვა ნივთები, ასალი ქალაქის პარტორგანიზაციამ (ცერძოდ, მეორე მდივანმა გ. ჯობაძემ) ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, ბევრი რამ ვადაარჩინა დაღუპვას და დააყენა საკითხი საექსკავაციო ფართობის დაუყოვნებლივ არქეოლოგიურად შესწავლის თაობაზე. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, რომელსაც 1948 წლიდან დაგეგმილი და დაწყებულიც ჰქონდა ფეოდალური ხანის ნამოსახლართა და სხვა ძველთა თხრის განახლება (რაც ომის შემდეგ აღარ მომხდარიყო), ოპერატიულად უბასუხა საკითხის ასე დაყენებას და აპრილშივე მიაგლინა რუსთავში საქმოდ დიდი ექსპედიცია (წინამდებარე ნაშრომის ავტორის მეთაურობით), რომელიც იქ უფრო გვიან უნდა წასულიყო და მარცხენა ნაპირზე ეთხარა ნაქალაქარი.

ამ ექსპედიციამ თავისი პირველი კამპანია სწორედ მარჯვენა ნაპირზე ჩაატარა და ორი თვის განმავლობაში თხრიდა სამაროვნის იმ უბნებს, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, ექსკავაცია უქადა მოსპობას. ეს ასე ვთქვათ, დაეკითი კამპანია დიდად ნაყოფიერი გამოდგა — ძველთა რამდენიმე, სხვადასხვა დროის ჯგუფი გამოავლინა და საბოლოოდ ცხადყო, რომ რუსთავის მარჯვენა ნაპირის ნამოსახლარ-სამაროვნები არა ნაკლებ ყურადსაღებია არიან, ვიდრე მარცხენა ნაპირისა და რომ კვლავ ძველი რუსთავის კვლევა ორივე ნაპირზე მხარდამხარ უნდა მიმდინარეობდეს სურათის სისრულისათვის; რომ ის ორი უბანი არსებითად ავსებენ ერთმეორეს, ჩანს, ძველთაგანვე მეტ-ნაკლებ დაკავშირებული ყოფილან და მამასადამე, საბოლოოდ მათი ერთობლივ განხილვა იქნება საჭირო.

1949 წლის კამპანიის დროს ექსპედიცია უმთავრესად სამარხებს თხრიდა ორ უბანზე, რომლებსაც ერთიმეორისაგან 300 მ აშორებდა. მტკვრის ჭალის უფრო მაწლობლად მდებარე I უბანზე გაითხარა 22 ორმოსამარხი, ყოველგვარ ნაგებობას მოკლებული, სხვადასხვანაირად დამხრობილი, პოზათა მხრივაც ნაირნაირი, თითქმის ყველა ინდივიდუალური, საკმაოდ ბევრი — უინვენტარო (მათ შორის 6 ბავშვისა). ინვენტარი შედგებოდა უმთავრესად სამკაულისა და, აგრეთვე, აქ-იქ მინის ჭურჭლისაგან. ამ მხრივ, და თვით ნივთების ტიპოლოგიითაც ეს ინვენტარიანი ორმოსამარხები ძალიან მოკვავონებენ და ხნოვანები-



თავ უტოლოდებიან (ისევე, როგორც მათსავე ფენაში მდებარე უინვენტარული) მცხეთის, ადრეფეოდალური დროის დამდეგის ქვის სამარხებს. ამრიგად, მათ თვალწინ არის საუკეთესო მავალითი იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა, არც თუ დიდად დაშორებულ კუთხეებში ერთსა და იმავე დროს სულ სხვადასხვანაირად მოწყობილ სამარხებში კრძალავდნენ მიცვალებულებს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსთავეში ორმოსამარხებში დაკრძალვის წესიდან ქვის სამარხებში დაკრძალვის წესზე გაცილებით უფრო გვიან გადასულან, ვიდრე მცხეთაში, სადაც ეს მასობრივად იწყება უკვე ახ. წ. I საუკუნეში (ე. ი. თავის მხრივ, ვთქვათ, ქვემო ქართლთან შედარებით გაცილებით უფრო გვიან) და ნაგები სამარხებს პარალელურად სულ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ვსტყავთ მცირერიცხოვან ორმოსამარხებს. სამკაულოთაც მცხეთურებთან პირწვარდნილ მსგავსებას იჩენს ოქროსა და ბრინჯაოს რგოლდერაკიანი, მიძვებასხმული საყურეები, ოქროს სამბუდიანი და ბურთულოვანი ბეჭდები, ხოლო სხვა ნივთებიდან — ბრინჯაოს მომცრო, მრგვალბრტყელი სარკე და მინის ტანწებორკლილი სანელსაცხებლე (ტაბ. XXVI, 4). ცალკე უნდა აღინიშნოს ერთი წყვილი ოქროს ორწილადი საყურე, რომელთა აღნაგობაშიც შერწყმულია IV—V სს-თვის დამახასიათებელი ყურსაკიდი რგოლი და II სს-თვის დამახასიათებელი (არმაზისხევის ერისთავთა ქალების ინვენტარში) გავრცელებული ნუშისებრი მოყვანილობის, თვალედი ბუდეები. ეს გარემოება მაინცადამაინც ღრმად ვერ გადასწევს სათანადო სამარხის ხნოვანებას; მით უმეტეს, რომ არმაზისხევის ერთ, ნამდვილად ადრეულ შუა საუკუნეთა სამარხშიცა გვაქვს ასეთი შერწყმული საყურე. მათ არა ერთი და ორი პარალელი მოენახათ სამთავროსა და არმაზისხევის, ხოლო ზოგს აგრეთვე ალაიანისა და წალკის სამარხებში, ყველა IV ან V საუკუნეს ეკუთვნის და ეს გარემოება ძირითადად სწორედ ამ დროით გვითარილებს რუსთავის აღნიშნულ ორმოსამარხთა მთლიან ჯგუფს, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მინალწევარია ექსპედიციის 1949 წლის კამპანიისა, მით უმეტეს, რომ ამაზე უფრო დანამდვილებით დამთარილებელი (მონეტები, გემები) არაფერი მოგვეპოვება გარდა ზემოაღნიშნული, მცხეთურთა მსგავსი და აგრეთვე ზოგი სხვა, იმ დროისათვის ჩვეული ნივთებისა (მაგ., ქარვის, გიშრის, მინა-პასტისა და სარდიონის მძივებისა). რუსთავის იმ ორმოსამარხებში თავი იჩინა ზოგამა თითქოს უპარალელო ნივთმაც, მაგ., ოქროს ბურთულა ფუყე მძივებმა, მინის ზარისებრ მოყვანილმა პირფართო თასმა და სოკოსებრ მოყვანილმა სანელსაცხებლემ (ტაბ. XXVI, 1, 10)<sup>12</sup>. მათ არც მას შემდეგ განვლილი თოთხმეტი წლის განმავლობაში გამოსჩენიათ სადმე მისამსგავსებელი და ამიტომ ჯერჯერობით კიდევ შეგვიძლია ისინი რუსთაველ სპეციფიკურ ნივთებად და ეგებ სულაც იქაურ სახელოსნოთა ნაწარმად მივიჩნიოთ, რაც ესოდენ ადრინდელი ხანისათვის, ცხადია, დიდად მნიშვნელოვან გარემოებას გვანიშნებდა.

ექსპედიციის მიერ 1949 წელს მარჯვენა ნაპირზე გათხრილმა ორმოსამაროვანმა კიდევ ერთი, ფრიად თავისებური ჯგუფი წარმოგვიჩინა სამარხებისა. ეს იყო ზემოვანხილულ სამარხებთან ფენობრივ საკმაოდ მჭიდროდ დაკავშირებული და მათ მახლობლად, თუმცა კი რამდენამდე განცალკევებით მდებარე სამარხები, რომლებშიც იყო სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების სრული ჩონჩხები თუ ცალკეული ნაწილები, რომელთაც ზოგჯერ რიყის ქვები

<sup>12</sup> ამ ინვენტარის დაწვრილებით, სამარხობლოვი მიმოხილვა და მათი პარალელისაცია — დათარილება იხ. გ. ლ. მ. თ. ი. მ. ე., რუსთავეში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, I, თბ., 1955, გვ. 179—181, ტაბ. XVI, 3—6, XVII, 1—2.

ქონდათ გარშემოწყობილი და თითქოს ინვენტარიც (მაგ., თიხის ჭურჭელი, სპილენძის საგნის ნატეხი და სხვ.) კი ახლდათ ხოლმე, ველზედვე გამოცნობილი იქნა: ორი ცხენის ჩონჩხი, რამდენიმე ძაღლისა თუ შისი ჯიშის ვარეულნი ცხენებისა; ერთი კურდღლისა, რამდენიმე მსხვილფეხა თუ წვრილფეხა რქოსნისა (ჩონჩხებიცა და ცალკეული ძვლებიც) და რამდენიმე ფრინველისა. შეგვხვდა რამდენიმე ირმის თავრეილი თუ მხოლოდ რქაც, საგანგებოდ დამარხული და ქვებზე დასვენებული. იმ ხანებში ამ ფრად უცნაურ სამარხებში ვარაუდით დავინახეთ დაკრძალულ ადამიანთაღმე შეწირული ცხოველები ან ალაპისა თუ ქელეხის ძვლოვანი ნაშთები და მოვიგონეთ მსგავსი შემთხვევები სამთავროს, არმაზისხევისა და კლდეეთის იმ სამაროვნებიდან, რომლებიც ახ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარს ეკუთვნიან. მამინვე გავიხსენეთ აგრეთვე სამთავროს I—III სს. სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი კარგად ნაშენები ქვის სამარხი, რომელშიც საგანგებოდ იყო დამარხული ძაღლი, თითო-ორთლა მძივის თანხლებით. მას შემდეგაც სხვაგვარი ამოხსნა რუსთავის ამ სამარხთა არსისა არ გვეგულება და იგივე ვარაუდი უნდა გავიმეოროთ, რაც ზემოთ ითქვა.

სამაროვნის ამავე უბანზე გაითხარა ერთი, სხვათაგან ტერიტორიულადაც და ხნოვანებითაც ძლიერ მოწყვეტილი ორმოსამარხი, რომელშიც დაფლული იყო მოხუცი, ცხენისა და ღორის ძვლების, იარაღის, თიხის ჭურჭლებისა და ერთადერთი ძალზე დიდი მძივის თანხლებით („ხელსატეგრებიანი ბერეკაცის სამარხი“). შავ-ლუგა, პრიალა და მოაგურისფრო კერამიკის, რკინის, სატეგრისა და „ხანჯლის შვილის“, მეტადრე ბრინჯაოს „სკვითური“ ისრისპირების (ერთ-ერთი გვიანდელი ვარიანტის) მიხედვით ეს სამარხი ძვ. წ. VII—VI საუკუნეებს მიეკუთვნება (ტაბ. XXIII, 1—6) და ამრიგად, წარმოიქმნა ვარაუდი, რომ აღნიშნულ უბანზე ადრეულ შუა საუკუნეთა სამაროვანს ძირს უვია ადრეული რკინის სამაროვანი, ათასწლეულით უფრო ძველი. ეს ვარაუდი გააძლიერა რამდენიმე კომპლექსმა თუ ცალკეულმა საგანმა, რომლებიც ექსკავაციის გადაურჩა იმავე უბანზე, ჯერ რუსთაველ მუშაკთა და შემდეგ უკვე ექსპედიციის თანამშრომელთა სიფხიზლის წყალობით. ეს არის ცვლით მოხატული შავბრიალა ქილა (ცალკე), ბრინჯაოს სამაჯურისა და საკინძების, სარდიონის და პასტის მძივებისა და ბრინჯაოს დაცვარულფირფიტებიანი საყურეების შემცველი ინვენტარი, რომელსაც საყურეთა ანალოგიები ძვ. წ. VI—V სს-ებით გვითარბლებენ; ბრინჯაოს დიდი მშვილდსაკინძი, რომელიც, ქართულივე ანალოგების მიხედვით, ალბათ უფრო ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს; ე. ი. ზემოთ განხილულ ნივთებზე უფრო ძველი იქნება—სულაც ეგებ ჯერ კიდევ „ურკინო ბრინჯაოს“ ფენისა; თუმცა გადაჭრით ეს ვერ ითქმის.

მაგრამ ამ სამაროვანთა ველის სტრატოგრაფიული ჭრილი კიდევ უფრო ღრმადაც ჩაიყვანა ექსკავაციისას ამომხეურებულმა, შავი გეომეტრიული სახეებით მოხატულმა წითელპრიალა ქოთანმა (ტაბ. XXI, 1), რომლის დათარიღება, თანხლები ნივთების უქონლობის გამო, გაძნელდა, მაგრამ, თრიალეთური და სომხურ-აზერბაიჯანული პარალელების მიხედვით, ალბათ, შუა ბრინჯაოს ხანას უფრო მიგვიითებებს, ვიდრე მერმინდელს. საქართველოში ეს ქოთანი მეორე იყო, ნარეკვავის მსგავსი ქოთნის შემდგომ. ყოველივე ეს დიდად მატებს მას მეცნიერულ ღირებულებას.

ამრიგად, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, I უბანზე ექსპედიციის მიერ 1949 წელს გათხარილმა სამარხებმა ნოიკავა სამაროვანი, რომელსაც თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში უმოქმედია, როგორც იქვე მახლობლად მსახლობელთა განსვენების ადგილს, დროის დიდრონი ხარვეზებით მიანიც.



ეს იყო იმ კამპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი, რომელმაც კიდევ უფრო გააცხოველა არქეოლოგთა ინტერესი მარჯვენა ნაპირის მანამდე კი უმთავრესად მარცხენა ნაპირი იქცეოდა მათ ყურადღებას.

აღრე შუასაუკუნეთა სასაფლაოს გაუქმებისა (აღბათ გავსების გამო) და მივიწყების შემდეგ შემოადინებულ უბანზე აღმოცენებულია რაღაც სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსი, რომელსაც პირობით შეგვიძლია მარან-ბელლები ვუწოდოთ — იმის მიხედვით, რომ სამარხების ფენას ზევით აქ გაითხარა ახლოს-ახლოს ჩარგული 13 საღვინე ქვევრი (გლუვი და წიბოვებიანი), 2 მოზრდილი დერგი და 5 ფეტვის ორმო (ეს უკანასკნელნი წარმოადგენდნენ პირველ შემთხვევას საქართველოს არქეოლოგიაში). ეს მარან-ბელელი მიეკუთვნა შუა საუკუნეთა იმ ხანას, რომელიც აღრეფეოდალურ ეტაპს მოსდევს, რადგან სრულიად უშეგულად ჩანდა, რომ ქვევრების ჩარგვის დროს, იმ ეტაპის კუთვნილ სამარხთა არსებობა არა სცოდნიათ და ზოგჯერ ქვევრის ძირები ზედ „დასობი“ სამარხს.

შეიძლება ამ მარან-ბელის თანამედროვე იყოს, ან რამდენადმე უფრო ახალიც ის სამაროვანი, რომელიც II უბანზე (I-დან 300-მდე მეტრზე მთისძირების მიმართულებით) გაითხარა და შედგებოდა ძალზე მჭიდროდ მიჯრილი აღმოსავლეთიდან დასავლეთით დამხრობილი, მოთხელო და თითქმის დაუმუშავებელი, მდარე (იალღუჯის კლდის?) ფილაქვებით ნაშენი, საოჯახო სამარხებისაგან; ისინი თითქმის უინვენტარო იყო (ქრისტიანულ წესისამებრ). ათიდან მხოლოდ ერთში აღმოჩნდა სპილენძისა თუ ბრინჯაოს მარტივი, რგოლური ბეჭედი. ამ სამაროვნის დათარიღებისას ისევე დამოღმა მხრის ანალოგია თუ გამოვედგება: ფილაქვით ნაშენი სამარხები, ჩანს, იქაც და აქაც აღრეფეოდალური ხანის მეორე ნახევარში ჩნდება, V საუკუნის შემდგომ, რაკი IV—V სს. ინვენტარის შემცველმა ორმოსამარხებმა თავი იჩინა მარჯვენა ნაპირის სხვა უბანში, სადაც შემდგომ სამეურნეო ნაგებობანი აღუმართავთ.

ამ უკანასკნელებთან დაკავშირებული ჩანს ის ზოგიერთი ცალკეული საგანი, რომლებიც მათი თხრისას თუ მათ შორიახლოს გაჭრილ საცდელ თხრილებში აღმოჩნდა, რიყის ქვის კედლების ნაშთებისა და რიყისსავე ქვით მოფენილ არეთა შორის. მათ შორის გამოირჩევა რბილი ქვის მოზრდილი მრგვალი საბეჭდავი (ტაბ. XXIX, 2), რომელზედაც ტოლმკლავებიანი ჯვარი და პერძნული დაქორავებული წარწერაა ამოკვეთილი, ზოლო შემდეგ მასზე ქართული წარწერაც ამოუტყწრავთ („*επιγραφη ακριβοι*“ — „საფარველი მწვერვალი-სა“<sup>18</sup> და **ⴌⴃ** — თემ...). ორთავე წარწერა, პალეოგრაფიული იერით, აღრეფეოდალური ხანის მეორე ნახევარში თავსდება. აღსანიშნავია აგრეთვე ბიზანტიური ვერცხლის ფული, მოჭრილი კონსტანტინე III ანუ კოსტას მიერ (641—668 წწ.). ბოლოს, აღსანიშნავია შემოღობილი კრამიტის ნატეხების საკმაო სიმრავლე, რაც სათანადო შენობების ამგვარ დაბურულობას მოასწავებს, კერათა ნაშთები და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები. ამ უკანასკნელებს შუა საუკუნეთათვის დამახასიათებელი იერი უჩანთ, მაგრამ ძალზე ნიშანდობლივია, რომ არსად არც ერთი ნატეხი არა ყოფილა მოჭიქული ჯამ-ჭურჭლის, რომელიც სწორედ რომ აუცილებელი კომპონენტი არის ხოლმე ჩვენში შუა საუკუნეთა ნამოსახლარებისათვის, თუ კი ისინი შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნიან.

ყოველივე ამის გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარჯვენა ნაპირზე 1949 წელს ვანათხარს არსად გამოუვლენია შუაფეოდალური ხანის ნაშთები. წინასწარ დავძენთ, რომ სრულიად იგივე ვითარება აღინიშნა ათი წლის შემდგომ,

<sup>18</sup> თ. ყ ა უ ხ ჩ ი მ ე ც ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951, გვ. 269.



1959 წლის კამბანისი შედეგადაც. ამ დაკვირვებას კი სრულიად აშკარა, არა მცირე მნიშვნელობა ენიჭება მარჯვენა ნაპირის სამოსახლოს ისტორიულ-გენეალოგიის შესახებ. შუაფეოდალური ხანა მასში ხარვეზად გამოიყურება. ამის შესახებ მისთვის შესაბამისად, ბოლო თავში გვექნება საუბარი.

დასასრულ, 1949 წელს ექსპედიციამ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვლო და დაზვერა მთელი სივრცე იაღლუჯის შემადგენელ კალთებსა და მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭილას შორის, 2-ოდე კმ სიგრძეზე. ამ დაზვერვის შედეგებიდან აღსანიშნავია:

ა. რამდენიმე ინტენსიურად ნამოსახლარი ადგილის შემჩნევა, მიწის ზედაპირზე მრავლად მიმოხედილი თიხის ტურქლისა და კრამიტის ნატეხების მიხედვით. ამასთანავე კრამიტის ზომა-მოყვანილობა ისეთი იყო, რომ აღრეფეოდალურ ხანას — უფრო სწორად ამ ხანის პირველ ნახევარს უფრო გვანიშნებდა. ერთი ამგვარი, სხვებზე მკაფიო, ნამოსახლარი ვიგულისხმეთ სამაროვნის I უბანს სამხრეთ-დასავლეთით, ე. ი. მტკვარს — აღმა, 400-ოდე მეტრზე, ხოლო მეორე — იმავე უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, იაღლუჯის მთისწინა, მოკაგებულ გორაკებზე, განათხარისაგან 800-ოდე მეტრზე. სამწუხაროდ, პირველის რიგინად გათხრა-მოხიზვა ვეღარ მოხერხდა, ისე გაშენდა იმ ადგილას ქალაქის ახალი საცხოვრებელი უბანი, მეორე კი — ჯერაც ხელუხლებელია, მაგრამ თან — გაუთხრელიც.

ბ. მიწის ზემო ნაწილში — იქ, სადაც გატეხილი ხიდისაკენ იაღლუჯის ვადალხვით მიმავალ გზას რუსთავეისაკენ დამწეები გზა გამოიყოფოდა იმ უბანს (და, მასთანავე, ძველადაც) მიკვლევა აგურის მოზრდილი, მოგრძო და თავისებური შენობის ნაშთისა (თითქმის საძირკვლანდე დასტლი). იმის გამო, რომ გვეშაში თითქოს დიდრონი შიდა ეზოები და მათ ირგვლივ კი სენაკები „დავლანდეთ“, ამ შენობას პირობით ქარვასლა ვუწოდეთ. სამწუხაროდ, ამ ნაშთის გათხრა მერე ვეღარ მოვახერხეთ და ამაჟამად, ალბათ, ვეღარც მოხერხდება.

გ. სამაროვანს სამხრეთ-დასავლეთით, მტკვრის ჭილას კიდებზე მიკვლევა (და ნაწილობრივ გათხრაც) აგურის გამოსაწვავი ღუმელისა, რომლის დამათარილებელი არაფერი ჩაგვივარდა ხელთ, მაგრამ ეს ღუმელი ალბათ კარგა გვიანდელი კი უნდა ყოფილიყო, ისე ეტყობოდა.

ამას გარდა, ექსპედიციამ, შეიღებდა მტკვარს, საფუძვლიანად დაზვერა მტკვრის მარცხენა ნაპირზე ის „ორი ჰექტარი შემორჩენილი ადგილი“, რომელსაც წინა წელს ნ. ლიმაშვილმა აღნიშნავდა ნაციხვარის პირდაპირ, რუსთავეისაგან შალა ვაკეზე და, მართლაც, მრავლად მოიკრიბა შუაფეოდალური ხანისათვის ესოდენ დამახასიათებელი ფერადი, მოჭიქული ჯამ-ტურქლის ნამტვრევები, რამაც ვაძლიერა ვარაუდი, რომ აქ მართლაც ქალაქის ნაწილია მიწის ქვეშ. დაიზვერა აგრეთვე თვით ნაციხვარი, რომლის ზღუდის პერანგში შემჩნეულ იქნა ჩართული, ხელახლა გამოყენებული ჩუქურთმიანი ქვა და სხვა დეტალები ძველი შენობებისა, ხოლო შიდა არეზე მოგროვებულ იქნა ისეთივე მოჭიქული თუ მოუჭიქავი კერამიკა, შუაფეოდალური ხანისა, როგორც არის გადაღმა ვაკეზე. ამ რამდენიმე დაკვირვებამ ცხადპყო, რომ ამ ადგილებში თხრა, მარჯვენა ნაპირისაგან განსხვავებით უმთავრესად სწორედ შუაფეოდალური ხანის ნაშთებს გამოავლენდა მომავალში. როგორც ვიცით, ეს მოლოდინი სავსებით გამართლდა.

მაგრამ იმავე დაზვერვის დროს აღრიცხულ იქნა ზოგი ისეთი ძეგლიც, რომელნიც ისევე აღრეფეოდალურ ხანას გვანიშნებდნენ. ეს იყო „სოცქალაქის“



ტერიტორიაზე აღმოჩენილი რამდენიმე ახალი ჯგუფი უინვენტარო ინვენტარიანი ქვის სამარხებისა (მ. ივანიშვილს მიერ გათხრილთა მსგავსი) მდებარეობდა ხიდის ყურეში, მტკვართან სულ ახლოს ნაბოვნი ნატეხი ქვისა, რომელზედაც შემორჩენილია აღრიხინდელი ტიპის ე. წ. „ბოლნური ჯვრის“ გამომახატველი მედალიონის დამახასიათებელი ნაწილი. შემდგომმა კვლევა-ძიებამ მარცხენა ნაპირზე იმდროინდელ ნაგებობათა ნაშთებიც გამოავლინა რიცხვით ნაკლები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შუაფეოდალური ხანისა.

1950 წლის კამპანია არსებითად დაიწყო ადრე გაზაფხულზე, ზემოაღნიშნულ ვაკეზე „მედქალაქის“ ვამალებით შენებასთან დაკავშირებით, თავდაპირველად ყოველდღიური მეთვალყურეობის სახით (გ. ციციშვილი), რამაც მრავალი წინასწარი საყურადღებო დაკვირვება და მნიშვნელოვანი მონაბოვარი შესძინა ექსპედიციას. 0,1—1,5 მ სიღრმეზე თითქმის ყოველდღიურად იხუნდა თავს და ინფეროცა რიყის ქვით ნაშენ ნაგებობათა ნაშთები, რომელთაგან ზოგი კრამიტით დაბურთული ჩანდა. ერთ-ერთ კრამიტზე გამოჩვენდა ამოღებული იყო ასომთავრული წარწერა, X—XI სს-ისათვის დამახასიათებელი ხელით. ნაწყვეტიდან (ო...ძნოვლი“) აზრის გამოტანა შეუძლებელი გამოდგა. აღმოჩნდა აგრეთვე მოშავო თიხის პატარა ხელადა, რომელზედაც იმავე ასომთავრულით ამოკაწრულია „თეფაღე“ — ჩანს, პატარონის სახელი (ტაბ. XXIX, 5). ნაგებობათა ნაშთებს გარდა მშენებლობამ დაარღვია მრავალი სამარხიც (ცხადია, ერთად შეჯგუფებული, ჩანს, ორმოსამარხთა ტიპისა), რომელთა ინვენტარიდან უნდა მომდინარეობდეს: რკინის დიდი ხმალი (დღემდე ერთადერთი რუსთავისათვის); რკინის ისრისპირები და ერთიც ბოძალი; მომწვანო-მოყვავისფრო მინის ყურბანი საწებლად (ტაბ. XXXIV, 3) და განსაკუთრებით საყურადღებო ერთი კომპლექსი (რკინის ისრები და ყელსაბამი — სპილენძის 5 გახვრეტილი მონეტა, მათ შორის ორი გიორგი III-სა, ე. ი. XII საუკუნის მეორე ნახევრისა, პატისა და სხვა მძივები), რომელსაც სავსებით გამორკვეული ხმოვანება მიანიჭა საერთოდ ამ ანგრეულ სამარხებს და — ბირველად ჩვენს არქეოლოგიურ პრაქტიკაში — გავაცანო, რომ შუაფეოდალური დროის სამარხებიც შეიცავენ ხოლმე, ზოგან, ნაირნაირ ინვენტარსა და; კერძოდ, სამკაულს გარდა, მინის ქურჭელსა და რკინის იარაღსაც. იმავე კამპანიის განმავლობაში ექსპედიციის მიერ გათხრილმა ნაწილმა სამარხებისა სავსებით დაადისტურა ეს ორივე გარემოება.

მეთვალყურეობის დროსვე გადაჩენილი სხვა ნივთებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ზოგიერთი, რომლებიც, შესაძლოა, წინაფეოდალურ ხანის ეკუთვნიან ან იმდროინდელი სამარხებიდან მომდინარეობენ, ან არა და, კარგა ხნის შემდეგ ხელახლა გამოუყენებელი ფეოდალური დროის სამარხებში მოხვედრილან. ასეთებია: ოქროს თხელი მრგვალი ფირფიტა, ნახევარბურთობზე ჩამოკიდებული (საწყარუნო — სამკაული ტანსაცმლისა)<sup>14</sup>, რომელსაც მრავლად მოეპოვება პარალელები, მაგ., არმაზისხევის ერისთავთა განსასვენებლის, ახ. წ. II ს-ნის სამარხებში<sup>15</sup> წითლად შეღებილ-გაპირალიებული თიხის პატარა კოჭობი და ჭინჭილა; ზემოაღნიშნულ, მონეტებიანი ყელსაბამის შემადგენლობაში შემავალი ავგაროზი — თითქმის ცისფრად მოჭიქული ფაიფურის გამოსახულება მწოლიარე ლომისა, რომლის მსგავსი რამდენიმე არის აღმოჩენილი სამთავროში და აგრეთვე ანანურში, ახ. წ. I—II სს. სამარხებში<sup>16</sup>.

14 გ. ლომთათიძე, დამოწმ. ნაშრ., გვ. 183.

15 მცხეთა, I, თბ.; 1955, სურ. 43.

16 გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945, გვ. 37, 38, 41.

ეს ნივთები ერთი მცირერიცხოვანი ჯგუფთაგანია (თუ არის) გვიანანტიკური დროის ძეგლებისა რუსთავში.

ასეთი ნაყოფიერი მეთვალყურეობის შემდეგ დაწყებული კამპანიის დროს რომელიც სამ თვეს გაგრძელდა, თხრა მხოლოდ და მხოლოდ მედქალაქის შენებლო ფართობზე წარმოებდა, რადგან იქ იყო ყველაზე უფრო საჩქარო, სხვა შენობებიც უნდა აღმართულიყო მალე (ამყმაღ მთელი ის განათხარი რუსთავის სააუადმოყოფოს ნაგებობებს, გალავანსა და ეზოს ასფალტს ქვეშ არის მოქცეული (ტაბ. V, 1).

იქ გაჭრილ იქნა სულ 16 თხრილი: 9 ძირითადი, დიდი (საშუალოდ 1500 კვ მ) და 7 შუალედი ან განცალკევებული, მცირე. თხრა საშუალოდ 4 მ სიღრმემდე წარმოებდა.

ყოველმა თხრილმა გამოავლინა ნაგებობათა ნაშთები, სხვადასხვაგვარი სამეურნეო მოწყობილობა და მათ შორის მრავლად მიმოხეული კერამიკა თუ სხვა მცირე მონაბოვარი.

ნაგებობანი ყველა ერთფეროვანია და ზოგადად თითქმის ყველა ეკუთვნის შუაფეოდალურ ხანას. ოღონდ ზოგან თითქოს ერთსა და იმავე ადგილას რამდენჯერმე დანგრეული და შემდეგ კვლავ განახლებული ჩანს, რაც საგრძნობლად „ხლართავს“ სტრატეგრაფიული თანამიმდევრობის სურათს; აქა-იქ, საძირკვლის დონეზე უფრო ღრმად, თავი იჩინა თვალნათლივ უფრო ძველი, მერმინდელი კედლების ვარდი-ვარდმო მიმართული, დიდრონი ქვათილებით ნაშენი კედლების ნაშთებმა, რომლებიც ალბათ აღრეფეოდალური დროისაა.

ნაგებობათა დიდი უმცირესობის კედლები ამოყვანილია რიყის ქვითა და თიხით (ზოგან — გაჯითაც). ქვები „წოლა“ ანუ „თევზიფხურად“ (ტაბ. VII, 1, 2) არის ნაწყობი — ისევე, როგორც ქართლ-კახეთის ვაკე ადგილებში დღესაც შენდება მეტწილად. იმავე ქართლ-კახეთის სოფლებისამებრ, შენობები მჭიდროდ ყოფილა ერთმეორეზე მიჯრილი, ისე რომ მათ შორის ურემსაც კი გაუჭირდებოდა, ჩანს, ვავლა.

შენობები შედგებოდა საკმაოდ დიდი (50—60 კვ. მ) სენაკებისაგან (ტაბ. VI, VII, 1, 2); ბევრ მათგანში შემონახული იყო თითქმის მთელ-მთელი ქვევრები, ქოცოები, დერგები, მარცვლეულის შესანახი ორმოები და თონეები; ხშირი იყო კერებიც, ნაცარ-ნახშირით სავსე. ამის გამო ხშირად ძნელდებოდა საკუთრივ საცხოვრებელი და სამეურნეო უჯრედების, საითონე-საკუჭნაო — ბუნებრივი დიანისის იმავდროულ ნაქალაქარშიც<sup>17</sup>. ამ დაკვირვებას ისიც აძლიერებს, რომ რამდენიმე ადგილას ერთიმეორის გვერდით არის ნაბოვნი, მაგ., ქალის ოქროს ფაქიზი სამკაული, თონე და საბოსტნე თესლეული, ან სააკვანე მოჭიქული ჭურჭელი (კოტოში) და რკინის ასტამი და ა. შ.

მხოლოდ ორ ნაგებობაში აღმოჩნდა შიგ ჩალეწილი კრამიტი, ე. ი. ამ უკანასკნელით დაბურული და მასასადამე ქანობ-სახურავიანი სახლები შედარებით იშვიათი ყოფილა — ჩანს, უფრო შეძლებულებს ჰქონიათ. მეტწილად კი ეტყობა, ბანიან, დედაბოძიან, სანახევროდ ალბათ მრეწურ შენობებში უცხოვრიათ (ისევე, როგორც თითქმის რვეოლუციამდე ცხოვრობდა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის დიდი უმრავლესობა).

სრულიად თვალნათლივ ჩანდა ყველა შენობის ძალით განადგურების — ცეცხლის წაყიდების, მცხოვრებთა ვაჟლეტის, გაძარცვისა და ინვენტარის მიღწე-მოღწეის სურათი. შენობათა ხის ნაწილები დამწვარა, მათზე დანდობი-

17. ლ. მუხსელიშვილი, დიანისი. ნაქალაქარის აღწერა და ქალაქის ისტორია, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, ნახ. 14.

საქართველოს  
კავშირების  
მეტროსადმი  
გეოლოგიური

საქ. სსრ კ. გეოქიის  
ს.ბ. ს.ბ. გეოქიის  
გ. გეოლოგიის



ლი თუ მათ შორის მყოფი სხვა ნაწილები ჩაქცეულა, რაც ქვეშ მოუყვარებია, მეტ-ნაკლებად დაუმტერებია, თუმცა იმავე დროს („არქეოლოგთათვის ხელსაყრელად“) შემდგომი ხელყოფისა და განადგურებისაგან კი დაუცავს. მათი მნიშვნელობა შენობისა და მათი დანგრევის დათარიღებისათვის, ცხადია, ერთ-ორად მატულობს ამის გამო. ასე მაგ., ერთგან ჩაქცეულ-გადანაწევარ ალიზის კედელს ქვეშ აღმოჩნდა მოჭიქული თიხის ქილა და ნატევირი გამოსახულებით შემაკული თიხის მათარა, ხოლო მეზობელ სენაკში — 32 სპილენძის მონეტა, რომლებზედაც აღმოსავლეთ საქართველოს დამპყრობლის, ხვარაზმშაპ ჯალალედინის დამლა იყო დარტყმული. ეს კი იმას მოასწავებს, რომ სათანადო შენობა XIII საუკუნის პირველ მესამედში ჯერ კიდევ მდგარა და შოგ ჯერ კიდევ უცხოვრია იმ ფულის პატრონ მოქალაქეს. ამას საგნებით შეესაბამება ერთ-ერთ სათონეში აღმოჩენილი სპილენძისავე ფულის დიდი (ნახევარფუთიანი — 8,2 კგრ, 395 ცალი). განძის შედგენილობა; XII—XIII სს. ქართულ მონეტებში (თითქმის ნახევარი ლაშასია) გამოერევა იმავე ჯალალედინის მიერ დამლა დანაკრავი ერთი მონეტა, 1226 წლისა. დასასრულ, აღსანიშნავია ერთგან კერასე შემორჩენილ თიხის დიდ ქვაბ-ქოთახში, სადღუარში აღმოჩენილი სამი მონეტა — გაორგი მესამის, თამარისა და ლაშასია. საერთოდ კი ნანგრევთა შორის მოკრებილი XII—XIII სს-თა 71 მონეტიდან, აგრეთვე არც ერთი არ გადმოაბიჯებს ხნოვანებით 1260 წელს. მხოლოდ ერთია მონღოლური, მანგუყაენის მიერ (1251—1259) და ისიც თბილისში მოჭრილი. ყოველივე ამის გამო, ექსპედიციის მიერ გათხრილი შენობა, რომელიც ერთი მტრული დაკვრით დამწვარ-განადგურებული ჩანდა, და, მაშასადამე, მთელი ის უბანი და ჩანს სულაც მთელი ქალაქი XIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში კიდევ მდგარა და 1260-იან წლებში ან უფრო გვიან თუ დასტეხია თავს ის უბედურება.

რომ ეს უკანასკნელი ძალიან მძიმე დასტეხიით თავს რუსთაველ მოქალაქეებსაც და არა მარტო მათ სადგომებსა და სარჩო-საბადებლებს, ამას თვალნათლივ მოწმობს ნანგრევთა თბრისას აღმოჩენილი ორი ადამიანის ჩონჩხი: ორმოში ჩაჩუხილი, შუბლგაპობილი, 30-იოდე წლის მანაკაცისა და თავწაჭრილი, 16-იოდე წლის ქალისა. არც შინაური პირუტყვი დაუნდიათ მტარვლებს: წინკარში ჩაკლული ძაღლის ჩონჩხიც არის აღმოჩენილი; ეს სამი შემთხვევა აღრიცხულია სულ რამდენიმე ათეულ კვადრატულ მეტრ ფართობზე და ადვილი წარმოსადგენია, რას მიადწევდა ამგვარივე მსხვერპლთა ნაშთების რიცხვი, იმ უბნის ნანგრევთა მთლიანად გათხრა რომ მოხერხებულყო?

ქალაქის ასეთ მოსპობას, არქეოლოგიური სურათის თვალსაზრისით, ერთი დადებითი მხარე ახლავს: ის დიდძალი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, რომელიც ნანგრევთა შორის ამოითხარა და რომლის უდიდესი ნაწილიც უშუალოდ კატასტროფის დღემდე ცოცხლივ უხმარიათ პატრონებს, რაც არ უნდა დაღწილი, გაქსანტრებული თუ ნაკლული იყოს, თვითონაც მკაფიოდ თარიღდება (XIII საუკუნის შუა ხანებით, არა უფვიანეს 1260-იანი წლები-სა) და შემდეგ სხვაგან ამონათხარი მსგავსი ნივთების ხნოვანების საკმაოდ დანამდვილებით შემოფარგვლაშიც გვიწყობს ხელს. იგივე ითქმის, რასაკვირველია, სავანებოდ დაფლულ ქონებაზე (მაგ., შემოადინშენული ქართული ფულის განაზე), რომელიც საშინროების მოლოდინში შეუნახავთ და ამ საშინროების გადავლის შემდეგ ველარ გამოუყენებიათ, რადგან თვითონ დაღუპულან.

ამრიგად, უკვე 1950 წლის, უადრესად შინაარსიანი კამპანიის შემდეგ შეგვექმნა, მანამდე არნახული სიგრძე-სივანით, წარმოდგენა შუაფეოდალური ხანის რუსთავის, როგორც ს ა ნ ო ს ა ხ ლ ო ს ა და ამ უკანასკნელის აღსასრულის შესახებ. მაშინ შედარებით მცირე უბანზე, მაგრამ მკაფიოდ გამოსახული



სურათი დაედო საფუძვლად რუსთავის არქეოლოგიური ისტორიის შემდგომ აღდგენას და სხვა უბნებში განათხრის გააზრებას, უმნიშვნელოვანეს მოვლენათა დათარიღებისა თუ საერთოდ შუა საუკუნეთა ძეგლების პერიოდიზაციას. ეს იყო ძალიან დიდი გარდატეხა ძველი რუსთავის შესწავლის საქმეში, წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი.

ბევრი რამ შევიტყვეთ იმ სამოსახლოს მკვიდრთა ყოფისა თუ სამეურნეო საქმიანობის შესახებაც. მაგ., უძვეელი შეიქმნა, რომ თუმცა მოქალაქეები ყოფილან და ბევრი მათგანი ალბათ ვაჭრობა-ხელოსნობაში იქნებოდა ჩამოყალიბებული (ვერძოდ, ვაჭრობას მიგვიითებებს მრავლად მიმოფანტული ლითონის ფული, ცალკეულ ვანძებზე რომ აღარა ითქვას რა), მათი დიდი ნაწილი მაინც არ მომწყყდარა მიწათმოქმედებას და ამ უკანასკნელის ნაწარმის (ვთქვათ, გამოცხვარი პურისა თუ დოქით ნაყიდი ღვინისა) პასიურ მომზარებლად კი არ ქტეულა, არამედ თვითონაც უწარმოებია იგი. ამას მოწმობს სიმრავლე თითქმის ყველა სახლში ისეთი ინვენტარისა, როგორიცაა საღვინე ქვევრები (ტაბ. VI, VII, 1, 2.) და ქოცოები, ყურძნის წიბნები, ღერგები, თონეები, მარცვლეულის ორმოები, დანახშირებული ხორბალი და სხვა მარცვლეული, საბოსტნე თესლეულის მარაგი, თოხები, ხელსაფქვეები, წისკვილის ორივე ქვა, წალღები და სხვ. ეს ბუნებრივიც არის: გვიანფეოდალური ხანიდან შემორჩენილი საბუთების მიხედვით, საესებით ჩამოყალიბებული საწარმოთა პროფილის ხელონებსაც კი ხშირად ჰქონდათ მაგ., ბაღები და ამით უძლიერებიათ თავიანთი შემოსავალი<sup>18</sup>.

რაც შეეხება ხელოსნურ წარმოებას, 1950 წლის კანპანიის არ გამოუვლენია მისი პირდაპირი ნაშთები (როგორც ვათხარა, მაგ., თბილისის ექსპედიციამ 1948/49 წლებში), მაგრამ დიდი რაოდენობით მოპოვებული ნაირნაირი კერამიკისა და მინის კურტელ-სამკაულების დაკვირვებით შეთვლიერებამ მაშინვე დაბადა ვარაუდი, რომ ამ ნაწარმის თვალსაჩინო თავისებურება მის ადგილობრივ წარმოშობას უნდა მოასწავებდეს, რადგან იგი არ ჩანს თბილისში, დმანისში და არც რომელიმე სხვა — იმჟამად არქეოლოგიურად ჩვენთვის ნაცნობ — საწარმოო ცენტრში ნაყეთები. შემდგომ კანპანიათა მონაპოვარმა კინდეგ უფრო გააძლიერა ეს ვარაუდი, მით უმეტეს, რომ ნაციხვარზე თანდათან იპოველა ნახევარფაბრიკატებისა და წუნის ნიმუშების აღმოჩენა.

კიდევ ერთი ზოგადი შთაბეჭდილება ის იყო, რომ რუსთავის მკვიდრნი, თუმცა ყველანი ერთნაირად შეძლებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ (ამას მოწმობდა თუნდაც აჭა-იქ კრამიტით დაბურული სახლების გამოჩენვა; ზოგან ოქროს კარგი სამკაულის აღმოჩენა, მიუხედავად სასტიკი დარბეულობისა; ზოგან ფაიანსის კურტლის ვანორევა კერამიკაში; ზოგან მონეტების განსაკუთრებული სიმრავლე და სხვ.), საერთოდ მაინც მათი ნივთიერი კეთილდღეობის დონე შედარებით აშკარად მაღალია — შესაძლოა უმაღლესიც კი ქალაქის მთელი ისტორიის მანძილზე. არც ესაა გასაკვირი, ისევე როგორც, მაგ., დმანისისა<sup>19</sup> და თბილისის<sup>20</sup> შუაფეოდალური ხანის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებული ასეთივე შთაბეჭდილება: ვავიხსენოთ, რომ XI—XII სს-ების მანძილ-

<sup>18</sup> იხ. მაგ., III. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 195 (მოქალაქე „ქონის“ დიდი ჯანგლავილის საჩივარი), გვ. 202 და სხვ.  
<sup>19</sup> ლ. მუსხელიშვილი, დაშოწ. ნაშრომი.  
<sup>20</sup> გ. ლომთათიძე, არქ. ვათხარა თბილისში 1948 წ. ზამთარში „ნასაღები საქ. და კავ. არქეოლოგიისათვის“, I, 1955.



ზე, გაერთიანების შემდგომ ყოველმხრივ მოლონიერებამ საქართველოში მიუღრდად ქალიან გამართა წელში, არ შეიძლებოდა ეს გარემოება დაეშინებინა მწარმოებელთა ყოფა-შეძლებასაც არ დასტყობოდა დადებითად, ნიუხედავიდ იმისა, რომ წერილობითი წყაროების მიხედვით, შუაფეოდალურ ხანაში არც კლასობრივი გათავსებლობა შემცირებულა და არც კლასთა წინააღმდეგობა. ამითვე უნდა აიხსნას ის ვარაუზება, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლის შედეგად ვამჩნევთ; ჯალალედინის ხანაოკე, მაგრამ მძიმე ბატონობისა და მონღოლთა პირველი შემოსევა-დაპყრობის ხანაშიც მოსახლეობის ფართო მასები ერთხანს კიდევ ინარჩუნებს (ასე ვთქვათ, იანერციით) კონხნობის შემძლებობას. ამას ვუხანაშნებს, სწორედ, რუსთავის ნასახლარებში მრავლად მოპოვებული, არაღარიბული საოჯახო ინვენტარი (რომელსაც ჯალალედინისა და მახგუ-ყაენის, ჩვენსივე გამოშვებული ფულიც ახლავს თაი) და აგრეთვე თბილისის კერამიკული საწარმოს ნაყოფიერი მოქმედება (რაც ჯერ კიდევ მწარმოებლის შეძლებულებასაც მოწმობს და მომხმარებლისასაც), მონღოლთა პირველი „შვიდობიანი“ შემოსევის შემდეგაც<sup>21</sup>.

მაინც, რამ ვეგვიქნა უკვე 1950 წლის კამპანიის დროს, კერძოდ, რუსთაველი რიგითი მოქალაქეების ნივთიერა შეძლებულების შთაბეჭდილება? ზემოაღნიშნულ ლითონის ფულს გარდა, ეს იყო დიდი სიმრავლე და მრავალფეროვნება მათ მიერ ყოველდღიურ ყოფაში ნახმარი თიხისა თუ მინის ჭურჭლისა და სხვადასხვა მასალის სამკაულისა.

თიხის ჭურჭელში წარმოდგენილი იყო: დერგები, სადღურები, ქოთანები, ნაირნაირი ჯამები, დოქები, ხელადები, მათარები, კოტირები, სამარილეები, საზეთე ჭრაქები, სამელნეც კი, ზოგიერთი თავისებური ფიგურული ჭურჭელი და სხვა. უმეტესობა წითლად გამოშვარი იყო, მაგრამ საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენდა მოთეთროდ გამოშვარი, თხელი კერამიკა და უფრო მეტს — სხვადასხვა წესით მოხატული და სხვადასხვაფერად მოჭიქული ჭურჭელი (უმთავრესად საკერძე თუ სასმისი ჯამები, სამარილეები და ჭრაქები, აგრეთვე რამდენიმე ხელადა და სხვა). ტექნიკურადაც და მხატვრულადაც ეს ჭურჭელი მეტწილად კარგია, ხოლო ნაწილად სრულყოფილიც. ცალკე უნდა აღინიშნოს შედარებით იშვიათად გამოჩეული, მაგრამ მაინც ნაირნაირი ნამუშები ფაიანსის ფაქიზი ჭურჭლისა, რომელთა შორას ვხედავთ ძვირად ღირებულსა და ალბათ იმპორტულ „ლუსტროვან ფაიანსსაც“, რაც განსაკუთრებით ხაზგასამელია (ტაბ. XXVII, XXVIII).

მინის ნაწარმიც ნაირნაირი სახეობით არას წარმოდგენილი: სასმისები, ფლაკონები ანუ სანელსაცხებლები, თითქოს „საწამლე შუშები“ და აგრეთვე მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა ფერის სამაჯურები (ტაბ. XXXIV, 1, 3, 4, 10—12, XXXV, 7), რაც ესოდენ დამახასიათებელია შუაფეოდალური ხანის ნამოსახლართათვის ჩვენში. შეიძინებოდა, რომ მინის ჭურჭელიც და კარგი ფერადი კერამიკაც განსაკუთრებით მრავლად ერთსა და იმავე სახლთა ნანგრევებში გვხვდებოდა.

სამკაულთა შორის, უბირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ოქროს ცალი ჭვირულბურთულებიანი საყურე და ოქროსივე ეჭესყურა ფოთლის სახედ გამოყვანილი, მოცვარული კოლოფა გულსაკიდი (შანს, პისტა-მინის მძივთაგან შემდგარ ეკლსაბამში შემაგალი), რომლებიც წარმოადგენენ ფრად მეტყველ ნამუშებს ჩვენი შუაფეოდალური ხანის ოქრომჭედლობისა — ასე ვთქვათ, მისი

21 ვ. ლომთათიძე, დამოწმ. ნაშრ., გვ. 162.



ყოფითი განხრის, რადგან მანამდე მხატვრული ხელოსნობის ამ დარგს უპირატესად საეკლესიო ინვენტარის, ჯვარ-ხატების მიხედვით ვიცნობდით. სხვა თითქმის აღარაფერი შემოვარჩინა უკუღმართმა წარსულმა. ამავე დროს ისინი თვალნათლივ მოწმობენ, თუ რა ნატიფი და ძვირი სამკაულის შექმნა და ტარება შესძლებიათ რაიისქვეთ ნაშენებ, ბანიან სახლებში მცხოვრებ რუსთველ ქალებს იმხანად.

მრავლად მოიკრება მძივები პისტა-მინისა, თითო-ორთა სარდიონისა, აქატისა და თითქოს ძოწისაც კი, ცისფერი ფაიანსისა. (ტაბ. XXXV, 8—10). გამოირჩევა ფაიანსის უჩვეულო, მედალიონისებრი საკიდები. არის რამდენიმე ბეჭედი — სპილენძისა თუ ბრინჯაოსი, სხვადასხვაგვარი (ამოკაწრულსახე-ებიანიც).

ზედმიწვევით საყურადღებოა, რომ თითქმის სრული პარალელები აღმოუჩნდა ზემოთ დასახიათებულ ნამოსახლარებში აღმოჩენილ საგნებს ექსპედიციის მიერ 1950 წელსვე გათხრილ სამაროვანში, რომელიც განათხარი უბნის მახლობლად იქნა მიკვლეული და რომელიც, ჩანს, შუაფეოდალურ ხანაში სწორედ ამ უბნის სასაფლაოს წარმოადგენდა. იმ სამაროვნისა სულ 25 სამარხი გაითხარა: 19 ორმოსამარხი, 13 — ზის „ჩარჩოვები“ დახურული, 5 — დაუდევრად ნაშენი ფელაქვისამარხი და 1 — ალიზსამარხი (საქართველოსათვის უჩვეულო, მეზობელ აზერბაიჯანში კი ცნობილი ტიპისა). მიუხედავად აღნიშნულისა და დამარხების საკმაო სიღრმისა, მიცვალებულები ყველგან ქრისტიანული წესისამებრ იყვნენ დასვენებული, პირადად, გულხელდაკრეფილი, მტკნოდ სათითოდ, ხოლო ზოგჯერ — ორ-ორი ან სამ-სამი. ინვენტარი აღმოჩნდა სამივე ტიპისა 12 სამარხში, ამ ფაქტის უჩვეულობა ჩვენებურ შუაფეოდალური ხანის სამაროვნებში უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ჩანს, რუსთავი და მისი მხარე ამ მხრივ რატომღაც (მიზეზი საკვლევა) აშკარა გამოჩაყლის წარმოადგენს: საქართველოს სხვა მხარეთგან მკვეთრად განსხვავებით აქ შუაფეოდალურ ხანაში მიცვალებულებს ხელსაწყო-იარაღსაც ატანენ საფლავში, მინისა და თიხის ჭურჭელსაც და სამკაულსაც. ჩვენთვის მეტადრე ხელსაყრელი ის გამოდგა, რომ ამ უქანასკნელში, ყელსაბამად ასხმულ მძივებთან და მივისაკიდებთან ერთად, შედიოდა ერთი გახვრეტილი სპილენძის ფულიც, რამაც მკაფიო ნათელი მოძვინა (ისევე როგორც წინასწარი შეთვალჯერების დროს აღმოჩენილმა ხუთმა ასეთივე მონეტამ) თვით ყელსაბამის, მისი შემცველი სამარხისა და საერთოდ, სამაროვნის (გათხრილი ნაწილისა მაინც) და მისი ინვენტარის ხნოვანებას, ხოლო თანმხლები ნივთების ნაქალაქარში დამოწმებული პარალელების მეშვეობით ამ უქანასკნელის გათხრილი უბნის ხნოვანებისაც, რამაც იქ და აქ მოკრებილი მონეტებისა და თანმხლები ნივთიერი მასალის თარიღის ორმხრივი შემოწმების საშუალება მოგვცა, კიდევ უფრო სარწმუნო გახდა გამოიწვეურებულ ძეგლი დიდი უმეტესობის მიკუთვნება შუაფეოდალურ ხანისადმი. სახელდობრ, აღსანიშნავია, რომ ყელსაბამად გახვრეტილი და, მამასადანე, ქალთა მიერ ნატარები ექვსი ფულიდან<sup>22</sup> ოთხი, გიორგი III-ის მოჭრილი აღმოჩნდა. ეს კი იმას მოასწავებს, რომ ქალებს ისინი უტარებიათ არა უადრეს XII საუკუნის მეორე ნახევრისა და ეგებ სულაც საგრძნობლად უფრო გვიან, XIII ს. დამდეგშიც კი.

საერთოდ სამკაული კი, მოლოდინისამებრ, ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გამოდგა ამ სამარხთა ინვენტარში. ეს იყო: სხვადასხვა

<sup>22</sup> ყურადღებას ღირსია, ახსნას მოითხოვს თვით ეს მიდრეკილება, ყელზე მიდევთან ერთად ლითონის ფულის შებმისადმი. დღევანდელ ქართველ ტომებში ასეთი რამ გვხვდება მხოლოდ მთაყვან და ისგილო ქალთა შორის.



ქვის (სარდიონი, მთისბროლი, ქარვა, გიშერი), ვერცხლის, ფაიანსის, მინისა და მეტადრე პასტის ლენიჭილები, ოროდეც სხვა ავგაროზისებრი მიწები; სპილენძისა თუ ბრინჯაოს ბეჭდები (ბუდიანი, ფარაკიანი; ზოგი გემიანი), რკინისა და ერთიე გიშრის კოხტა ბეჭდები; იმავე მასალის საყურეები (ერთი ჭვირული ბურთულებით) მოგვეგონებს ნასახლარში აღმოჩენილ ოქროს საყურეს და ეს ყურადსაღები ვარემოებაა (სულაც შესაძლოა, ერთი და იგივე ოსტატი უკეთებდა მდიდარ ქალს ოქროსას, ხელმოკლეს — სპილენძისას?!); იმავე მასალის საყინი, მარგალიტისთავიანი (რაც ადრეფეოდალური ხანის ვადმონაშთადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ, სამთავრო — არმაზისხევს ომდროინდელი მასალების მიხედვით); სპილენძ-ბრინჯაოს, რკინისა და მინის (12) სამაჯურები. ამ უკანასკნელთა სიმთელე განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, ვინაიდან დაცულ სამარხთა ვარეშე მუდამ ნამტვრევების სახით ეპოულობთ ხოლმე და აქ თითქმის პირველად ვნახეთ მათი მთელ-მთელი, ნაირნაირი ნიმუშები, თანაც კარგად დართარღებული და, მასხადამე, ნატეხებდა ქცეულთა დათარღების საყრდენად ვარგისი, ტანსაცმელ-ფეხსაცმლიდან აღსანიშნავია, ვარდა ქსოვილისა და ტყავის მცირე ნაშთებისა, სპილენძის ბურთულა ღილები და რამდენიმე კერამიკული მასალისაგან გაკეთებული, სვესებით დღევანდელის მსგავსი, ორნახვრეტიანი ღილი, რაც ყურადსაღებია ჩვენში ასეთი ღილების წარმოება-ხმარების ისტორიისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მცირერიცხოვნაშა, მაგრამ ნაირნაირმა ჭურჭელმა, რომლის სამარხში ჩატანება იმ დროის საქართველოში პირველად აქ შეგვხვდა და არც მის მერმე გამეორებულა სადმე. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის სამ მოჭიქულ თიხის ჭურჭელზე, რომლებიც აღმოჩნდა ერთსა და იმავე ბაეშვის სამარხში და რომელთაც იმდენი პარალელი მოეპოვება რუსთავის, თბილისისა თუ დმანისის ვანათხარში, რომ სრულიად არ გაჭირებულა მათი შემცველი სამარხის მიკუთვნება სწორედ შუაფეოდალური ხანისადმი. ერთი მათგანი პატარა „კალთია“, ორი კი პატარა ჯამუჯა, მოჭიქვამდე მარტივი ამოკაწრული ორნამენტით დამშვენებული. არანაკლები ინტერესი გამოიწვია მოყავისფრო-ამოშვეანი მინის ფრიად თავისებურმა სასმისმა (?) (ტაბ. XXXIV, 4) — ქუსლმალაშა, ყელში გამოყვანილმა, ყურთანა და ტანეკლიანმა (ამ უკანასკნელი ნიშნით იგი სამთავროს, ადრეფეოდალური დროის სამარხებში ვაგრცელებულ მინის საწელსაცხებლებს უნდა უკავშირდებოდეს; გენეტურად). ესეც რუსთაველი ნაწარმი ჩანს და რამდენიმე სხვა, ნაქალაქარში მოპოვებულ ნატეხებთან ერთად, ამ წარმოების ისეთივე თავისებურებას გვანიშნებს, როგორსაც მარჯვენა ნაპირის, ადრეულ შუა საუკუნეთა სამარხებში დაცული მინის ზოგი ჭურჭელი. ეს კი იმას უნდა მოასწავებდეს, რომ რუსთავში ადრევე ჩასახულა და თავისი საყუთარი გზით განვითარებულა მხატვრული მინის წარმოება. უნიკალურად გამოიყურება სპილენძის მომცრო, ყავადანისებრი, რჩილვით შეკრული სურა (ტაბ. XXXVI, 4) და ხის რაღაც პატარა ცილინდრული ჭურჭლის (?) ნაშთი.

როგორც ვხედავთ, 1950 წელს გათხრილ ნაწილს შუაფეოდალური ხანის სამაროვნისა მრავალი სიახლე შემოუტანია არა მარტო რუსთავის ისტორიისა და არქეოლოგიაში, არამედ საერთოდ, საქართველოს არქეოლოგიაშიც. ამიტომ მისი მიკვლევა ექსპედიციას ერთ-ერთ ნამდვილ სიმარჯვედ უნდა ჩაეთვალოს: მან არსებითად, საინტერესოდ შეავსო მანაანდეც და მის შემდეგაც მხოლოდ ნანგრევებიდან მომდინარე, ფრაგმენტული მასალა, სხვა რომ აღარაფერი გავიმეოროთ ზემოთქმულიდან.



ამ სამაროვნის თხრის დროს, სამარხთა შორის თუ თვით მათ კედლებში აღმოჩნდა ზოგი რამ, რამაც მაშინვე წარმოშვა გუშანი, რომ იქვე, სულ ახლოს უნდა მდგარიყო ეკლესიაც, რომლის გვერდითაც წარმოქმნილა თავის დროზე ის სასაფლაო. ეს საფლავები იყო: ქვის ფართოდ დაკბილული ლავგარდნის ორი დიდი ნატეხი<sup>23</sup>, ქვის ორფერდა — განივგვეთიანი ლავგარდნის ნატეხი, რბილი ქვის ჩუქურთმიანი დეტალების სამი მცირე ნატეხი, ორი ღარისებური კრამიტი, რომლებზედაც აკეცილ ბოლოზე გამოწვამდე რელიეფურად გამოსახულია ორნამენტულ წრეში მოჭედილი ჯვარი და სხვ. აქვე აღმოჩნდა ვერო ფიქალქვა, რომელზედაც შემორჩენილია შეუფლად ასომთავრულით ჩამოწერილი ნუთი პქარი (მეხუთე ნაკლებია) „სა მარ ნთჳ ვი ვი.ი(?)“. ჩანს, საფლავის ქვა უნდა ყოფილიყო.

ამათ უნდა დაემართოს რამდენადმე მოშორებით, ნამოსახლევე უბნის თხრისას აღმოჩენილი კიდევ ორი ყურადსაღები დეტალი: რიყის ქვის კედლის წყობაში ჩართული ორი ნატეხი იმავე რბილი ქვისა, ჩუქურთმიანი (ერთი ვერო, თითქოს კანკელის სვეტის ნაწილი) და მეორე საფლავის ქვა, რომელზედაც თითქმის იკითხება „საფლავი“ (ასომთავრულით), (ტაბ. XL, 1.). მესამე ასეთივე, მსგავსი წარწერის მქონე, საფლავის ქვა აღმოჩნდა 1950 წ. კამპანიის დასრულების შემდგომ, განათხარადან შორს, შუა „სოცქალაქში“, კომკავშირისა და ბოსტანქალაქის ქუჩათა კუთხეში, მრავლად გამოვლენილ ქვის სამარხთა შორის. ქვის ჩამოტეხვის გამო ნაკლები წარწერა ასე იკითხება: „ესე საფლავი — ვ...ტი“ (ტაბ. XL, 6). აქვე უნდა ითქვას, რომ ასომთავრულის ხელი სანივე შემთხვევაში აღრეფოდალური ხანის დამდევისათვის დამახასიათებელი ჩანს (ნ. ბერძენიშვილის განსაზღვრულია ორივე შემთხვევაში).

ეს ვარაუდობა უსათუოდ ხაზგასასმელია, მით უმეტეს, რომ რუსთავის ტოლ ქალაქში, დმანისში, გამოხრელს მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების ქართული ეპიტაფიები ეგულებოდა და ამის გამო დაასკვნის, ალბათ საქართველოში საფლავის ქვებზე წარწერების ამოკვეთა შესაბამისად ასე გვიან შემოვიდა წესადო. რუსთავში აღმოჩენილი სამი ეპიტაფია უკუგვაგდებინებს ამ ვარაუდს და ცხადპყობს, რომ ჯერ კიდევ შუაფოდალური ხანის დამდევს მქონიათ ეს წესი აქაურ ქართველებს, თუ უფრო ადრე არა. ისიცაა ყურადსაღები, რომ რუსთავის სამივე საფლავის ქვა მომცრო სტელებს წარმოადგენს და არა ბრტყელად დასადებ ფილაქვებს.

რაც შეეხება ჩუქურთმიან დეტალებსა და ლავგარდნის ნატეხებს, ისინი ჩვენმა ხელოვნებათმცოდნეებმა მაშინვე მიაკუთვნეს აღრეფოდალური ხანის საეკლესიო ნაგებობას.

ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული საგნების უმეტესობის ერთ უბანზე აღმოჩენილ მიწისშენების გამო 1951 წელს ექსპედიციის მესამე, გაცილებით უფრო მცირე კამპანია უმთავრესად მოხმარდა სწორედ იმ საფარულეო ეკლესიის ნაშთის მოძებნა-გამოვლენას. ეს მცდელობა წარმატებით კი დამთავრდა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ნაშთი ამჟამად გაუსახურებელია და ბევრი არაფრის მოქმელი გამოდგა, ისე რომ მისი „კეთილშენობისა“, კრამიტით დაბურვილობისა და აღრეფოდალური ხანისადმი კუთვნილების შესახებ ისევ აღრევე, შორიახლოს ნაპოვნი დეკორის დეტალებისა და ჯვრიანი კრამიტების მიხედვით მოგვიხდა მსჯელობა. შენობის თითქმის მიწასთან მოსწორებული ქვითკირის კედლები, უსწორ-მასწორო ფილაქვებისაგან შედგენილი იატაკი და შუა ხაზზე

23 1959 წელს ნაციხვარზე მუშაობის დაწყებისას რამდენიმე ასეთივე (და იგებ სულაც იმავე ლავგარდნის) ნატეხი აღმოჩნდა ბურჯების განახლებული პერანგის წყობაში ჩართული — ზოგ სხვა ძველ არქიტექტურულ დეტალთან ერთად.



დაყოლებული ორი მომსხო, კედლებიდან თანაბრად დაშორებული სვეტის ქარტიკა სუსტა ნაშთებია იყო შემორჩენილი. ფართობი დაახლოებით 25 X 200 მ<sup>2</sup> უდრიდა, ისე რომ ეკლესია კარგა დიდი ყოფილა. სამწუხაროდ, ამაზე მეტის თქმა მის შესახებ აღარ შეგვიძლია: ჩანს, ძალზე გულდაგულ ყოფილა ჯერ დანგრეული და შემდეგ ოდნავ მიინც გამოსადგევი ქვა-მასალისაგან გაძარცვული (ალბათ, მუსულმან დამპყრობთა მიერ).

ეპიტაფიების, წარწერიანი კრამიტის, წარწერიანი ხელადის და კიდევ თიხის ჭურჭლის ორიოდე ნატეხის მიხედვით (რომლებზედაც თითო-ორთაა ქართული მთავრული ასოთა აგრეთვე გამოყვანილი, ტაბ. XL. 2—5), უკვე 1950 წლის მოხსენებაში მოგვეცა უფლება გავვეცხადებინა, რომ ეს ფაქტები სამი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისაკენ გვიბიძგებენ: ა) რომ შუა საუკუნეთა რუსთავის მოსახლეობაში წერა-კითხვის ცოდნა ფართოდ ყოფილა გავრცელებული და ყოველ უბრალო შემთხვევაშიც კი გამოუყენებით ხოლმე ეს ცოდნა; ბ) რომ არ გამოდის სწორი ნ. შარის მიერ თავის დროზე გამოთქმული აზრი, ქართული ასომთავრული დამწერლობა საზეიმო, საეკლესიო და მსგავსი საჭიროებისათვის იხმარებოდა მხოლოდ, ხალხი მას არ იყენებდაო; გ) რომ თუნდაც იმავე დმანისისაგან განსხვავებით, რუსთავის მოსახლეობა ვაცილებით უფრო ერთგვაროვანი ყოფილა ეროვნულად და ენობრივად.

1950 წელს ნაქალაქარის თხრისას თანდათან ცხადი შეიქნა, რომ, თუმცა ნასახლართა და მათში დაცული არქეოლოგიური მასალების დიდი უმეტესობა შუაფეოდალურ ხანას მიეკუთვნებოდა, არ შეიძლებოდა მათი ერთ მთლიან არქეოლოგიურ „ფენად“ წარმოდგენა, რაკი მათში 2—3 დანგრევა-განახლების ნიშნები ჩანდა საკმაოდ თვალნათლივ აღნიშნული ხანის, ე. ი. 2—2,5 საუკუნის მანძილზე, გარდა ამისა, რამდენსაზე ადგილას თავი იჩინა, გარდა ზემოთ უკვე აღნიშნული ღრმად მდებარე ქვათილებით ნაგები კედლების მქონე ადრინდელ ნაგებობის ნაშთისა, ერთმა წყება წვრილმა ნივთებმა, რომელთა ხნოვნება, საიმედო სამთავრული თუ სხვა, უფრო შორეული ანალოგების მიხედვით, აგრეთვე ადრეფეოდალურ ხანაზე, ხოლო ზოგჯერ პირველ ნახევარზე აქეთვერ გადმოვა, მით უმეტეს რომ ამავე „ქვეფენიდან“ უნდა მომდინარეობდეს ერთი ბიზანტიური სპილენძის ფული, მოჭრილი იუსტინე I მიერ (518—527 წწ.), რომელსაც დაახლოებით შეესატყვისება გაღმა ნაპირზე, კულტურულსავე ფენაში აღმოჩენილი ბიზანტიური ვერცხლის ფული, VII საუკუნისა.

ამ ცალკეული ნივთებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქვისაგან (სარდიონისაგან, აქატისაგან) გამოთლილ-გაბრიალებული ორი ბეჭედი და ერთიც სარდიონის „ტრუბეჭედი“ — შეკიდული საბეჭდავი, რომელზედაც ამოკვეთილია ინტალიო: ფრთოსანი არსება (ზორთასტრული გენია „ხეროში“), რომელსაც ხელთ უპყრია ლენტებით შემკული გვირგვინი (ტაბ. XXV. 8) ეს საბეჭდავიც და მისი გამოსახულებაც, ანალოგების მიხედვით, სასანურ ხანას მიეკუთვნება და ისლამის ხანაში (VII ს-ის აქეთ) უკვე ვეღარ გადმოვა. VI—VIII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ერთი საკინძის თავი, მარჯნისაგან გამოკვეთილი ბროწეულის ყვავილის მსგავსად (აშკარად ჩვენშივე მრავლად წარმოებული ტიპია სამკაულისა). შეიძლება კიდევ ორიოდე აბზინდის დასახელებაც.

ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენის არსებობა შუაფეოდალური ხანის ნაგებობათა ქვეშ სრულიად უეჭველი გახდა, ოღონდ იგი სწორედ ასეთი მდებარეობის გამო წყვეტილი და ნაკლულია.



დასასრულ, არ შეიძლება ორიოდ სიტყვით არ აღინიშნოს 1950 წლის კამპანიის დროსვე შემუშავებული დაკვირვება იმის შესახებ, რომ კიდევ ერთი დროს ღრმად (3, 5—4,0 მ) იმ უბანში უთუოდ ყოფილა წინარეანტიკური დროის ფენაც, ოღონდ ის კიდევ უფრო დარღვეულა და მიმოფანტულა. ამ ფენას ვვინაშნებ რამდენიმე, ტიპური არქაული ფერის წაღ-ლევა, პრადა თიხის ქურჭლის ნატეხები, რომლებიც ან ბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდნენ, ან ადრეულ რკინის ხანას (უფრო დანამდვილებით განსაზღვრისათვის მასალა არ კმარა). შეგვიძლია ერთიც და მეორეც სავსებით ბუნებრივად ვიგულისხმოთ იმ უბანზე, ვინაიდან, როგორც ვიცით, შორიახლოს ნამდვილად იჩინა თავი გვიანი ბრინჯაოს ხანის, იარაღისა და კერამიკის შემცველმა ორმოსამარხებმა, ხოლო რაც შეეხება ადრეულ რკინის ხანას, მისი კუთვნილი ერთი სამარხი და შემთხვევითი აღმოჩენილი რამდენიმე სამარხეული ნივთი მარჯვენა ნაპირზე აღინიშნეთ (1949 წ.), ხოლო მარცხენა ნაპირზე, ნაცხვარზე 1959—62 წწ. განმავლობაში რამდენიმე ადგილას აღმოჩნდა სრულიად უეჭველ ქრილებში და გაცილებით უფრო შინაარსიანი ნამოსახლარის სახით (იხ. ჭვემოთ).

1950 წლის კამპანიის დროსვე, ძირითადი განაოხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში თავი იჩინა შუაფეოდალური დროის ნაგებობათა ნანგრევების ზემოდან აღმოცენებულმა, ჩანს ბევრად უფრო ახალმა სამაროვანმა, რომლისაც სულ 42 ორმოსამარხი ვაითხარა. ყველა მათგანში თითო მიცვალებული იყო დამარხული, ნამდვილი ქრისტიანული წესით — პირადმა, გულხელდაკრეფილი, ინვენტარს თითო-ოროლა თუ შეიცავდა — ისიც სულ მცირეოდენს (პასტის წენიკი მძივებისაგან შემდგარი ყელსაბამი, სპილენძის ბეჭედი, და სპილენძისავე დიდფარაკიანი ბეჭედი). ექსპედიციაში იწყამად მონაწილე პალეოანთროპოლოგის მ. აბდუშელიშვილის დასკვნით, ის მიცვალებულები სულ 300-იოდე წლის წინ უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული არა უადრეს.

ამრიგად, 1950 წლის კამპანიამ ნაქალაქარის უახლესი ამკარად გვიანფეოდალური ხანის ფენად უეჭველობით გამოავლინა — მასობრივი ქრისტიანული ორმოსამარხის სახით, რომლის ხნოვანებაც უფრო სტრატეგრაფიული მდებარეობით განისაზღვრა, რადგან საამისოდ ინვენტარი ცოტაც იყო და უტყვიც. ამ სამაროვნის შესატყვისი სამოსახლო ვერ იქნა მიკვლეული.

1951 წელს შემდეგ კი ნაქალაქარის ამ უბანზე თხრა დღემდე აღარ განახლებულა — უმათვრესად იმის გამო, რომ საავადმყოფოს მრავალრიცხოვანმა შენობებმა, გალავანმა და ასფალტმა თითქმის შეუძლებელყო იქ თხრის წესიერად წარმოება.

1949—1951 წწ. ნაშუშვერის შეჯამებისას ჩვენ ანგარიშს თან დავუერთეთ თხრით ორსავე ნაპირზე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების ერთნაირი ქრონოლოგიური შტაბი, რომელსაც მხოლოდ სამეფო მთა სტეპის ღირებულება და პრეტენზია ჰქონდა, რადგან სისტემატური თხრა ჯერ მხოლოდ დაწყებული გვერნდა და, გარდა ამისა, მასში ჯერ სრულიად არ იყო შეტანილი რუსთავის არქეოლოგიური კომპლექსის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი — ნაცხვარი, როგორც მაშინ კიდევ სრულიად მოუსინჯავი<sup>24</sup>.

იმ რვა წლის განმავლობაში, რომელიც რუსთავის ექსპედიციის მუშაობის განახლებამდე გავიდა (ასეთი დიდი ხარვეზი ექსპედიციისაგან სრულიად დამოუკიდებელი ვითარების გამო წარმოიქმნა) რუსთავში კვლავ ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა და მის მეთვალყურეობას ეწეოდა იქ ახლად შექმნილი სამხარეთმცოდნეო მუზეუმი (პირადად მისი დირექტორი თ. პაატაშვილი). ამრიგად, ბევრი რამ მოიკრიბა სხვადასხვა ადგილას, უეჭველად ყურად-

<sup>24</sup> გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებულ..., გვ 196—198.

საღებო და მნიშვნელოვანი, ამა თუ იმ უკვე ცნობილი პერიოდისა, მაგრამ ასე თავმოყრილ მასალას არსებითი ცვლილება უკვე შემუშავებულ ქრონოლოგიურ სქემაში არ შეუტანია. ასეთი რამ მოხდა მხოლოდ 1959—62 წლებში ჩატარებული 4 კამპანიის შემდეგ, რომელთაგან პირველის შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით შეგვიჩვენებთ, ვიდრე ადრინდელი სამი კამპანიის შესახებ შეგვიჩვენებდა — თუნდაც იმიტომ, რომ ამ სამი კამპანიის შედეგები კარგა ხანია საკმაოდ ვრცლად სურათებითურთ არის გამოქვეყნებული, ბოლო 4 კამპანიისა კი ჯერ ასე არ გამოცემულა.

## II. რუსთავის ნაქალაქარის უმსწავლა 1959—1962 წლებში და იმ ხანად გამოქვეყნებული ძეგლები

1955 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის ბოლოს ჩვენ ვაცხადებდით, რომ განვლილი სამი კამპანიის განმავლობაში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ხარვეზად გამოიყურებოდა ქრონოლოგიურ სქემაში ანტიკური დროის ფენათა სუსტად წარმოდგენილობა და რომ ნაციხვარზე სულ არ გვიმუშავნია, რადგან მას მშენებლობა არაფრით ემუქრებოდა და თან კი იქ ბევრი რამ გვეგულებოდა საინტერესო. ამიტომ შემდგომი კვლევის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიჩნეული გვქონდა სწორედ იქ წამოწყება თხრისა<sup>1</sup>. ეს a priori-ც იყო მიზანშეწონილი (ციხემ აუცილებლად უნდა ასახოს, საერთოდ, ქალაქის თავგადასავლის უმნიშვნელოვანესი მომენტები) და ზედაპირზე მოკრებილი მასალის მიხედვითაც ჩანდა, რომ გარდა მასში უხვად წარმოდგენილი შუაფეოდალური ხანის კერამიკისა (რომელიც ზედმიწევნით ჰგავდა ნაქალაქარის თხრისას ასეულობით მოპოვებულ ნატეხებს), ღრმად უფრო ძველი (შესაძლო იყო, ეგებ სწორედ ანტიკურიც!) ფენები იყო მოსალოდნელი. ამ ფენების გამოვლენა და ნაწილობრივ უკვე შესწავლილი ნაქალაქარისა თუ სამაროვნების სათანადო ფენებთან გატოლება მრავალ საინტერესო საკითხს გააშუქებდა და დიდად შეავსებდა ისტორიის რუსთავისას, რომელიც, ყველა ნიშნისა და ცნობის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი ყოფილა<sup>2</sup>.

ამიტომ იყო, რომ როდესაც (8 წლის შემდეგ, 1959 წელს) ექსპედიციის განახლების საშუალება მოგვეცა, მისი ძირითადი რაზმი დაყენებულ იქნა სწორედ ნაციხვარზე. მეორე, მცირე რაზმმა იმუშავა მარჯვენა ნაპირზე წარმოებულ მშენებლობის მხარდამხარ, 1949 წელს ნათხარი უბნის შორიანლოს, საშუალოდ 700—800 მ მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით, რამდენსამე ადგილას.

ნაციხვარზე ჩატარებულმა პირველსავე კამპანიამ მრავალი არსებითი და ხშირად მოულოდნელი დაკვირვება შეგვიძინა, ნაგებობათა უთუოდ ყურადსაღები ნაშთები გამოავლინა და ნივთიერი მონაპოვრით (მათ შორის მონეტებით) ძლიერ გაამდიდრა რუსთავში უკვე არსებული მუზეუმი. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სავსებით მოსალოდნელი იყო (როგორც ჯერ კიდევ 1950 წელს იქნა ნავარაუდები წინასწარ მოხსენებაში)<sup>3</sup>, ოღონდ ნაციხვარზე ასე

1 გ. ლოთათიძე, დამოწ. ნაშრ., გვ. 199.

2 იქვე.

3 გ. ლოთათიძე, რუსთავში წარმოებულ ანტიკური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები (ისტორიის ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი სესიის თეზისები. მოხსენება წაკითხულ იქნა 7/12—50 წ.).



დაგვიანებით იმიტომ შეუდგა მუშაობას ექსპედიცია, რომ მას მშენებლობა განადგურებას არ უქადდა, იგი „მოიცდიდა“.

ციხეს მთლიანად სტერია ის მცირედ შემოღობული, თითქმის ოვალური მოყვანილობისა და თავმოსწორებული გორაკი, რომელიც ძველი, ძლიერ შექცურებული (ქვიტიკის მსგავსი და დიდი ნაგებობის დასაფუძნებლად საიმედო) კონგლომერატისაგან შედგება და რომლის ფართობი ჰექტარ ნახევარს მცირედ აღემატება (სიგრძე, მტკვარს გასწვრივ უდრის 134, სიგანე — 118 მ, ე. ი. 15 800 — კვ. მ). როგორც ვხედავთ, იგი საქართველოში მომცრო ციხეთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს (ტაბ. I). ეს გარემოება ყურადსაღებია, ვერ ერთი, მისთვის ტაპოლოგიური ადგილის მიჩენას მხრივ, მეორე — იმ მხრივ, რომ სრულიად შესაძლო ჩანს ამ ძეგლის მთლიანად გათხრა-გაწმენდა და შემდგომ, საჭიროებისამებრ, აღდგენა-გამაგრებაც. ასეთი რწმენა შეიქმნა ექსპედიციის პირველი, 1959 წლის კამპანიის დასრულების შემდეგ.

ციხის მოგრძო — სწორკუთხეობანი, დანგრეული გალავნისაგან ყველაზე უკეთ და მაღლად შემორჩენილია ჩრდილო კედელი (ტაბ. I, 1)<sup>4</sup>, რომელიც მტკვარადმა „იზიარება“ და საიდანაც უფრო მაღალი და შევეული ფლატე აქვს გორაკს, წყლისაგან საქმაოდ ძირგამოთხრილი. ამ კედლის სრული სიმაღლე გათხრამდე ჩანდა. ყველაზე ცუდად შემონახულია დასავლეთი, მტკვარს — გასწვრივი, ამჟამად ჭალის გადამყურე კედელი; შედარებით კარგად — სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხეები, რომლებიც ავრეთვე გათხრამდე ჩანდა მთელ სიმაღლეზე.

ნაციხეარზე მუშაობის დაწყებისას გულმოდგინე დაკვირვებამ დაგვასვენებინა, რომ ამ გორაკზე ციხის აგება და აქვე „რუს თავის“ წარმოქმნა, ე. ი. დღესაც მოქმედი მძლავრი და ეკონომიურად ფრიად მნიშვნელოვანი არხის პირველად გაყვანა (ლეონტი მროველის ცნობით, რომელსაც უყოყმანოდ იმეორებს ვახუშტი, მირიან მეფის შვილიშვილის თრდატის მიერ<sup>5</sup>, ე. ი. IV საუკუნეში) ერთდროულად უნდა მომხდარიყო, მით უმეტეს, რომ ციხის ნაშენობაში არაფერი ჩანდა; ვთქვათ, IV საუკუნეზე ადრინდელი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს წინასწარული დასკვნა არც ამხანად, ნაციხეარზე ჩატარებული ოთხი კამპანიის შემდეგ შეუტყვევია რასმე, პირიქით, და ეს ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ექსპედიციის მუშაობისა.

ციხისა და რუს ერთდროულობა ლოგიკურადაც მისალოდნელია. ისინი ერთიმეორისათვის აუცილებლად საჭირონი იქნებოდნენ: ერთი მხრივ, რუს თავი და მისი მომსახურე ადამიანების სამოსახლო საიმედოდ უნდა ყოფილიყო დაცული (მით უმეტეს, რომ არხს ნამდვილად დიდი, სახელმწიფოებრივ-სამეურნეო მნიშვნელობა ექნებოდა ქართლის სამეფოსათვის), მეორე მხრივ კი ამ ფართო და საქმაოდ ღრმა რუსში მონდინარე წყალი ნახევარკუნძულად, ზოლო საჭიროებისამებრ სულაც (გორაკს სამხრეთით, გარდივარდმო გაჭრილი შენაერთებელი მოკლე არხის შემწყობით) კუნძულად აქცევდა გორას და მით საგრძნობლად გაძლიერებდა ციხის ბუნებრივად არც თუ დიდ მიუწვდომლობას. ეს გარემოება მოგვაგონებს ურბნისის ციხის (და რუსთავისაგან განსხვავებით, მთლად შიგ მოქცეული სამოსახლოს), ტოპოგრაფიული პირობების გამო ასევე ადვილად მისაწვდომის, გაძლიერებას ირგვლივ საგანგებოდ ამოღებულ თხრილში საშიშროებისას ლიახვიდან ძველადვე გამოღებული რუს

4 აქაც და კვლავც ქვეყნის მხარეებს პირობითად ვწერთ ასე გარკვევით, თორემ ნამდვილად „ჩრდილო — ჩრდილო-დასავლეთით“ და ა. შ. გვაქვს კედლები დამხრობალი.  
 5 რომელსაც ლეონტი ახასიათებს როგორც ბაქენსა და გონიერს, უმღოთველ მეფეს, ეკლესიათა მშენებელს და ა. შ. (იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 137).



წელის ჩაშვების ვარაუდს, ჩვენ მიერ ჯერ კიდევ ამ შვიდი — რვა წლის წინ გამოთქმულს, რომელსაც მაშინ ყველა არ ეთანხმებოდა.

სხვა საკითხია (რუსთავეასა და ურბნისშიც), თუ სახელდობრ რამ უბიძგა ციხე-ქალაქთა სწორედ ასეთ, ბუნებით სრულიად დაუცველ ადგილებში დაფუძნებას, წინააღმდეგ საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვა მთავორიან ქვეყნებში, დამკვიდრებული და სრულიად გასაგები წესისა. ჩანს, აქ წინ წმომდგარა არა სამხედრო-სტრატეგიული, არამედ სხვა, ეკონომიკური სახის მიზეზები, კერძოდ რუსთავეის მიმართ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ, გარდა ზემოთ უკვე აღნიშნული ვითარებისა (იმ მხარეში მიწათმოქმედების განვითარებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი რუს სათავეის დაცვა-მოვლისა), ამ ციხე-ქალაქს ეკითხებოდა სწორედ მასზე გაშვავალი ორი ასევე მნიშვნელოვანი გზის ჯვარედინის დაცვა-თვალთვალთ, ალბათ ბაჟის აღებაც და მოგზაურთა შესვენებისა თუ საქონლის გასაღებისათვის ხელის შეწყობაც (ხიდი, ფუნდუკები, ბაზარი). ამ გარემოებას უხდა გაეძლიერებინა, კერძოდ, ის სამოსახლო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რომლის მნიშვნელობის შესახებ წინა თავშიც გვქონდა საუბარი და ქვემოთაც გვექნება, რაკი 1959 წელს ამ მოსახრების დამამტკიცებელი ახალ-აბალი ძეგლები გამოვლინდა.

რაც შეეხება თვით იმ გზებს, ისინი ისტორიულადაც ცნობილი არიან და იმდენად ბუნებრივად ყოფილან გაცვალული, რომ დღევანდელ, სოციალისტურ საქართველოშიც განაგრძობენ არსებობას, როგორც მხარეთა შორის მიმოსვლისა და ეკონომიკური ურთიერთობის ცხოველი არტერები: ერთი მათგანი მტკვარ-აღმა მოემართება, აზერბაიჯანიდან და აგრეთვე (სევან-დელიქანზე მოვლით) სომხეთიდან და თბილისისაკენ მიდის, მეორე კი ქვემო ქართლიდან (ე. ი. სომხეთიდან და ირანიდანაც), თბილისის გვერდ-აქცივით, უმოკლესი ტრასით უკავშირდება ჯერ გარე და შემდეგ აგრეთვე შიგნიკახეთს. რასაკვირველია, ეს გზები ომიანობის დროს შემოსულ მტერთა სადინელიც იქნებოდა, მაშასადამე რუსთავეის ციხეს მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობაც შეენიჭებოდა, როგორც თბილისის ირგვლივ აგებულ სიმაგრეთა ერთ-ერთ რგოლს, თბილისთან უახლოესს, მის უშუალო მისაღვომზე მდგარს. ოღონდ რამდენადმე საეჭვოა, მისწვდებოდა თუ არა მისი დამცველი ძალა მტკვრის მარჯვენა ნაპირის აუღლებით მომავალ უცხო ჯარს?

დასასრულ, არ შეიძლება ახლავე არ გავიხსნოთ ნ. ბერძენაშვილის მიერ ჯერ კიდევ 1953 წელს, ამ მხარეში დაზვერვითი მოგზაურობის დროს („ქალაქ რუსთავეის გარემოს აღმოჩენის მიზნით“) 7 რამდენიმე ძველი, წინარეანტიკური ნამოსახლარი გორაკის გამოვლენის შემდგომ (რომელთა შორის უდიდესი და რუსთავეთან უახლოესი იყო სოფ. მიხაილოვკაში, რაიონის ცენტრ. გარდაბანთან) გამოთქმული აზრი, რომ რუსთავეის ციხეც ალბათ ერთ ისეთ ძველ, ოდესღაც თავისებურად გამაგრებულ გორასამოსახლოს ადგილას აღშენებულია და, მაშასადამე, აქ ამგვარი მშენებლობისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ტრადიციული ადგილი ეგულებოდათ. ამის ანალოგიისათვის უნდა გავიხსენოთ ისევე ურბნისი, სადაც მერმინდელი ციხე-ქალაქის კვანძად თუ ბირთვად გა-

6 გ. ლ. მ. თ. თ. შ. შ., ურბნისის ექსპედიციის 1965 წლის გამანის ანგარიში, 1957; მისივე, *Культура и быт Грузии в IV—VII вв. Очерки истории СССР. III—IX вв., М., 1959, с. 274—277*; მისივე, სათანადო თავი საქართველოს არქეოლოგიაში, 1959, გვ. 355.

7 მაშინ ჩვენც მოგვიხდება დაზვერვით ექსპედიციაში მონაწილეობა როგორც ხელმძღვანელის მოადგილეს. ხელმძღვანელმა დაზვერვის შედეგები გამოაქვეყნა 1959 წ. წაკითხული მოხსენებით სახით: ნ. ბერძენაშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, 1960, გვ. 144—145.



მოიყვრება „ხიზანანთ გორა“, რომელზედაც ჯერ კიდევ ენეოლითში ყოფილა სამოსახლო, როგორც გამოირკვა.

ექსპედიციის მუშაობამ ნაციხვარზე სულ მალე საესეებით დაამოწმა ნ. ბერძენიშვილის შემოაღნიშნული ვარაუდი, მაგრამ ამის შესახებ ჭკვემოთ გვექნება საუბარი. ახლა კი მოკლედ გადმოგცემთ ნაციხვარზე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების არსს, ნაბიჯ-ნაბიჯ, კამპანიათა მიხედვით; რაც შეეხება უფრო ვრცელ აღწერა-დახასიათებას, იგი მოიხილება 1959, 1960 და 1961 წწ. კამპანიათა მეცნიერულ ანგარიშებში, ზოლო მონაბოვართა ცალკეული, ვანსაკუთრებით ყურადსაღები ჯგუფების მონოგრაფიულად შესწავლის შედეგები — ექსპედიციის მონაწილეთა სათანადო ნაშრომებში, რომლებიც თანდათან გამოქვეყნდება. დასასრულ, ორი მცირე ნაშრომი მიეძღვნა ციხის თითო მნიშვნელოვან ნაგებობას<sup>8</sup> და მოკლედ გამოქვეყნდა კიდევაც.

უპირველეს ყოვლისა იმან მიიხსრო ყურადღება, რომ ციხის შიდა არე ძალიან მჭიდროდ განაშენიანებული კი გამოდგა, მაგრამ, რატემა უნდა, სრულიადაც ვერ იქნებოდა ისეთივე ტევადი, როგორიც მაგალითად, იმავე ურბნისის შემოზღოფდული არე იყო. ამიტომ ცხადი შეიქმნა, რომ რუსთავში ქალაქის განლაგება სხვანაირი უნდა ყოფილიყო, რომ მისი უდიდესი ნაწილი მდებარეობდა ციხის გარეთ, არხს ვადმოღმა — მაღალ ვაკეზე. ზოლო რაკი ამ უკანასკნელზე არსად ჩანდა (არც თხრის წინა კამპანიების დროს და არც შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით) არავითარი ზღუდე, უნდა დავასკვნათ, რომ საერთოდ ქალაქის უდიდესი სამოსახლო შემოუზღუდავი ყოფილა და მამსახადამე, საშიშროებისას ციხეში პოულობდა თავშესაფარს. თან კი ისიც საეკვოა, ეყოფოდა თუ არა ყველას ციხის ფართობი?

რაკი ასეთი ვითარება ჩანს, a priori საფიქრებელი იყო, რომ ციხეს შოგნით, უპირველეს ყოვლისა, იდგებოდა იმ დიდკაცთა საცხოვრებელი ნაგებობანი, (სასახლე, სამეურნეოდამხმარე შენობებითურთ), რომელთაც სხვადასხვა ჩანაში არგუნა ისტორიამ ქალაქის ფლობა-გამაგებლობაც და მისდამი დაქვემდებარებული დიდი, შუა არაგვამდე მწყდენი მხარის, კუხეთის მართვაც. ესენი იყვნენ: უფლისწულები („ბოსტან-ქალაქი“ საუფლისწულო ქალაქსაც ნიშნავს) და ერისთავები (საუფლისწულოს შემდგომ საერისთავო ცენტრად იქცა რუსთავი), ერთი მხრივ; ზოლო, მეორე მხრივ, სათანადო მხარის „სულიერი მწყემსნი“ — რუსთველი ეპისკოპოსები, რომელთა კათედრის დაარსებას ჩვენა ისტორიული ტრადიცია ვახტანგ გორგასალს მიაწერს<sup>10</sup> (სხვა მრავალ კათედრასთან ერთად, რაც ბუნებრივად საერისთავო ცენტრებთან იყო შეფარდებული). საფიქრებელია, რომ ციხის შიგნითვე დაიბუდებდნენ ხანგრძლივ ისეთი დაუბატოებელი და ამოხრებელი „სტუმრები“, როგორადაც მოეკლინენ საქართველოს და, კერძოდ, რუსთავს თურქ-სელჩუკები, XI საუკუნის მეორე ნახევარში, რაც შეეხება რუსთველ ეპისკოპოსებს, ისინი თავის დროზე, ალბათ, არა მარტო ბინადრობდნენ ციხის შიგნით (ვთქვათ „ეპისკოპოსის სასახლეში“), არამედ წირვა-ლოცვასაც იქვე მდგარ საყდარში „ალავუნდნენ“ ზოლმე: ესოდენ მნიშვნელოვანი ტაძარიც ზომ საიმედო გალავანა შიგნით უნდა ყოფილიყო მოქცეული (გაიხსენოთ სვეტიცხოველის, ურბნისის, ბოლნისისა და სხვა იმდროინდელი დიდი ტაძრები)? მაშინ გამოდის, რომ ის ეკლე-

8 ნ. უგრეღლიძისა მიწის ნაწარმის შესახებ, მ. მიწიშვილისა მოძინული ჯამ-კურჭლის შესახებ, ნ. მამაიაშვილისა ფაიანსის შესახებ, ჯ. ქაღაშიასი საშენებლო კერამიკის შესახებ, მ. ჩხატარაშვილისა „ფერმკრთალი“ კერამიკის შესახებ.

9 ე. ჯანდიერი, ციხის კარიბჭე; ნ. მამაიაშვილი, ციხის ძველი აბანო.

10 ნ. ბერძენიშვილი, დამოწ. ნაშრ., გვ. 146.



სია, რომლის მიწასთან მოსწორებული ნაშთებიც 1951 წელს გათხარა ეკლესი-  
დიციამ რუსგაიოლმა სამოსახლოს ნაშთებს შორის, მეორე, ნაკლებ მნიშვნე-  
ლოვანი ეკლესია ყოფილა.

ასე გულდაჯერებით ციხის შიგნით ტაძრის არსებობის შესახებ იმიტომაც  
ვმსჯელობთ, გარდა ზემოთ ვაღმოცემული აპრიორული, მაგრამ ჩვენი აზრით  
უთუოდ ანგარიშგასაწევი მოსაზრებისა, რომ ჯერ კიდევ გათხრის დაწყებამ-  
დე გვეჩვენა შემჩნეული (როგორც უკვე ითქვა), რომ გალავნის გარეთა პე-  
რანგში ჩართულია სწორედ საეკლესიო ნაგებობების არქიტექტურული დეკო-  
რის ცალკეული ნაწილები — დაკბილული ლავგარდნის რამდენიმე ნატეხი, ორი  
ჩუქურთმიანი ნატეხი და ერთი ბოლნური მედალიონი (ტაბ. II.). შემდეგ ასე-  
თი დეტალების რიცხვი მოგვიმარავლა და შეგვექმნა რწმენა, რომ ისინი სწო-  
რედ ციხეში მდგარი ტაძრისა უნდა ყოფილიყო. თუმცა არც ის ვარაუდობაა  
დასაფიქრებელი, რომ 1950 წელს საკუთრივ ნაქალაქარის თხრის დროსაც იქნა  
აღმოჩენილი დაკბილული ლავგარდნის ნატეხი და ორიც ჩუქურთმიანი დე-  
ტალი.

თავისთავადაც აღძრა ყურადღება ამ პერანგმა, რომელშიც ეს ამკარად  
ხელმეორედ გამოყენებული დეტალებია ჩატარებული. სადაც კი შემორჩენი-  
ლია (ე. ი. მერმინდელი შეკეთება აღარ შეხებია, რადგან არ დასჭირებია), იგი  
ყველგან ერთი და იგივე დამახასიათებელი წყობით არის ამოყვანილი: შუა-  
ში დიდრონი, დაკუთხული (ხშირად, თუ ყოველთვის არა, ოდესღაც უკვე  
ნახმარი და ვაცვეთილი) ქვებია, ხოლო მათ გარშემო — ოთხკუთხოვნად შემოწ-  
ყობილი „ქართული“ აგურები. გამონაკლისს შეადგენს ჩრდილო კედლის  
ზემო ნაწილი, სადაც ნოვარძო ქვათილების რამდენიმე რიგია დაყოლებული,  
უგაფროდ (აგრეთვე ზედახლა გამოყენებული მასალა — ალბათ ისიც ტაძრი-  
სეული). ამ წყობას შუაფეოდალური ხანის რამდენსამე ძეგლზე მოეპოვება  
ზედმიწვევითი პარალელი: თბილისის დედაციხეზე<sup>11</sup> და 300 არაგველის ბაღ-  
ში შემორჩენილ ნანგრევებზე<sup>12</sup>, არმაზისტყვეს მონასტრის ეკლესიაზე<sup>13</sup> და  
ა. შ. ამის გამოც და ზღუდის შიგნით თხრისას დაკვირვების მიხედვითაც,  
რუსთავის ციხის ეს, ამკარად მეორადი პერანგი, ბოლოს და ბოლოს შუაფე-  
ოდალურ ხანას მიეკუთვნება. ეს იყო ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, არსები-  
თად დამაზუსტებელი პირვანდელი შთაბეჭდილებისა, თითქოს ასეთი პერანგი  
გვიანფეოდალურ ხანაში ყოფილიყოს ამოყვანილი, რასაც ასე თუ ისე აძლი-  
ერებდა ის ვარაუდობა, რომ თბილისის განაპირას, ორთაჭალის ერთ-ერთი  
ბოლო სახლის ტიშკარს თითქმის სრულიად ასეთივე პერანგი ჰქონდა (ამ ათი-  
ოდე წლის წინ შელესეს) და ის შენობა კი ალბათ XIX საუკუნის პირველ  
ნახევარზე უფრო ძველი ვერ იქნებოდა, ისე რომ აღნიშნულ წყობას ძალიან  
დიდ ხანს უარსებნია.

1959 წელს ნაციხვარზე მუშაობა ორი მიმართულებით წარმოებდა: ა) ზღუდის გარედან ჩაწმენდა და ბ) ზღუდის შიგნით თხრა.

გარედან გაწმენდამ საეხებით გამოგვიჩინა, რა სიმაღლეზედაც კი იყო შე-  
მორჩენილი მრავალთავან სამი ნახევარწრიული ბურჯი (საერთო რიცხვი ჯე-  
რაც არ გვაქვს დადგენილი, სანამ მთელი ზღუდე არ გარშემოთხრილა), ზღუ-  
დის მიმდგომი ნაწილებითურთ: აღმოსავლეთ კედლის ჩრდილო ბოლოს ორი

<sup>11</sup> В. Пинцадзе, Тбилиси, 1958.

<sup>12</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლ. გათხრა თბილისში 1949 წელს, თბ., 1958.

<sup>13</sup> Р. Шмерлинг. К вопросу о времени возведения храма в монастыре Армази близ Мцхета, საქ. მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყოფ. მოაზრ., 1961, № 1, გვ. 229—238.

დიდი და ერთიც, მათ შორის, მცირე, ხოლო იმავე კედლის სამხრეთ ბოლოს — მოზრდილი, კარიბჭიანი კოშკი. ამ უკანასკნელს შიგნით გამოვლენილ ექნა ციხეში ამომავალი, აგურისკიბიანი დერეფანი (ტაბ. III.). სწორედ ამ ექნა და მისი მიმდგამი კედლის პერანგშია ზედიწვენი ტიპურად წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მეორადი წყობა (აგურებით შემოხარჩობული დიდი დაკუთხული ქვები), რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ბოლო ხანებში შემოუპარცევთ უსასყიდლო საშენი მასალის მოყვარულებს. კოშკის სამხრეთ ფასადში იყო ჩატანებული უკვე ხსენებული „ბოლნურშედალიონიანი“ ქვა, რომლის მედალიონი თათქმის გადაღესილი აღმოჩნდა, ხოლო თვით ქვა — ძლიერ ცეცხლში ნამყოფი (ტაბ. II. 2.). ქვითკირიანი წყობიდან გამოტყვის შემდეგ გამოირკვა, რომ თავდაპირველად იგი ალბათ სტელის (კუბური მოყვანილობის) სადგარს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე სიბრტყეზე მედალიონს. ეს გარემოებაც, თვით ბოლნური ჯვარიცა და დაკბილული ლავგარდნის ნატეხებიც, ყველა ერთად, აღრეულ შუა საუკუნეთა ქრისტიანული ტაძრის მომასწავებელი ჩანდა და შემდგომი მსგავსი დეტალების აღმოჩენამ ეს ვარაუდი მხოლოდ განამტკიცა.

როგორც უკვე ითქვა, ამ დეტალების აქა-იქ ჩართვა ხელახლა ამოყვანილი პერანგის წყობაში შუაფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან თვით ეს წყობა უპირატესად იმ დროს ჩანს გავრცელებული ჩვენში. მაგრამ ამ მოვლენას აქვს მეორე მხარეც: ასეთი უდიერი მოპყრობა ძველი საეკლესიო შენობის დეტალებისადმი, რომელთა ესოდნ დატეხილობა და მიმოფანტულობა თავის მხრივ თვით შენობის განადგურებასა და დარღვევას მოასწავებს, არ შეიძლება მიეწეროს იმათ შთანამავლებს, ვისაც თავის დროზე ის შენობა აუგია და სიყვარულით მოურთავს ასეთი დეკორით — ე. ი. ქრისტიანებს, ქართველებს. მისი დანგრევაცა და ნანგრევი მასალის ციხის კედლის პერანგის ხელახლა ამოსაყვანად ქრისტიანობის მტრის ხელის ნაშეწყვედარი უნდა იყოს. ხოლო რაკი თვით წყობის ტიპი შუაფეოდალური ხანისა უფრო ჩანს, ვიდრე აღრინდელი, ამ მტრად უნდა ვივულისხმოთ არა, ვთქვათ, არაბები, არამედ თურქ-სელჩუკები, რომელთა ჩვენში შემოსევა-თარეში XI საუკუნის მეორე ნახევარში და, კერძოდ, რუსთაფში კარგა ხნით დამკვიდრება, ჩვენი ისტორიული წყაროების მიხედვით, უცალობელი ფაქტი ჩანს. თანაც საფიქრებელია, რომ, როცა რუსთაფს დაუფლებიან, მათ მოხდომიათ მისი აღებობისათვის ბრძოლისას თავიანთ მიერვე ძლიერ დაზიანებული ზღუდის აღდგენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ კოშკში კარიბჭეცა და აგურის კიბეც აგრეთვე შუაფეოდალურ ხანაში ჩანს გამართული, როგორც მომდევნო კამპანიების დროს გამოირკვა, შიდა ნაგებობათა ნაშთებთან დაკავშირების საშუალებით, სადაც ეს ფენა თვალნათლივ გამოიყო და, სხვათა შორის, იმდროინდელი კედლებას წყობაში აგრეთვე თავი იჩინა თითო-ორიოლა ძველმა არქიტექტურულმა დეტალებმა, ხელახლა გამოყენებულმა ჩვეულებრივი საშენი ქვის სახით. ამრიგად, კარიბჭის შემცველი კოშკის გარეგანი შემოსევა და შინაგანი მოწყობილობაც ერთდროული ჩანს შუაფეოდალური ხანისა, ხოლო არც ერთისა და არც მეორის პირვანდელი სახისა არა შემოგვრჩენია რა.

რაც შეეხება ზღუდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეს, აქ სულ სხვაგვარი სურათი გამოიხატა და იგი სხვაგვარი გამოდგა საყურადღებო, ჯერ ერთი, კუთხის ბურჯის პერანგი ისევე ძლიერ არის განახლებული აგურით მოხარჩობებული დაკუთხული ქვებით (და მათ შორის — დაკბილული ლავგარდნის ნატეხებით), როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთის, კარიბჭიანი კოშკისა და ამით



თვალნათლივ განსხვავდება მეზობელი ორი, 1959 წელსავე გამოშვებული ბურჯისაგან: ეტყობა, კუთხის ბურჯები განსაკუთრებით დაზიანებულია გარე მოცვის დროს და ამიტომ მათ ასე გულდაგულ დასჭირვებით პერახვის გაანა-  
 ლება შუაფეოდალურ ხანაში. მაგრამ ამ კუთხის ბურჯის დანგრევა-განახლება ამით როდის მოთავებულა: შემდეგ მას სიმაღლის კარგა დიდი ნაწილი მონგრე-  
 ვია, იგი მოუსწორებიათ და ზედ დაუშენებიათ დიდრონი ალიზით შვიდროდ ამოყვანილი, მოყვითალო-თეთრი (გაჯიანი) დუღაბით ფენა-ფენა დაყოფილი წყობა, რომელშიც ერთ ადგილას ნიშაც კი გამოუყვანიათ, იმავე დუღაბით გამოლესილი. ალიზის ამ მერმინდელი დანაშენის ნაშთი — ძირა ფენა, გარდა ბურჯის ტანისა, ჩანს მომდევნო მცირე ბურჯამდე, კედლის ვადანანგრევეზე და ნაწილობრივ თვით მცირე ბურჯზედაც, შემდეგ კი აღარ გამოჩენილა. ვინაიდან ალიზებს შორის დატანებული დუღაბის ფენა-ტიხრები მაგარი გამომდვარა, ისინი ზოგან იქაც კი გადარჩენილა, სადაც ალიზი გამჭრალა და საერთოდ ერთგვარი „ფიკისებრი“ ჩონჩხის მსგავსი რამ გამოდის, რომელშიც ალიზი თითქოს „ჩალაგებული“ ყოფილა. ეს თავისებური წყობაა, საქართველოში სხვაგან არნახული და, ჩანს, საკმაოდ გამძლეც.

ხანგრძლივმა გულმოდგინე დაკვირვებამ დაგვარწუნა, რომ „ფიჭა-ალიზის“ დანაშენი უნდა შეესაბამებოდეს რუსთავეის ციხის მშენებლობა-ადრდენის ისტორიის უკანასკნელ საფეხურს, როდესაც საჭირო გამხდარა შუაფეოდალური პერიოდის ბოლოში ძლიერ დანგრეული ციხის ისევ განახლება, კარგა ხნის შემდეგ, ერთი სიტყვით, დაგრწმუნდით, რომ აღნიშნული დანაშენი წარმოადგენს უახლოეს ფენას ციხის ნაშენობისა.

მაგრამ 1959 წლის კამპანიის პერიოდში თანდათან გამოირკვა, რომ ეს კი ასეა, მაგრამ „ფიჭა-ალიზის“ სრულადაც არ ყოფილა ამ ყველაზე უფრო გვიანი მშენებლობის ერთადერთი ძეგლი. კუთხის ბურჯსა და მეორე დიდ ბურჯს შორის თავი იჩინა ზღუდეზე გარედან მიშენებულმა, მცირე, მაგრამ ძალიან კარგად, აკურით ნაგებმა და სადაც საჭირო იყო ჰიდრავლიკური ხსნარით შელესილმა აბანომ (ტაბ. IV, 1, 4), რომელიც მცირე ტახარით ებმოდა კუთხის ბურჯს, უშუალოდ ეხებოდა შუა, პატარა ბურჯს, ხოლო მეორე დიდ ბურჯს წინ საგანგებოდ მოწყობილი, ზღუდეში შეჭრილი კიბით უკავშირდებოდა ზღუდის შიდა არეს (ტაბ. IV, 1) — ჩანს, იმ სასახლეს, რომლის ბინადარიც ჩამოდიოდნენ ხოლმე მასში საბანაოდ. ამ აბანოს კედლების ლესილი, რამდენიმე ათეული, ნატეხის მახედვით, სხვადასხვა ფერის საღებავებით მოხატულიც ყოფილა. შუაში მდგარა ცილინდრული აუზი (შადრევანი), მას ზემოთ — საკუთრივ საბანაო ორი, შიგნით შელესილი აუზი (ტაბ. IV, 2, 3.), რომლებშიც დუშელით გაცხელებული წყალი ერთი მხრიდან ჩამოდიოდა, ხოლო, საფიჭებელია, სურნელებით გაზავებული — მეორე მხრიდან. სასახლისკენ ასასვლელი კიბის ქვედა საფეხური და მის დონეზე აუზებთან ში-  
 სასვლელად გამართული აკურფენილი დანდობილია ბურჯებს შორის საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილ ნაყარ მიწაზე და ეს ვარეშობაც თვალნათლივ მოწმობს, რომ შუაფეოდალურ ხანას შემდეგ (როდესაც ხელახლა შეუშოსავთ ბურჯები და მერე ამ სამოსელზე მიუყრიათ მიწა) რამდენიმე საუკუნე გასულა. რომ ის ნაყარი მართლაც შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნის, ამას მოწმობს მასში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა, ვერცხლის ჯვარი და სხვ. (ტაბ. XXXIX, 4).

ყველაზე უფრო დანამდვილებით კი ეს აბანო დაგვითარღა მისმა ზედმიწევნითმა კონსტრუქციულმა მსგავსებამ გრემის ნაქალაქარში ადრევე გა-



თხრილ, XVII საუკუნის საზოგადო აბანოსთან<sup>14</sup>, რომელთან შედარებით ჩვე-  
ნი მინიატურულად გამოიყურება და ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სასახლე  
ქრძთა.

საბანაო წყალს, ეტყობა, არხიდან იღებდნენ და აცხელებდნენ.  
დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ გათხრილ აბანოს არხის  
მხარეზე აკლია ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც: შემორჩენილია მხოლოდ  
აგურის ორი დახტურული ღარი (თითო აუზისა — თითო), რომლებიდანაც ჩანს,  
უშუალოდ რუში იღვრებოდა ნაბანი წყალი, ხოლო ზემო აღნიშნულ „შადრე-  
ვანსა“ და რუს შორის აღარაფერი დარჩენილა, თითქოს ძალით აუფეთქებით  
და წყალში გადაუყრიათ.

ამრიგად, 1959 წლის კამპანიის ბოლოსათვის სივსებით გამოიკვეთა ერთი  
ფრიად შინაარსიანი, გვიანდელი კომპლექსი ზღუდის ჩრდილო-აღმოსავლეთ  
კუთხეში: „ფიჭა-ალიზ“ შევსებული კედელ-ბურჯები და გარედან მოშენებუ-  
ლი ბატარა, მაგრამ კარგად, სახსრების დაუზოგავად, მუსლიმანურ ყაიდაზე  
ნაშენი (განსაკუთრებით — მოხატული ლესილის მიხედვით) და თან გრემის სა-  
ქალაქო აბანოს ფრიად მსგავსი აბანო, რომელიც XVII საუკუნით დათარიღდა.  
მან ეს თავისი ხნოვანება ბუნებრივად გაგვავრცელებინა კედელ-ბურჯთა აღი-  
ზის დანაშენებელად და აგრეთვე იმ საფარადო სასახლეზედაც, რომელსაც  
ეს კიბით უკავშირდებოდა და რომლის მდებარეობასაც სწორედ ამ კიბის თავი  
გვანიშნებდა.

ყოველივე ამის აწონ-დაწონამ სრული საფუძველი მოგვცა იმისათვის,  
რომ ზემოაღნიშნული ნაშენობა ჩაგვეთვალა გამაჰმადიანებული კახელი ბაგ-  
რატიონის, ერეკლე პირველის ანუ ნაზარ-ალი-ხანის მიერ რუსთავის ნაციხვარ-  
ზე საზამთრო ადგილსამყოფელის მოწყობისას იმ მაჰმადიანური რიგის სასახ-  
ლის ნაშთებად, რომლის შესახებაც გვაქვს ვახუშტის სიტყვაძვირი ცნობა: „ამ  
უამთა (ე. ი. ვახუშტის ნაშრომის დაწერამდე არც თუ დიდი ხნის წინ. გ. ლ.)  
ქმნა სასახლე ე ბ მეფემან ერეკლემ, მერმე შენუსრა ე ლ მეფემან ვახ-  
ტანგ“<sup>15</sup>. უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს — თეიმურაზ ბატო-  
ნიშვილი, ამკარად ამრეზილი ვახტანგის, ვახუშტისა და საერთოდ, ჩანს, ქარ-  
თლელი ბაგრატიონების მიმართ: „ესე ქალაქი რუსთავი ახლად აღაშენა და  
განაახლა მეფემან საქართველ ლოქსამან ირაკლი პირველმან  
(ხაზს ჩვენ ეუსვამთ. გ. ლ.) და ქმნა მუნ პალატიცა სამეფო, და მარადის ზამთ-  
რით სცხოვრებდა მუნ: არამედ ვახტანგ მეექვსემან, მეფემან ქართლისამან,  
კვალად დაარღვია ქალაქი და პალატიცა სამეფო და ოზერ-ჰყო შურითა“<sup>16</sup>.  
დასასრულ, არსებობს კიდევ მესამე ცნობა, რომლიც მიხედვითაც ვახტანგმა  
სწორედ იმიტომ დაუნგრია რუსთავში აშენებული სასახლე ირანელთა მიერ  
საქართველოში აღხევებულ ნაზარ-ალი-ხანს, რომ აღმოეფხვრა რენეგატის იქ,  
თბილისთან ესოდენ ახლოს დაფუძნების კვალი, მიწისთან მოესწორებინა  
მუსლიმანური გემოვნებით ნაშენი და მორთული სასახლე<sup>17</sup>. 1959 წლის კამ-

14 იხ. ლ. რჩულიშვილის ანაზომები გრემში გათხრილი აბანოსი. პირველად სწორედ  
აღნიშნულმა მკვლევარმა (საერთოდ, ჩვენი ექსპედიციების მუდმივმა კონსულტანტმა — არქი-  
ტექტურის ისტორიკოსმა) მიგვიითია ჩვენი აბანოს ეს ანალოგია.

15 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 50.

16 E. Такашвили, Описание рукописей, т. II, вып. III, 1908, с. 586—588  
(თეიმურაზ ბატონიშვილის კომენტარი „ვეფხისტყაოსნისადმი“, რუსთაველის ვინაობა-სადა-  
ურობის შესახებ).

17 П. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии, Тифлис,  
1850, с. 37.

პანიამ დაგვანახვა, რომ ამ უკანასკნელის ერთ-ერთი ფრიად დამახასიათებელი ნაწილი — იბანო მართლაც ძალით დანგრეული, აფეთქებულიც კი უნდა იყოს. თვით სასახლეზე ყურადღება სხვა კამპანიის დროსაც გაამიხვილა ექსპედიციამ, მაგრამ ამის შესახებ ჭკვემოთ ვისაუბრებთ.

ამრიგად, 1959 წელს გამოვლენილმა, ამჟამად გვიანფეოდალური დროის დანაშენ-მინაშენმა უცხად ძალზე გაათართოვა რუსთავის ნაციჭვარის არქეოლოგიური კომპლექსის ხნოვანება და დაემოწმა „ეფესისტყაოსნის“ კომენტატორს, კახელ ბაგრატიონს იმაში, რომ ერეკლე პირველს (ქართლში 1688—1703 წლებში რომ მეფობდა) რუსთავში მართლაც მნიშვნელოვანი აღდგენითი მშენებლობა უწარმოებია და მკვიდრად მოუწყვია თავისთვის „მარდის საზამთრო“ სამყოფელი ძველსა და საკმაოდ დაზარეულ ციხეზე. ამის შემდეგ უკვე სხვაგვარი მნიშვნელობა მიენიჭა იმ ქრისტიანულ სასაფლაოსაც, რომლის 42 სამარხიც 1950 წელს გაითხარა რუსგამოდმა და რომლის ხნოვანება, როგორც ითქვა, აგრეთვე დაახლოებით 300 წლით განისაზღვრება. ჩანს, აღარც თუ ისე გაუდაბურებულ ნაქალაქარში დაუღვია ბინა ერეკლე პირველს, ან მაინც და მაინც, მის იქ დაბინავებას თან მოჰყოლია ქართული სამოსახლოს კვლავ გაჩენა ციხის შორიახლოს. ის სამოსახლო მით უფრო იარსებებდა ქართლში ნაზარ-ალი-ხანის უშუალოდ მომდევნო მეფის ვახტანგ მეექვსის დროს (1703—1724), რომელმაც განაახლა რუსთავის ძველი არხი (ჩანს, ნაზარ-ალი-ხანის დროს აღარ ან მხოლოდ ნაწილობრივ მოქმედი), ამ არხს კი მომსახურენი („მერუენი“) საკმაოდ მრავლად დასჭირდებოდა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ როგორც თვით ნაზარ-ალი-ხანის აბანოს მდებარეობა-აღნაგობისა და, კერძოდ, ნაბანი წყლის განმარინებელი ღარების განლაგება მოწმობს, არხში წყლის დენა (სათავესთან მაინც) მის დროს არ ყოფილა შემწყდარი. ესეც არ არის უმნიშვნელო დავკვირება.

ასეთი მრავალმეტყველი გამოდგა ექსპედიციის მიერ 1959 წელს ჩატარებული მუშაობა რუსთავის ციხის ზღუდის გარედან ჩათხრა-შესწავლისათვის. მან გაგვარკვია თვით ციხის ისტორიის ძირითად პერიოდებში და თან არსებითად შეაესო რუსთავის ძეგლთა საერთო (სამუშაო) შკალა, წინარე კამპანიების შედეგად მოხაზული<sup>18</sup>.

არანაკლები ნაყოფი გამოიღო ციხის შიგნით წარმოებულმა თხრამ, რომელმაც — წინასწარ ვიტყვი — ჯერ ერთი, სავსებით გაამართლა ექსპედიციის წინასწარი მოლოდინი<sup>19</sup> და მეორეც, ბევრად უფრო ღრმად ჩაიყვანა ამ ძეგლის სტრატეგრაფიული ჰრიალი, ვიდრე ზღუდის გარედან შესწავლის მიხედვით ჩანდა.

ნაციჭვარის შიდა, პექტარნახევარი ფართობის ერთბაშად გათხრა, რა თქმა უნდა, არ მოხერხდებოდა და ამიტომ შერჩეულ იქნა ორი უბანი: ჩრდილო კედლის ძირში (შიდა ნაშენობის მასთან ურთიერთობის ვარკვევის მიზნითაც — დიდი, I თხრილი) და შუა ადვილას, სადაც მცირე საცდელი თხრილი გაიჭრა (II). კედლის ძირას აღმოჩნდა სხვადასხვა დროისა და სხვადასხვაგვარ ნაგებობათა მრავალი, ერთი მეორეში „ჩახლართული“ ნაშთი“ (ტაბ. VIII.), რომელთა შორის დიდძალი არქეოლოგიური მონაპოვრის (კერამიკის, მინის, მონეტების) მიხედვით, თითქოს ჭარბობს შუაფეოდალური ხანისა, მაგრამ მერე და მერე თანდათან დაღრმავებისა და დაკვირვებით შესწავლის წყალობით, გამოინაკვთა ნამდვილად უფრო ძველი და იმ უბანზე (ჯერჯერობით საერთოდ

<sup>18</sup> გ. ლ. მ. თ. თ. ძ. რუსთავში წარმოებულ... გვ. 197—198.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 199.



ციხის შიდა არეზედაც) ყველაზე უფრო მკვიდრი და საყურადღებო, რთულ ნაშენობა. ამ კომპლექსის გამოვლენა დაიწყო ერთი, მთლად აგურით ამოყვანილი ნაგებობის ნაშთით, რომელიც თანდათან წარმოდგა გამთხრელთა წინაშე, როგორც ნამდვილი აბანო, თანაც ისეთი, რომელიც საკმაოდ ბევრი რამით მოგვაგონებს ჩვენში გათხრილ, გვიანანტიკური ხანის აბანოებს (არმა-ზისხევში<sup>20</sup>, ბაგინეთში) და ადრეფეოდალური ხანის აბანოს, რომელიც თავის მხრივ ასევე მოგვაგონებს წინარე დროსას (ურბნისში). მსგავსება უპირატესად გამოიხატება შიპოკაუსტში და კედლებში დატანებულ საპაერო მილებში, განსხვავება — იმაში, რომ აქ მხოლოდ ერთი განყოფილებაა და აბაზანა (სავარაუდოდ იატაკის დონეზე შემორჩენილი, გამყვანი მილის მიხედვით) თითქმის საცეცხლის (ტაბ. IX, 1, X). უშუალოდ მიხლობლად ყოფილა ვანლაგებულები; თანაც კალორიფერის სექტები აქ ყველა კვადრატული აგურით ყოფილა ნაშენი და მრგვალით სულ არა (ტაბ. XI, 1).

თხრის მიმდინარეობაში ნელ-ნელა გამოიარკვა, რომ ეს აბანო განცალკევებული შენობა კი არ ყოფილა, არამედ მჭიდროდ „გადაბმული“ ქვეთკირის დიდ კაპიტალურ, მოგრძო-სწორკუთხოვან ნაგებობაზე და რომ მათ შორის არა ჩანს არსებითი „უფროს-უმცროსობა“, ისინი შეიძლება ზოგადად ერთდროულ კომპლექსად მივიჩნიოთ (ტაბ. IX, 1, 2). რაც შეეხება დროს, თითქმის იმავეითვე შეიქმნა შთანჯვლილება, რომ აქ ადრეფეოდალურ ხანასთან უნდა გვქონდეს საქმე: ჯერ ერთი, აბანო, ზემოაღნიშნული გვიანანტიკური გადმოწონებობა და შუაფეოდალური ხანის აბანოებთან (მაგ. დმანისისა) გაცილებით ნაკლები მსგავსების გამო არ გადმოვიდოდა უფრო ახალ ხანაში, ხოლო მისი ამ წნოვანების გავრცელება მის მომცველ დიდ (სასახლისეულ?) შენობაზე სავსებით დასაშვებია იყო; მეორეც, ორივე აღნიშნულ ნანგრევზე რამდენსამე ადგილას იყო დაშენებული საგრძნობლად უფრო გვიანდელი და ნაკლებ კაპიტალური (რიყის ქვითა და თიხით ამოყვანილი) ნაგებობანი, რომელთა მიკუთვნება შუა ფეოდალური ხანისადმი სრულიად არ იწვევდა ეჭვს, ფრიალ დამახასიათებელი კერამიკის და მონეტების წყალობით. არ შეიძლება ზაზი არ გაესვას აბანოსთან დაკავშირებული ნაგებობის (როგორც შემდეგ კაპანიებში ვაირკვა, ოთხსენაკიანის) კედლების გაცილებით მეტ სისქეს, მერმინდვლებთან შედარებით და თან იმას, რომ ისინი ამოყვანილია უმთავრესად მოხრდილი ნატები ქვით (მხოლოდ ნაწილობრივ — რიყის ქვითა და კირისა და გაჯის დუბით და არა თიხით).

ასე გამოიხატა ციხის შიგნით მისი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი, რომლებიც საკმაოდ დარწმუნებით შეგვიძლია მივიჩნიოთ თავდაპირველი სასახლის ანსამბლის შემდგენლებად, ოღონდ უფრო დანამდვილებით მხოლოდ აბანოს რაობას თუ დაეადგენთ, სხვებისას — ჯერ ვერა. ისიც აღსანიშნავია, რომ არც აბანოს, არც ოთხსენაკიანი ნაგებობის (ტაბ. VIII, IX, 1.) და არც თითქოს ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ქვის საწინახლის თხრისას არაფერი აღმოჩენილა სწორედ ადრეულ შუა საუკუნეთათვის მისაკუთვნებელი — მოჭიქულ ჯამთა ზოგი სახეობა (უანგობისფროდ მოხატული), რომლებიც IX—X საუკუნეებისა ჩანს, ასეთად ვერ ჩაითვლება, — მაგრამ ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ მათ შემდგომ ხანაშიც უმოკმენდნათ და ისე არ მომხდარა, რომ ადრევე ჩაქცეულიყვნენ და ნანგრევს ქვეშ დაფლულიყო მათი პირვანდელი გამოყენების მანიშნებელი კერამიკა თუ სხვა ნაშთები.

რაც შეეხება მათ თავზე (უკვე დანგრევის შემდგომ) გაშენებულ, რიყის

<sup>20</sup> ა. აფანაძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, არმაზისხევი არქეოლოგიური ძეგლები, 1955, გვ. 147—160, ტაბ. CXXI—CXXIX.



ქვა — თიხის შენობებს, ისინი თითქმის ყველა დამხმარე სამეურნეო ნაგებობას უნდა წარმოადგენდნენ (სამხარეთლო, მარანი, სათონე, სამჭედლო და სხვა). მათ შემოთ არის კიდევ უფრო ახალი (გვიანფეოდალური ხანის) იშვაროიე და, ჩანს, იმავე დანიშნულების მქონე ნაგებობათა ნაშთებიც.

შუა ციხეში გაჭრილმა თხრილმა გამოავლინა რიყის ქვა — თიხითვე და „თევზიფხურადვე“, მაგრამ გაცილებით უფრო მკვიდრად ნაშენი, უფრო დიდი და, ჩანს, უკვე საკუთრივ საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთი. ამას ისიც მოწმობს, რომ აქაურ კერამიკაშიც და მინის ჭურჭელშიც უფრო ფაქიზი ნიმუშები გამოერევა, ვგზღევა სამკაულიც.

ორთავე თხრილში ღრმად, უნაშთებო მიწის ფენების შემდგომ თავი იჩინა დიდრონი შავ-ლგვა თიხის ჭურჭლის ნატეხებმა, რომლებიც ველზედვე მიეკუთვნა ძვ. წ. VII—VI საუკუნეებს (ტაბ. XXII) უმთავრესად სამთავროული მრავალრიცხოვანი ანალოგიების მიხედვით: ამრიგად, წინასწარულად წარმოიქმნა ციხის შიდა ნამოსახლართა სტრატეგრაფიული ჭრილი, რომლის ყველაზე ქვედა ფენა ანტიკურის უშუალო წინამორბედი ხანისა ჩანდა, ანტიკური ხარვეზად გამოიყურებოდა, ხოლო ფეოდალური ხანის სამივე დანაყოფი მეტ-ნაკლებ იყო წარმოდგენილი. ეს იყო თავდაპირველი ჩონჩხი ციხის შეგნითა არქეოლოგიური კომპლექსის პერიოდიზაციისა, რომელიც შემდგომმა კამპანიებმა დააზუსტა. მთავარი და ახალი იმ ჭრილში მაინც გამოდგა სწორედ წინარეანტიკური კერამიკა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ციხის აგებამდე იმ გორაზე ძველი სამოსახლო ყოფილა — ისეთივე, როგორიც საქართველოს მრავალ გორაზე, ამავე კუთხეში თუ სხვაგან<sup>21</sup>.

ძალზე უხვად იჩინა თავი ნივთიერება მონაპოვებარმა, რომლის დიდი უმეტესობა შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ უფრო აღრინდელი ფენები ძალზე დაქუცმაცებული და მოსპობილიც კია შემდგომი მშენებლობის მიერ; მეორე: შუაფეოდალური ხანის შენობები და მოსახლეობა უცებ არის განადგურებული და, მასსაღმაჲე, თითქმის ყველაფერი მოპყოლია წანგრევეებს ქვეშ, უფრო აღრე კი ასეთი რამ არა ჩანს; მესამე ისაა, რომ საერთოდაც, ქალაქის ისტორიაში უდიდეს ეკონომიკურ-კულტურული გაფურჩქნულობითა და თან საკუთრივ ციხის ყველაზე უფრო მკიდროდ დასახლებულობის დრო სწორედ შუაფეოდალური ხანა — სახელდობრ, ის საუკუნენახევარი ჩანს, რომელიც გასულა 1115 (დავით აღმაშენებლის ჯარის მიერ რუსთავიდან თურქ-სელჩუკების განდევნა) და 1265 წლებს (ბერქა ყანის გამანადგურებელი ლაშქრობა) შორის.

მონაპოვრის დიდ უმეტესობას, ჩვეულებისამებრ, შეადგენდა (თითქმის მხოლოდ ნატეხების სახით) მოუქიქაფი (ტაბ. XXX—XXXII) და მოქიქული (ტაბ. IV—VIII ფ.) წითელკეციანი თიხის ჯამ-ჭურჭელი. იყო აგრეთვე: ფაიანსის და ლითონის ჭურჭელი (ტაბ. IV.4. XXXVI, XXXVII), მინის ჭურჭელი (ტაბ. XXXIV) და სამაჯურები (ტაბ. XXXV 1—7), ქვისა და ლითონის ცოტადიენი სამკაული, საკმაო რაოდენობით სპილენძის ფული, უმთავრესად ქართული (მათ შორის ერთ პატარა განძიც — თიხის ხელადით დაფლული 15 მონეტა), ვერცხლის სამკერდე ჯვარი და სხვა. მონეტების სისშირე დიდად აადვილებდა თანმსლები კერამიკისა და სხვა ნივთების დათარიღებას უმთავრესად სწორედ XII და XIII საუკუნეებით (გიორგი III, თამარი, ლაშა, რუსუდანი). ხოლო ამ ნივთების მსგავსნი, სხვა უბნებზე უმონეტებოდ აღმოჩენილნი, თავის მხრეც ხელს უწყობდნენ სათანადო ფენისა თუ კომპლექსების ხროვანების გარკვევას.

21 ნ. ბერქენიშვილი. დამოწ. ნაშრ., 149—156.

უნდა ითქვას, რომ ამ მონაბოვარს, ბუნებრივია, მრავლად აღმოაჩნდა ჰარალელები 1950—51 წლებში რუს ფაშოლმა ნაქალაქარისა თუ შესაბამისი სამართონის თხრისას აღმოჩენილ ჯამ-ჭურჭელსა და სხვა ნივთებს შორის, მანამ რამ თან მასში ბევრი რამ ისეთიც შედიოდა, რაც იქ თითქმის არ ყოფილა წარმოდგენილი. ჩანს, აქ ცხნეს შიგნით მსახლობელთა მეტი შეძლებულობაც უნდა მივიჩნიოთ მიზეზად.

საერთოდ კი ნაცისტების თხრის პირველმა კამპანიამ ერთბაშად ძლიერ გაამდიდრა არა მარტო რუსთავის, არამედ საქართველოს ნივთიერი კულტურის მსახველი არქეოლოგიური ფონდი — მეტადრე შუაფეოდალური ხანისა. მომდევნო კამპანიებიც ამ მხრივ ასევე ნაყოფიერი გამოდგა.

მარჯვენა ნაპირზე, მშენებლობის პარალელურად, ადგილ-ადგილ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოებულმა თხრამ, მიუხედავად მრავალი უხერხულობისა, მაინც საკმაოდ მეტყველი ძეგლები გამოამჩვენრა — დიდი უმეტესობა ადრეფეოდალური ხანისა.

ეს იყო გამალებით მშენებარე ახალი უბნის ორ — № № 57 და 63 — კვარტალში გაჭრილ ოცდაათიოდე თხრილში აღმოჩენილი სხვადასხვაგვარი ნაშთები: ა) ორი, რიყის ქვა — თიხით ნაგები, კარგა დიდი შენობის საძირკველი (ტაბ. VII, 3), ხოლო მათ შორის ქვევრები, მოუჭიქავი საოჯახო კერამიკა, კერები, ხელსაჭევეთა ნატეხები და სხვა, ბ) სამართონის (ტაბ. XXIV) რამდენიმე ნაწილი, რომლებშიც 19 ფილაქვის საოჯახო სამარხი და 10 ორმო-სამარხი (ტაბ. XXIV) გამოვლინდა და ამათგან კი ინვენტარს მხოლოდ 8 სამარხი შეიცავდა.

ნაგებობანი, შივ აღმოჩენილი მოწყობილობა-ჭურჭლის მიხედვით, საცხოვრებელ-სამეურნეო, ოღონდ კარგა დიდი უნდა ყოფილიყვნენ. იმ გარემოებამ, რომ მრავალრიცხოვან კერამიკულ ნატეხებს შორის ჰაჭანებაც კი არ ყოფილა მოჭიქულისა და აგრეთვე სრულიად არ აღმოჩენილა მინის სამაჯურთა ნატეხები, საკმაოდ მკვიდრი საფუძველი მოგვცა საიმიისოდ, რომ სათანადო ნაგებობანი მიგვეკუთვნებინა ადრეფეოდალური ხანისათვის — მოუჭიქავი ჭურჭლის სახეობათა მიხედვითაც. აქვე უნდა ითქვას, რომ მარჯვენა ნაპირზე ექსპედიციის მიერ თხრისას თუ მშენებლობისას შემთხვევით გამოივლელბულ ნაშთებს შორის, საერთოდ, დღემდე არ უჩნია თავი არც ერთ ისეთ ნივთს თუ მონეტას, რომელიც შუაფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს — თუნდაც გადამასრული ანალოგიების მიხედვით. ეს, რა თქმა უნდა, ფრიად დამაფიქრებელი გარემოებაა: გადასასინჯავი ხდება ადრინდელი მოსაზრება, მარჯვენა ნაპირზე შუაფეოდალური ხანის სამოსახლოც არსებობდაო. რაც შეეხება სამაროვანს, იქაც სრულიად არაფერი გვანიშნებს ადრეფეოდალურის მომდევნო ხანას.

ბრინჯაოს საკინძები (სამი — ოქროიანი თავის მქონე) და ზოგიც სხვა სამკაული, ოქროს თვალედი ბეჭედი, მინის ბატარა სანელსაცხებლევ და სხვა, მცხეთური — სამთავროული და არმანისხვეური, საიმედოდ დათარიღებული — ანალოგიების მიხედვით ან. წ. IV—VI საუკუნეებს მიეკუთვნება და ეს ხნოვანება, ძირითადად, შეიძლება გავრცელდეს მთელ სამაროვანზედაც — კერძოდ, იმ უინვენტარო ფილაქვის — სამარხებზე, რომლებიც 1959 წელს გათხრილ სამარხთა ნახევარზე მეტს შეადგენდნენ, ხოლო 1949 წელს კი IV—V საუკუნის ინვენტარიანი ორმოსამარხების მახლობლად, ზემოთ იყვნენ მჭიდროდ შეჯგუფებული. თუ ზემოთქმულსაც გავიხსენებთ, ჩანს, ყველა ეს დღემდე ჩვენთვის ცნობილი სამარხები უნდა მივიჩნიოთ ერთ ვრცელ სამაროვნად თუ არა, სამოსახლოს უბან-უბან შესაბამისად დაჯგუფებულ სამაროვნებად, ოღონდ

ყველა ადრეფეოდალური დროისად. ამ მოსაზრებას ძალიან დამაჯერებლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ რუსთავის მუზეუმის სწორედ მარჯვენა ნაპირის ადრე ნათხარი ქვის სამარხების უზნიდან წაუღია და გამოფენილი<sup>22</sup> აქვს თიხის „აზანისებრი“ სარკოფაგი<sup>22</sup>, იატაკაბჯურეტილი (ტაბ. XXV, 10), რომელიც, რამდენადაც ცნობილია სამარხთა ამ თავისებური ტიპის ისტორია ჩვენში, IV—V საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს. უინვენტარო სამარხთა ესოდენ დიდი პროცენტი იმ დროის სამაროვანში არ უნდა გავვიკვირდეს, რადგან მარცხენა ნაპირზე ექსპედიციამდე გამოვლენილ და ნაწილობრივ გათხრილ იმდროინდელ სამაროვნებშიც ასეთივე პროპორცია ჩანს. ხოლო თუ მცხეთის სამაროვნებში პირუტყუ ვითარებას ვხედავთ, ეს შესაძლოა მის ჯერ კიდევ დედამაქაობის და შემდეგ დიდ ქალაქობას მიეწერებოდეს<sup>23</sup>.

მამასადაში, მარჯვენა ნაპირზე ადრეფეოდალურ ხანაში (და ეგებ მანამდეც) მნიშვნელოვანი სამოსახლო ყოფილა, თავისი ვრცელი სასაფლაოებითურთ, ხოლო შემდეგ იგი ან მოსპობილა, ან ძლიერ დაკნინებული (თურქ-სელჩუკთა შემოსევა-თარეშების გამო?) და მოსახლეობა უმთავრესად მიძალეზია მარცხენა ნაპირს. თავის დროზე კი ამ ორი ნაწილის მკიდროდ დამაკავშირებელი უსათუოდ ხიდი უნდა ყოფილიყო.

გვიანფეოდალურ ხანაზე ჯერჯერობით გადაჭრით ვერას ვიტყვით: პირობით იმ დროის ქარავსლად მიჩნეული ნანგრევები დღემდე გაუთხრელი და გვრჩია.

რაც შეეხება ადრეფეოდალურზე უფრო ძველ ხანას, სამდვილი ანტიკური დროისათვის მისაკუთვებელი არც 1959 წელს გამოვლენილა რამე, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი სხვებზე ღრმად მდებარე ორმოსამარხის ნაშთი, რომელშიც აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებიც (სამაჯური, გულსაკიდი, „ფარაჯები“, ძეწვეი) შეიძლება ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებს მიეკუთვნოს (ტაბ. XXIII, 7—17). ეს არც უნდა ჩათვალოს მოულოდნელად, თუ გავიხსენებთ, რომ 1949 წელს ამ ადგილიდან რამდენიმე ასეულ მეტრზე, მტკვრის ქალასთან უფრო ახლოს ექსპედიციამ გათხარა დაახლოებით იმავედროული ორმოსამარხი „ხელსატევრიანი ბერიკაცისა“, ხოლო მანამდე ექსკავაციამ ამოყარა რამდენიმე იმდროინდელი ბრინჯაოს ნივთი<sup>24</sup>.

საბოლოოდ, 1959 წლის კამპანიის (ექსპედიციის განახლების შემდეგ ჯერჯერობით უხანგრძლივესისა და უნაყოფიერის) ფრიად თვალსაჩინო შედეგებში შემდეგნაირად შეავსეს 1951 წელს შედგენილი და ზემოთ რამდენიმეგზის ხსენებული, სამუშაო ქრონოლოგიური შკალა რუსთავის არქეოლოგიური ძეგლებისა<sup>25</sup>.

იმ შკალის მესამე დანაყოფს (ძვ. წ. „I ათასწლეულის შუა ხანებში“) მარჯვენა ნაპირის „ხელსატევრიანი ბერიკაცის“ სამარხითა და ბრინჯაოს რამდენიმე ნივთით, ხოლო მარცხენა ნაპირას ბრინჯაოს „სკვითური“ ისრისპირით რომაა წარმოდგენილი, მარცხენა ნაპირზე, ნაციხვარზე შეემატა შავ-ლევა თიხის ქურჭლით წარმოდგენილი ფენა, რომელიც წინასწარულად ადრეულ რკინის ხანას მიეკუთვნება, შემდგომი დანამდვილების გარეშე. ამასთანავე შესაძლოა იქნა მიჩნეული, არსებული შკალის მეორე დანაყოფში შეტანილი „ქვეფენა“ ნაქალაქარის გათხრილი უბნისა აგრეთვე მესამეში გაღმოჩანილიყო.

22 რმმ, ინვ., № 57—17.

23 იბ. გ. ლომოთაძე, ნარკვევები წაგნში „საქართველოს არქეოლოგია“, 1959, გვ. 321—322, 330.

24 გ. ლომოთაძე, რუსთავში წარმოებული..., გვ. 177—178.

25 იბ. გვ. 197—198.

მარჯვენა ნაპირზე გათხრილი ერთი ორმოსამარხის ნაშთიც ზოგადად დაწვრილებული დასაფლავების შედეგად.

შეკლის მეთოთხე დასაფლავების (ახ. წ. I—III სს.) იმთავითვე ძალიან მცირე რაოდენობაა და არა დამაჯერებლად წარმოდგენილი, არა შემატებულია რა.

მესხეთე და მეექვსე დასაფლავების (ახ. წ. IV—V და VII—IX სს.) შემატებული მარცხენა ნაპირზე — ციხის ზღუდის განახლებულ პერანგში ჩართული დეტალები აღრიხდელი ტაძრის არქიტექტურული დეკორისა და სტრუქტურისა (მთაწარი-შორის ბოლნის-ჯვარიანი), ციხეს შიგნით — ქვეთაირის ოთხსენაკიანი შენობისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ავურის აბანოს ნანგრევები; მარჯვენა ნაპირზე — ორი რიყის ქვა — თიხის ნაგებობის ნაშთები და სამაროვნის ნაწილი, რომელსაც 8 სამარხში აღმოჩენილი ოქროსა და ბრინჯაოს სამკაული და მინის კურჭელი IV—VI სს-ებს აკუთვნებს. ცალკე უნდა აღინიშნოს თიხის ერთადერთი სარკოფაგი, იმავე დროისა; ამის შემდეგ მარჯვენა ნაპირზე აღარა ჩანს რა.

მეცხე დასაფლავების (XI—XIII სს.) შემატებული ციხის პერანგის ძლიერი განახლება ეკლესიის ნანგრევი მასალის უხვად გამოყენებით (თურქ-სლავურული მიერ? XI საუკუნის მეორე ნახევარში); XII—XIII სს. საცხოვრებელი და დამხმარე სამეურნეო რიყის ქვა — თიხის ნაგებობათა ნაშთები ციხის შიგნით, დიდძალი ნაირნაირი კერამიკით, მინითა და მონეტებითურთ.


მეცხე დასაფლავების (გვიანი საშუალო საუკუნეები) — ზოგი დამხმარე სამეურნეო ნაგებობა ციხის შიგნით, ჩრდილო კედლის ძირში, ზღუდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გადანაგრევ ბურჯებზე დამუშავებული ფიჭაალიზის წყობა და გარედან მოშენებული, კარგად მოწყობილი აბანო XVII საუკუნისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მომდევნო სამ კამპანიას, ჩატარებულს მხოლოდ მარცხენა ნაპირას, ნაცნობარზე, არც ახალი დასაფლავებით შეუვსიათ ეს შეკალი და არც არსებითად ახალი ძეგლებით — რომელიმე მისი დასაფლავი.

შავრამ მოკლედ დავახასიათოთ ამ კამპანიითა უმთავრესი შედეგებიც, მათ განმავლობაში გამოვლენილი ძეგლები. ისევე, როგორც თავის დროზე 1950 წლის კამპანიამ ჩაუყარა საძირკველი რუსთავეის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის საქმეს და მისი წყალობით შემუშავებული სტრატეგრაფია იქცა საყრდენად მანამდე, თუ მის შემდეგ იქ ამონათხარის ძეგლების გააზრებისას, 1959 წლის კამპანია საფუძვლად დაედო ნაციხვარის რთული არქეოლოგიური ძეგლის შემცენებას. ამიტომ გადმოვეცით ესოდენ დაწვრილებით მისი ყველა შედეგი.

1960 წლის კამპანიას მთავარ მიზნად, წინა კამპანიის ანგარიშის მოსმენა-განხილვის შემდგომად, ინსტიტუტმა დაუსახა ციხის შიგნით ოდესღაც მდგარი უმნიშვნელოვანესი შენობების — საკუთრივ სასახლეების, ტაძრის — ნაშთების — მიკვლევა. ამის შესაბამისად ექსპედიციამ წამოაწყო ოთხი ახალი თხრილი და მხოლოდ ერთ ხანს განაგრძობდა მუშაობას იმ უწინდელ თხრილში, რომელმაც ავურის ძველი აბანო გამოავლინა. იქ დამატებით თავჩენილმა დეტალებმა კიდევ უფრო განამტკიცა აზრი, რომ აბანოცა და მისი მომცველი კომპლექსიც ზოგი რამით გვიანანტიკური დროის ნაშენობათათვის დამახასიათებელ ნიშნებს აირეკლავენ.

26 ივ. გაბაშიაშვილის საზ. ისტორიის ინსტიტუტის სესიაზე, რომელიც შეიძენა 1959 წლის საფლავი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს (წყაითხულ იქნა 7, V. 1960 წ.).



ახალი თხრილები გაიჭრა ნაციზმის ყველაზე უფრო შემადგენელ ნაწილში: იქ, სადაც რევოლუციამდელ წლებში აუცილებლად იქნებოდა თვალსაჩინო „მარაიმი“ არხის მეთვალყურე მუშაკებისათვის და ამასობაში აშკარად დაუზიანებიათ ძველი, მართლაც ყურადსაღები ქვის დეკორის მქონე ნაგებობა და ეს სახლი უშუალოდ დაუფუნებიათ ქვეითების კედლებზე. აღნიშნული სახლი ახლაც დგას ნაციზმის შემდეგ, შიგ მობინადრეები არიან და ეს გარემოება დიდად აბრკოლებს ექსპედიციის შემოსვნის ვარაუდის შემოწმებას. 1960 წელსაც რაკი სხვა გზა აღარ იყო, საცდელი თხრილები სახლს ირგვლივ დაერივნა: ერთი (VIII) უკან, დასავლეთით, ხოლო სამი (VI, VII და IX) წინ (სახლსა და რუს შორის დარჩენილ ვიწრო ზოლში), აღმოსავლეთი ზღუდის ნაშთებთან უშუალო შეხებით. სახლთან ყველაზე უფრო ახლოს გაჭრილმა VIII და IX თხრილებმა გამოარკვია, რომ სწორედ ამ ადგილებში ყოფილა ძველი ნაშენობის ნაშთები განსაკუთრებით მცირე და უსახური, ე. ი. აქ თავის დროზე განადგურება ბევრად უფრო ძლიერი ყოფილა, ვიდრე სხვაგან.

VIII თხრილში გამოშვებული კედლები ჩვეულებისამებრ უმთავრესად რიყის ქვით იყო ამოყვანილი, აქა-იქ — ნატეხი ქვითაც (ტაბ. XV, 2). შეიძინებოდა სამი სხვადასხვა დონე, მაგრამ საერთოდ ეს ნაშენობაც, საკმაოდ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ფოთალურ ხანას მიეკუთვნება, მასალა უმთავრესად აშკარად შუაფეოდალური დროისა იყო, მაგრამ დრამად თავი იჩინა დიდრონი დაკუთხული ქვების შემცველი წყობის ნაშთიც და იგა, 1950 წელს რუსგაღმა ნამოსახლარზე, ასევე დრამად აღმოჩენილი და მთლად ამგვარივე ქვებით ნაგები კედლის მსგავსად, ადრეფეოდალური დროისად მივიჩნიეთ. თხრისას მოპოვებულ სამშენებლო მასალებში ყურადღება მიიქცია შემოღობილმა კრამიტებმა, რომელნიც ზომა-მოყვანილობით საესტეტიკო შეესატყვისებოდნენ შუაფეოდალური ხანის სტანდარტს (მრავალგზის შემოწმებულს რუსთავშიც, თბილისის, დმანისის, უჯარმის, ნადარბაზევისა<sup>27</sup> და სხვა. განათხარებშიც) და ცისფერჭიქურიანა, წითელკეციანა, სამწახნაგოვანა პრიზმის განიკვეთის მქონე შორენაკებმა, რომლებიც განსაკუთრებულ ნაგებობათა შიგნიდან დასაწმენებლად იხმარებოდა სოლმე. იმავე შუაფეოდალურ ხანაში მათი მსგავსი თბილისის სახელოსნოს ნაწარმიც არის აღმოჩენილი, ზოგი იმდროინდელი ძეგლის ნანგრევებზე რომ აღარა ითქვას რა<sup>28</sup>. თუ სასახლისა რამე უნდა გვეგულისხმებინა ამ თხრილში, ისევე სწორედ ეს შორენაკები — ჩანს, შუაფეოდალური ხანისა. მრავალრიცხოვან მოუჭიქავსა და მოჭიქულ სიოჯახო ჭურჭელში წარმოდგენილია (რა თქმა უნდა, ნატეხებად) თითქმის ყველა ტიპი, რუსთავის განათხარებში მანამდე დამოწმებული.

ზემოაღნიშნული ძველი კედლის ნაშთის შემდეგ თხრილის ჩაღრმავებამ სრულიად ისეთივე სურათი მოგვცა, როგორც მეორე თხრილში: ერთხანს უნაშთო ფენას მოჰყვა, 3,5 მეტრ სიღრმეზე, შავლუგა კერამიკა, I და II თხრილთა ძირას აღმოჩენილის მსგავსი და ამიტომ იმავე, ადრეული რკინის ხანის კუთვნილი. ამით დადგენილ იქნა იმდროინდელი სამოსახლოს შესაძენი წერტილი, რამაც განამტკიცა შთაბეჭდილება, რომ სამოსახლოს მთელი გორაკი სჭერიდა რაც შეეხება იმას, რომ აღნიშნული კერამიკის შემცველი ფენა სხვადასხვა სიმაღლეზე იჩენდა თავს, ეს ეტყობა, გორაკის იმდროინდელი ზედაპირის უსწორმასწორობას უნდა მიეწეროს.

<sup>27</sup> გ. ლ. შ. თ. ა. თ. ი. ძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ქვემო ქართლში 1948, 1949 და 1954 წწ. 1957, ხელნაწერი გვ. 27. არქ. გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში. გვ. 150—151 და ა. შ.

<sup>28</sup> მისივე, კვლევა-ძიება ქვე. ქართლში, გვ. 66.; გათხრა თბილისში, გვ. 158—159.



დასასრულ, აღსანიშნავია კიდევ ერთხელ გამეორებულიყო დაკვირვება: ფეოდალური ხანის ნაშენობის ნაშთებს არც აქ უგია ძირში ისეთი რამე, რამე შეიძლება ანტიკურ ხანას მიეკუთვნოს და, ვარკვეული ხარვეზის შემდეგ სულ რამეში გადავიდით სწორედ წინარეანტიკური ხანის, ჯერ კიდევ არქაული კერამიკის შემცველ ფენაზე.

IX თხრილმა გააშინებულა ზღუდის მცირე ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, აღნიშნული, I-ლად მიჩნეული ბურჯიდან მეოთხე, პატარა ბურჯითურთ და ზღუდეზე შეგნიდან მიწენებული, ნაგებობის ძლიერ დარღვეული ნაშთები, რომელთა შორის ჭარბობდა რიყის ქვა — თიხის წყობა, მაგრამ იყო ნატეხი ქვაც. შენების თითქმის სამი ხანა გამოირჩეოდა, ორი მანაც: შუაფეოდალური დროის ნაგებებზე დაშენებული იყო დაახლოებით იმგვარივე ნაგებობა, რომელსაც თან ახლდა აგურფენილი, დიდად მსგავსი ციხეზე გარედან მოშენებული აბანოს აგურფენილისა, უდავოდ გვიანფეოდალურ ხანას რომ ეკუთვნოდა. ყოველივე ამის გამო, ეს ნაშენებიც აღნიშნული დროისად უნდა მივიჩნიოთ, ასე რომ ნაზარ-ალი-ხანის ნაშენობის გავრცელების არე თანდათან ფართოვდება. მონაპოვარში, სიაჯახო, მოუჭიქავსა და მოჭიქულ, თითქმის მხოლოდ შუაფეოდალური ხანის ჯამჭურჭელს გარდა, მრავლად იყო სამშენებლო კერამიკაც, რომელშიც ზოგი რამ ადრეფეოდალურ ხანასაც კი გვიანიშნებს და, მაშასადამე, მხარს უჭერს აქაურ ჭრილში მესამე, ყველაზე ძველი ფენის არსებობასაც. ასეთებია: განუვითარებელი ტიპის თიხის ჭრაქი („ნეკარისებრის“ საწყისი ფორმა, ტაბ. II, 6 ფ), ამოხეხილ-ფოსოებიანი მინის ჭურჭლისა (ტაბ. XXVI, 9) და თიხის კოპებიანი კოჭობის ნატეხები, დიდი ტრაპეციოიდული კრამიტი (გვიანანტიკური სტანდარტისა), უმეტესობას კი შუაფეოდალური ხანის აგურ-კრამიტი შეადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია წუნდებული ნატეხების სიხშირემ შუაფეოდალური ხანის კერამიკაში, რამაც გააძლიერა ადრე მხოლოდ გაცვრით წარმოქმნილი გუმანი ზედ ციხეზე იმ ხანაში სათუნო სახელოსნოს მუშაობის შესახებ.

VI თხრილში გააშინებულ ნაგებობათა ნაშთებს შორის ქვევრების, თონეების, კერისა და სხვა მსგავსი მოწყობილობის აღმოჩენამ უეჭველყო, რომ აქაც (ისევე, როგორც ციხის ჩრდილო კედლის ძირას ვათხრილ, შუაფეოდალური ხანის ფენაში) გვექონია სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი: მარანი, სახაბაზო, სამზარეულო. მაშასადამე, შეგვიძლია ვივთხოვოთ, რომ იქა და აქ ორი სხვადასხვა სასახლის დამხმარე ნაგებობათა კომპლექსთან გვექონია საქმიე და ამან უთუოდ ჯეროვანი მიმართულებით უნდა გაამახვილოს ყურადღება თვით ძირითად უმნიშვნელოვანეს ნაგებობათა ძიებისას. მეორე მხრივ ისიც აღსანიშნავია, რომ VI თხრილში მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე მაღალხარისხოვანი, ფაქიზი კერამიკა (მოხატულ-მოჭიქული ჯამები, ფიანისის კოჭობი (ტაბ. IV, 4) — პირველი მთელი, საქართველოს ვათხრებში), მინის ნაწარმი (წვრილი ქურჭელი, სამაჯურები) და ვერცხლის ჭრაქი (ტაბ. XXXVI, 6), ზედმიწევნით მსგავსი დმანისში აღმოჩენილი, სპილენძის „საჭრაქისა“<sup>29</sup>. ზოგი ამთავანი შეგვიძლია მივაკუთვნოთ სასახლის ინვენტარს, რომლის ნაწილიც ამა თუ იმ მიზეზის გამო, მაგ., მარანში ან სამზარეულოში მოხვედრილა. მონეტები მრავლად აღმოჩნდა — უმეტესობა სპილენძისა იყო, მაგრამ რამდენიმე ვერცხლისაც ერია. ერთმა ბაწია განამაც იჩინა თავი (17 მონეტა). მონეტების უდიდესი ნაწილი ქართული გამოდგა XIII საუკუნის I-ლ ნახევარსა და შუახანებში მოჭრილი. ცალკე უნდა აღინიშნოს მინის ზოდის ნატეხი, რომელიც გვაფიქრე-



ზინებს, რომ შეიძლება ციხეზე მინის საკეთებელი სახელოსნოც ყოფილიყო საათუნოსთან ერთად.

VI თხრილში გაშიშვლებული კედლების, ქვევრების, თონეების, კერების, ნახაძრი ფენებისა და სხვა ნაშთების ურთიერთგანლაგების მიხედვით, უფლება გვეძლევა ვიმსჯელოთ ამ უბანზე შუაფეოდალური ხანის ორი მონაკვეთის შესახებ. ნართაულად მიგვითითებდა უფრო ძველი: ადრეფეოდალური ხანის ფენის არსებობას მრავალრიცხოვან შემოღობილ კრამიტებში გამოჩენილი თითო-ორთა ნატეხი დიდრონი, ტრაპეციოიდული „გვიანანტიკური სტანდარტთან“ მოახლოებული ნიშნუებისა. აქვე დავძენთ, რომ VI თხრილის გაფართოება-გადრმაგებისას მომდევნო კამპანიების დროს ძირს დანადგვილებით იჩინა თავი სწორედ იმ კრამიტების შესაბამისი ნაგებობის ნაშთმა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

VII თხრილმა, გარდა მეზობელ VI თხრილში გამოჩენილი რიყის ქვის ნაგებობის აღმოსავლეთი, უშუალოდ ზღუდეზე მიშენებული კედლისა და მასთან მდგარი ქვევრ-თონეებისა, გამოკვივლინა ზღუდისა და, სათანადო, ისევ დიდი (რიცხვით მეხუთე) ბურჯის გარეთა ფასადი (ტაბ. XVII, 2), რამაც სრულიად ახალი სიტყვა თქვა ციხე-გალავნის ისტორიაში. ეს იყო პირველი უბანი, სადაც თავი იჩინა უძველესად თვლადიბრველმა პერანგმა, რომელსაც სრულიად არ შეეხებია მერმინდელი აღდგენა-შეკეთება, რადგან, ეტყობა, არც სჭირდებოდა, არ ყოფილა იმდენად დაზიანებული, როგორც ამავე აღმოსავლეთი კედლის ჩრდილო და სამხრეთი ბოლოები. ამ ძველი პერანგის დამახასიათებელია: ძალზე დიდრონი, წესიერად გამოკუთხული და დროთა ვითარებაში განუახლებლობისა გამო გაცვეთილ-გამოფიტული ქვათილები, აკურის ძალიან იშვიათად გამოყენება (ისიც თითქმის ფარდიატების შემდგომ შესავსებად და არა იმთავითვე).

ეს იყო 1960 წლის კამპანიის უმნიშვნელოვანესი დაკვირვება, საკუთრივ ციხის, სამაგრი მშენებლობის ისტორიის თვალსაზრისით.

მამასაღამე, ამ კამპანიის შედეგად დადგენილ იქნა რამდენიმე გარემოება:

ა) ციხის შიგნით მდგარი, უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი (სასახლეები, ტაძარი) ჯერ ვერ გამოვლინდა და, შესაძლოა, ახალი სახლის აღუდებლად ვერც გამოვლინდეს, მით უმეტეს, რომ იგი აშკარად ყველაზე უფრო შემადლებულ (ე. ი. ყველაზე უფრო დიდი ნაგებობის ნანგრევის შემცველიც) ადგილზე დაუდგამთ ცარიზმის დროს, რუსთავის არხის განახლების შემდგომ. ისიც ვასათვალისწინებელია, რომ სწორედ ის უმნიშვნელოვანესი ნაგებობანი დაიბრგოდა ძალით სხვებზე უფრო.

ბ) ციხის შიგნით გათხრილი, ნაშენების ნაშთების უმეტესობა ისევ შუაფეოდალურ ხანას მიეკუთვნება, მაგრამ გვხვდება ადრეფეოდალური დროის კედელთა ნაშთებიც (ღრმად) და გვიანფეოდალური დროის დანაშენებაც. საერთოდ კი, ურყევი რჩება წინანდელი დაკვირვება: ციხის შიდა არის უდიდესი განაშენიანებისა და მჩქეფარე ცხოვრების დრო არის შუაფეოდალური ხანა. გვიანფეოდალური ხანა შედარებით ვიწროდ განვრცობილი და არქეოლოგიურად თითქმის „უწინაარსო“ ნაშთებად არის წარმოდგენილი, რადგან იმ დროს აქ მცირე ხნით დასახლებულან.

გ) კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ადრევე აღებული გუჰანი იმის შესახებ, რომ შიგ ციხეშივე ყოფილა (ალბათ ზღუდეს გარეთა სამოსახლოს პარალელურად და უფრო მცირე მასშტაბით წარმოდგენილი), შუაფეოდალურ ხანაში, კერამიკული და ფეხბ აგრეთვე მინის სახელოსნოები, რასაც გვანიშნებს

წუნდებული კრამიტისა და მოჭიქული ჯამ-ჭურჭლის, ხოლო ერთ შემთხვევაში მინის ზოდის ნატეხის აღმოჩენა. თუ ეს გუშანი საბოლოოდ დადასტურდა, საკმაოდ იშვიათი შემთხვევა გვექნება მომცრო ციხეში ხელოსნური მოუბის მოწყობისა. კიდევ უფრო უჩვეულო ჩანს ის ვარემოება, რომ კრამიტის საწვავი ქუჩა ერთ-ერთი (3) ძველი ბურჯის ტანში ამოღებულ სიცი-რიელში მოუწყვიათ.

დ) კვლავ ძალიან გამდიდრდა და ჩანს, ყოველი კამპანიის შედეგად ასევე გამდიდრდება თხრით მოპოვებული მცირე ნივთიერი ძეგლების კოლექცია: კერამიკული, ნუმიზმატიკური, მინის, ლითონისა და სხვა საგნები. თუ მათი უმეტესობა იმეორებს (თუნდაც ვარიანტობლივ) რუსთავის ექსპედიციის წინა კამპანიათა მონაპოვარს ან სხვა ჩვენი ნაქალაქარებიდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალებს, სამაგიეროდ გვაქვს სრულიად ახალი და ამ ძეგლისათვის სპეციფიკური მასალებიც.

ე) ეტყობა, ზღუდეზე ყველგან უშუალოდ ყოფილა მიდგმული ესა თუ ის (უპირატესად სამეტრნო) ნაგებობა — შუაფეოდალურ ხანაში მაინც.

ვ) თვალწინ წარმოგვიდგება ზღუდე-ბურჯების თავდაპირველი პერანგიც. (და არა მარტო ჩონჩხი), რომელშიც დიდრინი ქვათლილებია, აგური აქა-იქაა ჩართული (ეგებ შემდგომაც!) და სრულიად არაა ხელმეორედ გამოყენებული ჩუქურთმიანი დეტალები. არც უნდა იყოს, ვინაიდან ამ პერანგით შემოსილი გალავანი და ის ტაძარი, რომლის დანგრევის შემდეგაც უხმარიათ ციხის განმასხვებლებს აღნიშნული დეტალები, ერთსა და იმავე დროს მდგარან მხარდამხარ და უმოქმედნიათ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

ზ) ადრეული რკინის ზანის ნამოსახლარის ნაშთები ისე ფართოდ განვრცობილი გამოდგენენ, რომ შეიძლება მთლიანად წარმოვიდგინოთ ისინი, როგორც მერმინდელი ციხე-სამოსახლოს ქვეფენა, სუბსტრატი. უკვე ჩანს, რომ არქაული და ალბათ პრიმატიულად, უქვისკედლოდ გამაგრებული სამოსახლო სათანადო ვითარებაში ქცეულა ბირთვად მნიშვნელოვანი ქალაქისა, რომლის ციხე სწორედ იმ ნამოსახლარ გორაზე აუგიათ და ამიტომაც, რომ ამ უკანასკნელის ნაშთები თითქმის ყოველ თხრილში ზღუდეს გარეთ ვადანაყარში იჩენს თავს.

1961 წლის კამპანიამ უფრო ფართოდ მოიცვა ნაციზვარი: ითხრებოდა ჩრდილო კედლის ძირას 1959 წელს დაწყებული არე (I თხრილის გაგრძელება-გაღრმავება შიგნითკენაც და კედლისკენაც), შუაგული (II — თხრილის გაგრძელება-გაღრმავება), აღმოსავლეთ კედელი გარედანაც და შიგნიდანაც (VI, XII თხრილები), დასავლეთი კედელი (XIII თხრილი), ჩრდილო-აღმოსავლეთი (X თხრილი) და სამხრეთ-აღმოსავლეთი (XI თხრილი) ნაწილები. ასეთი გაფართოების მიზეზი ის იყო, რომ უკვე მწვავედ დადგა საკითხი, ჯერ ერთი, ზღუდის მთლიანად გაშლვება-შესწავლისა (მით უმეტეს, რომ მისი ქრონოლოგიურ-სტრუქტურულ-ფასადობრივი სიჭრელე უკვე თვალსაჩინო შეიქმნა) და, მეორეც, რაკი შემალვებული ნაწილი და მის ირგვლივ მდებარე ზოგი ადგილი ჯერაც მიუწვდომელი იყო, სხვა უბნების გათხრა მაინც უნდა წამოწყებულიყო.

I თხრილში 1959 წელს გამოვლენილი ქვითკარის დიდი და უმკვიდრესი ნაგებობის ორი სენაკის ნანგრევს დაემატა (სამხრეთისაკენ) ნანგრევი სიგრძეზე დამწყობებული კიდევ ორი სენაკისა. მათი კედლები ისევე მტკიცედ არის ამოყვანილი კლდის ნატეხი ქვით, აქა-იქ რიყის ქვითა და აგურითაც კი და იმავე მოყვითალო (გაჯიანი) დუღაბით შეკრული (ტაბ. XII, 1). შიგნით ნალესობის კვალიც გამოჩნდა. ოთხივე სენაკის გამოშვლების შემდეგ კიდევ უფ-



რო იჩინა თავი იმან, რომ ეს ნაგებობა უძველესთაგანი უნდა იყოს ციხეს შიგნით, მაგრამ იგი ხომ ხელახლა გამოუყენებიათ მომდევნო ხანაში; ამას გვეჩვენებდა კედლებს შუა ძველ ნაყარ მიწაზე დაგებული იატაკის ნაშთები (ტაბ. XI, 2). აქა-იქ, თხრისას აღმოჩენილ მრავალრიცხოვან კერამიკაში გამოერია შუაფეოდალური დროისათვის დამახასიათებელთა გარდა, რამდენიმე უფრო ადრინდელი ნიმუშიც: კრამიტებში — ძველებური დიდრონ ტრაპეციოიდულის ნატეხები, ხოლო ჭურჭელში — თეთრ ანგობზე დაწაღვენთებით შემკული, ძლიერ კრიალა ტექურით დაფარული ჯამები (ტაბ. III) და სხვა. ისიც ნიშანდობლივია, რომ თუ 1959 წელს ზედა ფენების თხრისას მოპოვებულ ჯამთა შორის კარბობდა მრავალფერად მონატული და გამკვირვალედ მოჭიქული ჯამები (რომლებიც, როგორც გამოირკვა, სწორედ XII—XIII საუკუნეებში ჩნდება მრავლად)<sup>80</sup>, ახლა ქვედა ფენებში მეტობდა ერთფეროტექურიანი.

ამ ნაგებობის ნაშთის ბოლომდე ჩაოხრა მაინც ვერ მოესწრო. მისი ხნოვანების საკითხზე უფრო გაურკვეველად რჩება მისი რაობის საკითხი, პირობით მას მაინც ადრინდელი სასახლის რაღაც ნაწილად მივიჩნევთ, მით უმეტეს, რომ ბოლოში აკრავს აგურის აბანო.

ამ უკანასკნელის ვარშემო თხრამ განამტკიცა ადრევე წარმოქმნილი შთაბეჭდილება, რომ იგი რამდენიმე უფრო ადრინდელია, ვიდრე ქვითყირის ოთხსენაკიანი ნაგებობა: აბანოს შელესილი კედლისა და სავარაუდო გუმბათის ლესილის გადანანგრევი ქვითყირის ნაგებობის ქვეშ ექცევა. მაგრამ მაინც არაფერი გვანიშნებს, რომ ამ ორი მჭიდროდ გადაბმული ნაგებობის ხნოვანებაში დიდი განსხვავება იყოს. აბანოს ჩრდილოეთით, მახლობლად გამოვლენილი, მისი საძირკვლის მსგავსად ნაგები მცირე რამ ნაგებობა პირობით მიჩნეულ იქნა აბანოს წყალსაცავად. აბანოსვე დაუკავშირდა აგურით ამოყვანილი ჭა (ტაბ. IX, 1, 2.) და ერთიც მოზრდილი, ძალზე თავისებური (ზარისებრი), მოყვანილობის მქონე, ორნამენტიანი დერგი, რომელსაც აგურები ეფარა პირზე (ტაბ. XIII, 1). აბანოსა და ციხის ჩრდილო კედელს შორის, გვიანფეოდალური ხანის, რიყის ქვა — თიხის, თონიანი ნაგებობის ქვეშ გამოვლინდა ისეთივე ნაგებობა, რომელიც სტრატეგრაფიისა და მასში ნაპოვნი XII საუკუნის მონეტების მიხედვით, შუაფეოდალურ ხანას მიეკუთვნება.

აბანოს სამხრეთით, უშუალოდ მის ქვეშ თავი იჩინა მესამე უფრო ადრინდელმა (რა დროის? ანტიკურისა ხომ არა?) რიყის ქვა — თიხის კედელმა, ხოლო მის ქვეშ კი ისეთივე კედელმა, რომელიც მისი იატაკის დონეზე მრავლად „ამოსული“ შავ-ლევა კერამიკული, მოზრდილი ტურჭლების ნატეხთა მიხედვით, შეიძლება ადრეული რკინის ხანას მიეკუთვნოს (ტაბ. XIII, 2.). ეს იქნება პირველი შემთხვევა საქართველოში ესოდენ ძველი რიყის ქვა — თიხის ნაგებობის აღმოჩენისა, ხოლო კერძოდ რუსთავში — უძველესი ნაგებობის ნაშთი. მაგრამ უფრო დაზუსტებით ამ უკანასკნელის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეგვეძლება საუბარი, როდესაც მის ზემოთ მდებარე, შუა საუკუნეთა ნაშენობის ნაშთები ნაწილობრივ მაინც ალაგდება (თუ კი ოდესმე გადაფრეკრეტთ ეს!) და ის უძველესი ფენა მთელი სიგრძე-სიგანით გამოვლინდება. მაინც და მაინც იმ უზანზე ასეთი რამ გამოსავლინებელი გვეგულება.

ამ უძველესი ფენის არა ნაკლებ ყურადსაღებია ნაშთები გამოგვიჩინა შუა ციხეში ადრევე გაჭრილი, II თხრილის გაფართოებამ და დანაშატის იმავე დონეზე დაყვანამ, რომელზედაც 1959 წელს პირველი ნიშანდობლივი ნაშთები გამოჩნდა ადრეული რკინის ხანის ნამოსახლარისა — შავ-ლევა, პრიალა თიხის დიდრონი ტურჭლის ნატეხები, in situ, მალე მეტრ სიღრმეზე მდებარე

<sup>80</sup> მ. მიწისმელი, მოჭიქული ტურჭელი შუაფეოდალური ხანის საქართველოში, 1963.

და 1961 წლამდე ისევე ხელუხლებლად დატოვებული. მათ სამხრეთითაც აღმოსავლეთითაც მოხდა რამდენიმე ცალ-ცალკე მდგარი იმგვარივე ჭურჭელი, კერძის ნაშთი, სახაუნო ხელსაფქვავის ორივე ქვა. ყოველივე ეს გვიანიშნებდა იმდროინდელი საცხოვრებლის იატაკს, თიხატყეპნილს, ოღონდ კედლებისა კი არასად არაფერი ჩანდა (ტაბ. XIV). განსაკუთრებით საყურადღებო კი ის გამოდგა, რომ აღნიშნული იატაკის ღონეზე აღმოჩნდა ბრტყელი ქვის სარქველით დახურული პირი ლეგად გამომწვარი თიხის რაღაც დიდი ჭურჭლის, რომლის გარშემო წმენდამ გამოარკვია, რომ იგი მომცრო ქვევრს ანუ ქოცოს წარმოადგენდა. იგი თითქმის შუა ყელამდე ჩარეული იყო ციხის გორაკის შემადგენელ ქანში, კონგლომერატში. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ ადრეული რკინის ხანაში სამოსახლო დაფუძნებული ყოფილა თითქმის უშუალოდ დედაქანზე და მხოლოდ თხელი ფენა ყოფილა ნაყარისა და ნადავისა, ხოლო დანარჩენი 2,5—2,7 მეტრი სისქე ნაყარისა მას შემდეგ არის წარმოქმნილი.

აღნიშნულ ქოცოს (სიმაღლე — 87, პირის დიამეტრი — 33, ბაკოს სიგანე — 4, ყელის სიმაღლე — 1, ძირის დიამეტრი — 24 სმ) ყელს ქვემოთ მხრებს ირგვლივ შემოყოლებული აქვს მარტივი, არქაული იერის ორნამენტი: სამი რელიეფური წიბო და მათ შორის ორი კლავნილი ამონაღარი (ტაბ. XXII, 12). საერთო მოყვანილობითაც და ამ ორნამენტითაც იგი მოგვაგონებს სამხრეთში კარმირ-ბლურზე, ე. ი. ურარტული თეიშეზაინის ნანგრევებზე გათხრილ სსახლოს მარანში აღმოჩენილ ქვევრებს (ოღონდ ამ უკანასკნელს ყელი უფრო განიერი და მაღალი აქვს), რომელთაც ძვ. წ. VII—VI სს. ათარიღებენ<sup>31</sup>. ამას სავსებით შეესაბამება ჩვენი ქოცოს გარემომცველი ჭურჭლებისა და საერთოდ თითქმის მთელ გორაზე აღმოჩენილი შავ-ლეგა კერამიკის, ე. ი. სათანადო სამოსახლოს ხნოვანება. ამრიგად, რუსთავის ნაცობვარზე აღმოჩენილი ქოცო უნდა ჩაითვალოს საქართველოში ერთ-ერთ უძველეს (ხოლო ამოსავლეთ საქართველოში სულაც უძველეს) საღვინე ქვევრად დღემდე გათხრილი ნამოსახლარების ნიხედვით ცნობილთა შორის. ესეც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ექსპედიციისა.

ციხის ამოსავლეთ ზღუდისა და შიგნიდან მასზე მინაშენის გათხრა-შესწავლას 1961 წელს ყველაზე მეტი ყურადღება მიეპყრო.

VI თხრილის შიგნითვე გაგრძელებამ გამოავლინა მარანის კიდევ ერთი ნაწილი — მთელი, ირგვლივ წიბოიანი და ქვის სარქველიანი ქვევრი და ოთხი სხვა ქვევრის ნაშთები, აგრეთვე ორი თონის ფრავმენტი და კერად გამოყენებული პირი ქვევრისა. ქვევრები თონეთა გაუქმების შემდეგ ჩარეული ჩანდა, ე. ი. ამ ადგილას მარანი სათონეს შენაცვლებია. საერთოდ დროდადრო, საჭიროებისამებრ, ამგვარი შენაცვლება სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს და თითქოს განათხარის სხვა უბნებშიც ჩანს ხოლმე.

კედლების, ნახაძრი ფენისა და სხვა ნაშთების ურთიერთგანლაგების მიხედვით ამ თხრილში უკვე თავი იჩინა შუაფეოდალური ხანის ნაშენობის სამმა (და არა ორმა, როგორც მანამდე სხვაგან ჩანდა ხოლმე) ეტაპმა, ხოლო აღნიშნული ნახაძრი ფენა უნდა მოთავსდეს უძველეს და მომდევნო ეტაპს შორის.

დიდძალმა, ყურადსაღებმა კერამიკულმა და სხვა მონაბოვარმა (მათ შორის XI—XIII სს. ქართულმა მონეტებმა და ერთმა არაბულმა, X საუკუნის ფელსმა) ვერც აქ პოვა ზედმიწევნითი სტრატეგრაფიული დანაწევრება.

ზღუდის წმენდისას გამოირკვა, რომ მის გარეთ აქაც ყოფილა საკმაოდ

<sup>31</sup> Б. В. Пиотровский, Кармир-блур, I, Ереван, 1950, с. 21, 59, 60, таб. 5, 6.



მოზრდილი (დიდსა და მცირეს შორის საშუალო ზომისა) ბურჯი და რომ ძლიერი ცეცხლი ზღუდესაც განუცდია. მის შიგნითაც აღმოჩნდა უმუცლოდ ჩველ მიღებული, ორქვევრიანი და ნაცეცხლარი შენობის ნაშთი. ბურჯის პერანგი ამოყვანილია დიდრონი ქვათლილებით (ძველი პერანგი), რომელთაგან ზოგი აგურის ჩარჩოებში ჩაუსკამთ (შემდგომ). ასე რომ, აქ, ამ მხრივ, თითქმის შერეული სურათი ჩანს.

XII თხრილი გაიჭრა VI-ს სამხრეთით, შორიანლოს. აქ ყველაზე უფრო საყურადღებო და მანამდე უჩვეულო გამოდგა შემდეგი გარემოება: აშკარად არქაული იერის მქონე პერანგით შემოსილი მტკიცე (შავრამ თავმოხრეული) ზღუდის გარეთ, მის პარალელურად, ორიოდ მეტრ მანძილზე ამოუყვანიათ სუსტი, რიყის ქვით მარტივად ნაწყობი კედელი — ასე ვთქვათ, გარეთა „ფარი“, მას შემდეგ, რაც ძველი კედელ-ბურჯები დაზიანებულა და მათი საფუძვლიანი შეკეთება აღარ შესაძლებიათ.

X თხრილი გაიჭრა VI-ს ჩრდილოეთით — იქ, სადაც ზღუდენი გვიან შუა საუკუნეთა დროს ჩაჭრილია გარეთა აბანოდან შიგნით (სასახლისაკენ?) შემავალი კიბე — და მიყვანილ იქნა გალაგნის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ალიზით დაშენებულ ბურჯამდე. კიბის თავზე აღმოჩნდა ნაშთები აგურითა და რიყის ქვით ნაგები კარის ამყოლებისა (ტაბ. XVI) და სათანადო ნაგებობის რიყის ქვის კედლისა. ამ კედლის ნახანძრალ-ნანგრევს ქვეშ თავი იჩინა დაღუბული ადამიანის ჩონჩხმა, რომელსაც დამწვარი ძელი დასცემოდა ზედ. იქვე მაჩლობლად ორი სხვა ასევე დაღუბულის ჩონჩხებიც აღმოჩნდა. პირველი ჩონჩხის ქვეშ მოაკრია შუაფეოდალური ხანის მრავალფერადი მოჭიქული ჯამისა და შემოღობილი კრამიტის ნატეხები. ყველა ამ დაკვირვების ერთობლიობა გვაფიქრებინებს, რომ აღწერილი, უახლესი შენობის დანაშაულები და აღამიანთა მსხვერპლი (ისევე, როგორც ზღუდენზე მოშენებული აბანოს დანგრევა) გვიანფეოდალურ ხანაში უნდა მომხდარიყო. ამ ფუნაზე უფრო დრამად გაითხარა რიყის ქვით ამოყვანილი ნაგებობის კედლები (ტაბ. XVII, 1) შუაფეოდალური ხანის კერამიკისა და სხვა მონაპოვრის თანხლებით. აღსანიშნავია მინის სქელი, სსარკმლე მინის ნატეხი და სპილენძის ქართული მონეტა, 1280 წლის. მრავლადაა სამშენებლო კერამიკა; მათ შორის — გვიანდელიც (აგური, კრამიტი, მოჭიქული შორენკეცი, შეღებილ-მოხატული ბათქაში და სხვ.).

აღიზიანაშენი ბურჯის შიგნით თხრამ გამოავლინა მცირე ბურჯი და ზღუდის ნაწილი, ქვათლილებით შემოსილი. წინააღმდეგ მოლოდინისა, აქ კარბზე ჯერ არ ჩანს.

XI თხრილმა განავრძო (1959 წლის III თხრილის შემდგომ) გამოვლენა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჯერჯერობით, ერთადერთი კარბის მიმდგომი ნაშთებისა. ბურჯში დატანებული კოშკიდან შიგ შემავალ კიბიან გვირაბს მოჰყვა მისგან თალიანი კარით გამოყოფილი სამსენაკიანი ნაგებობა და ერთიც სხვაგვარი ნაგებობის ნაწილი. სამსენაკიანის პირველი ორი სენაკის კედლები ნაგებია ნატეხი ქვითა და დუღაბით. ორთავე აატაკი და ზეპირკველი მოგებულ ბრტყელი ფლაკეებით — ისევე, როგორც კოშკისა და კიბე-გვირაბისა. მესამე სენაკი რიყის ქვითა და დუღაბით არის ნაგები. სამთავე სენაკს ეტყობა მერმინდელი შეკეთება: ქართული აგურით, ხოლო აქა-იქ ქვათლილებით და არქიტექტურული სამკაულის დეტალებითაც კი. ეს კიდევ ერთი შემთხვევაა, ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა (მათ შორის ტაძრის) ნანგრევი მასალის ხელშეკრულად გამოყენებისა. სამხრეთი კედელი, ალიზის წყობა მკაფიოდ განსხვავდება ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯზე დანაშენის წყობისაგან: აქ სრულიად არაა დუღაბი ალიზის მწკრივთა შორის, იგი უფრო ძველი უნდა იყოს.



XI თხრილში გამოიჩინა სამი ფენა: უძველესი შეესაბამება ნაგებობათა თვდაბრველ წყებას, რომელიც მოიცავს კარიბჭე-გვირაბის იატაკს (ტაბ. XVII), ზოგიერთ დიდ ქვათილს და სათანადო ზემირკველსაც; მეორე ეტაჟისაგან მკაფიოდ გამოიყოფს ნახანძრალი, რომლის შემდეგაც ნაგებობა აგურ-ღულბით შეუქტებიათ (ტაბ. XIX, 1); მესამე — წარმოდგენილია ისევ ღულბითა და დაკუთხული (ზოგჯერ პროფილიანი) ქვებით, რომლებითაც ბოლო დროს (ოღონდ ჯერ ისევ შუაფეოდალურ ხანაში) შეუქტებიათ კედელთა ზედა ნაწილები. არც თუ მრავალიცხოვან, მეტწილ შუაფეოდალური ხანის ღონაბოვარში ყურადღებას იქცევს რკინის სატევრისა თუ მანვლის პირის ნატები, ცხენის ძვლებთან ერთად ნაპოვნო.

XIII თხრილი (ტაბ. XX) ვაჭრა ვალაენის დასავლეთ, მანამდე შეუსწავლელ კედელზე, რომელიც ზედაბირზე რიყის ქვის ნაშენობის ნაშთების სახით ჩანდა მხოლოდ. აქაც მერმინდელ, თხელ წინა „ფართან“ ვეკონდა საქმე, ზოლო მის შიგნით, ორიოდ მეტრზე არის ძლიერ დანგრეული (ღულბიანი ალიზით შეესებულები), მაგრამ თავის დროზე მკვიდრი დიდი ბურჯი და ზღუდე (ტაბ. XIX, 2). ეტყობა XI უბნის მსგავსად, ზღუდე-ბურჯი აქაც ძალზე ნაკლები შექმნილა, კაპიტალურად ვეღარ აღუდგენიათ და წინ „ფართან“ აღუმართავთ. თავი იჩინა აგრეთვე ზღუდის უჩვეულო ელემენტმა, პარალელური კედლით გამოყოფილმა „აღრეთანმა“. აღსანიშნავია ზღუდე ბურჯის ნაშენობაში ბრტყელი აგურის ფენა-ფენა, უხვად გამოყენება. არქეოლოგიური მონაპოვარი საკმაოდ მცირერიცხოვანი და თითქმის მხოლოდ შუაფეოდალური ხანისა იყო.

რუსთავის ნაციხვარზე ჩატარებული მესამე არქეოლოგიური კამპანიის უმნიშვნელოვანესი შედეგები შეიძლება ასე შეჯამდეს.

1. საბოლოოდ დადგინილია, რომ მერმინდელი ციხის ასაგებად შერჩეული მდლობი ადრეულ რკინის ხანაში ყოფილა გორა-მიწათმოქმედი (თან ეგებ უკვე მეღინე? და შესაქონლე მოსახლეობის საცხოვრისი, რომლის არქეოლოგიური ნაშთები ვანსაკუთრებით მრავლად გვხვდება ციხის შიდა არის შუა და ჩრდილო ნაწილებში. ამათგან ხაზგასმით აღსანიშნავია ქვატალახა კედლის ნაშთი, კერა, ხელსაფეკავები, ქურჭელთა გროვები და სარქველიანი ქვევრი თუ ქოცო.

2. ბევრგან მკაფიოდ ჩანს რამდენიმე ძლიერი ხანძრისა და ნგრევის კვალი, ერთი ნათვანი თანხედება ადრე და შუაფეოდალურ ხანათა მიჯნას, მეორე — შუაფეოდალური ხანის ბოლოს, მესამე (უფრო ვიწროდ ვავრცელებული) — გვიანფეოდალურ ხანას. ეს უკანასკნელი უნდა დაუკავშირდეს ნაზარ-ალი-ხანის სასახლის მოსპობას, რასაც ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყოლია თან.

3. საკუთრივ შუაფეოდალური ხანის ნაგებობებშიც, რომელთაც ყოველმხრივ უდიდესი ადგილი უკავიათ ვალაენს შიგნით, ხერხდება უკვე სამი ფენის გამოჩენვა. ამ ხანისათვის დამახასიათებელია ადრეფეოდალური დროის ტაძრისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევი მასალის გამოყენება ზღუდის პერანგისა თუ შიდა ნაგებობათა კედლების შესაკეთებლად — ჩანს, დიდი ნგრევის შემდეგ.

4. ადრეფეოდალური ხანის ნაშენობა ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ შემორჩენილია ზღუდე-ბურჯების გარეთა პერანგზე (ვანსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), ზოლო შიდა არეზე — I თხრილის უძველეს, ყველაზე უფრო მკვიდრ ნაგებობაში, აბანოსაც რომ მოიცავს.

5. ალიზით შენება (შეკეთება), წინააღმდეგ უწინდელი შთაბეჭდილებისა, უწარმოებიათ გვიანფეოდალურ ხანაზე უფრო ადრეც, სხვაგვარი წყობით. ამას-



თანვე, გვიანფეოდალურ ხანაში იგი უწარმოებიათ დასავლეთ ზღუდეზედაც (და ალბათ სხვა ადგილებშიც) და არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

6. აგრეთვე ახალ სიტყვას გვეუბნება რუსთავის სამავრო მშენებლობის ისტორიაში გარეთა, ბევრად უფრო სუსტი „ფარების“ აღმართვის ფაქტები — როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ზღუდეებზე, საჭიროა ასეთი მშენებლობის დათარიღება და აღიზით დაშენების ფაქტებთან მისი ქრონოლოგიური ურთიერთობის გარკვევა.

7. ჯერაც არ ჩანს ციხის შიგნით ნაგულისხმევი ძირითადი დიდრონი შენობების (სასახლის, ტაძრის) ნაშთები: ან ისინი საფუძვლიანადაა აღგვილი, ან არა და მათ გამოვლენას ხელს უშლის შემადლებულზე მდგარი თანამედროვე სახლი.

8. არქეოლოგიური მონაპოვარი (მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა მინის სამაჯურები და ჭურჭელი, მონეტები და სხვ.), ჩვეულებისამებრ, ძალზე მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი და მეტყველია, მაგრამ, კვლიენდებრ უმთავრესად შუაფეოდალური ხანისათვის მისაკუთვანებელი მასალა გვაქვს (ადრეულ რკინის ხანას თუ არ ჩავადებთ სათვალავში). ამ საერთო სურათს ვერ ცვლის ფარკვეული რაოდენობა ადრეფეოდალური (თუ მისი უწინარესი) დროის მოჭიქული და სხვა ჭურჭელი და — ერთ უბანზე — გვიანფეოდალური ზანის სამშენებლო კერამიკა.

9. შემდგომმა გათხრა-შესწავლამ უნდა გადაჭრას, ვარდა ადრევე დასახულისა, ამ კამბანიის განმავლობაში წამოჭრილი საკითხებიც და, საერთოდ, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ უნდა გამოავლინოს ციხისა და მისი შიდა ნაშენობის არსი და ისტორია.

1962 წლის კამბანიამ იმუშავა ასეთივე ტერიტორიალური გაქანებით — სულ 5 თბრილში, რომელთაგან სამი ადრევე იყო დაწყებული (VI—1960 წელს, XI და XIII — 1961 წელს), ხოლო ორი, საცდელი (XIV და XV) ახლად გაიჭრა.

VI თბრილი დასავლეთით ვაფართოვდა, მან გამოავლინა ისევ უმთავრესად სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევი (თითქმის მხოლოდ საძირკვლები), ხოლო მათ შორის ქვევრების, თონეებისა და კერათა ნაშთები, მიწის ზედაპირთან ძალიან ახლოს. აქ კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა, რომ შუაფეოდალური ხანისათვის მისაკუთვანებელი ამგვარი ძეგლები ნაციხვარზე წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ფენად, რომელთა ხნოვანება დიდად არ შორდება ერთმეორეს და უახლესი კი XIII ს. მიეწერება. ამ ფენებს ქვემოთ, 1 მეტრის გამოშვებით, თავი იჩინა გარდიგარდმო მიმართულმა, დიდრონი ნატეხი ქვით ნაშენი კედლის ნაშთმა (ტაბ. XV), რომელიც ადრეფეოდალური ზანისა ჩანს — ისევე, როგორც 1950 წელს ნაქალაქარის თბრისას გამოვლენილი, ყოველმხრივ მსგავსი და ამდენიმე სიღრმევი ხარვეზით გამოყოფილი კედლის ნაშთი, რომელიც ვერ მიეკუთვნება სამეურნეო ნაგებობას. აქ მის ასეთ ხნოვანებას, ვარდა სტრატეგრაფიული განლაგებისა, გვაუთლისხმებინებს: თანხლები ძველებური, განსაკუთრებული კერამიკა (მოჭიქულიც); VI—VII სს. მინის ბეჭედი და თითქმის გვიანანტიკური დროისათვის დამახასიათებელი ზომა-მოყვანილობის კრამიტი. თვით კედელი კი ჩაუდგამთ ადრეული რკინის ხანისათვის ჩვეულია, შავ-ლუგა თიხის ჭურჭლის ნატეხების შემცველი მიწის ფენაში (კრამიტისა და ეს ფენაც მოგვაგონებს II თბრილისას; 1959 წელს რომ იჩინა თავი).

ამრიგად, VI თბრილს ჯეროვნად (3-ოდე მეტრზე) ჩაღრმავებამ მოგვცა ნაციხვარის ერთ-ერთი შინაარსიანი საყრდენი სტრატეგრაფიული ჭრილი, ისე-




ვე როგორც თავის დროზე I და II თხრილებში. უიველეს ფენად აქაც (I და II თხრილების მსგავსად) გვევლინება წინარეანტიკური ხანის სამოსახლოების ნაშთები.

ამავე ჭრილის სულ ზედა ფენამ გამოგვიჩინა ერთი უმნიშვნელოვანესი გვუფი მონაპოვრებისა, რომელსაც პირობით „საეკლესიო განძს“ ვუწოდებთ და რომელსაც ათეულობით თანხმლები (მეტწილად აგრეთვე საგანგებოდ შენახული) სპილენძის ქართული ფული XIII საუკუნისად მიგვაჩვენებენ. ამ ნივთების უმეტესობა ამოიკრება რიყის ქვით ამოვსებულ თონე-კერაში, ნაწილი კი მის მახლობლად (ტაბ. XX XVIII). გარდა მოუჭიჭევე-მოჭიჭეული თიხის ჭურჭლისა თუ მინის ნატეხებისა, აღსანიშნავია ბრინჯაოს შემდეგი საგნები: ორკეცი, მინით მოთვალული გულსაკიდი ჯვარი, რომელზედაც წმინდანის გამოსახულება, მცენარეები და ორნამენტია ამოკაწრული (ტაბ. XXXIX, 1—3) მოგრძო ქარქაში, რომელზედაც ორნამენტი და თითქოს „წარწერაც“ არის ამოკაწრული: ზარაკი; პატარა სასწორის ორი ჯამუჯა; თასი, რომელზედაც ექვსქმიანი ვარსკვლავი და „წარწერა“ თუ ორნამენტია ამოკაწრული და სხვ. (ტაბ. XX XVII, 2). სწორედ ეს განძი გვითარღებს სათანადოდ (ამ უბანზე უახლესი) შენობის ნაშთებსაც და მასთან დაკავშირებულ სხვა არქეოლოგიურ მონაპოვარსაც. შესაძლოა, იგი მონღოლთა მტარეალობის ხანაში იყოს დამალული, მსგავსად ექსპედიციის მიერ ნაცხვარზედვე თუ ნაქალაქარში აღმოჩენილი ზოგი სხვა განძისა. მასში შემავალი, უთუოდ თავისებური, უჩვეულო საგნები ძალიან ამდიდრებენ და ამრავალფეროვნებენ რუსთავში დაკრთვილ მცირე ძეგლთა ათასეულოვან ფონდს და კიდევ ერთხელ გვიმომწებენ ციხეზე ეკლესიის არსებობას.

XI თხრილში გავიშვლდა ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭის მახლობლად აღრე გათხრილ მკვიდრ ნაშენობაზე მიღებული, დაახლოებით ასევე (ნატეხი ქვით, რიყისქვით, აქა-იქ ავურით, კირით) ამოყვანილი ნაშთი, რომელსაც თან ახლავს მოდულაბებული, დატკეპნილი თიხის იატაკები, ერთი მეორისაგან 1 მ სისქე მიწით გამოყოფილი. შედარებით მცირე განათხარში თავი იჩინა ახლო-ახლოს, პირებით სამ სხვადასხვა დონეზე მდებარე 7 ორმომ და 9 ფოსომ (ტაბ. XVIII), რომელთა თავდაპირველი დანიშნულება მარცვლეულის შენახვა თუ იყო. მათში — „არქეოლოგიურ ორმოთა“ წესისამებრ — მრავლად აღმოჩნდა კერამიკისა და სხვა საგანთა ნატეხები, რომელთა გულდასმით შესწავლა მონაპოვრის სტრატოგრაფიული დანიშნულებისათვის ერთ-ერთ საყურადღებო სქემას მოგვცემს. წინასწარულად კი ეს მონაპოვარი თითქმის მთლად თავსდება შუაფეოდალურ ხანაში.

XIII თხრილში გრძელდებოდა ციხის დასავლეთი ზღუდის შუა ნაწილისა და შიგნიდან მინაშენის ნაშთების გამოვლინება. ადრევე გარშემოთხრილი ბურჯის დასავლეთით გამოჩნდა ალიზის გვიანდელი დანაშენის მცირე ნაშთი და გაიკვავა, რომ ალიზითვე ყოფილა შეკვებული სივრცე ძველ ზღუდე-ბურჯსა და მისი დანგრევის შერამე გარეთ აღმართულ ქვითყირის „ფარს“ შორის, ამ უკანასკნელის აგების შემდგომ, ზღუდეს შიგნით, მის ნანგრევზე გამართული „დერენის“ გაგრძელებაზე გამოვლინდა წესიერი აგურფენილი, რომელიც დაუუგიათ აღნიშნული ნანგრევის გადასწორებულ ზედაბირზე, აგრეთვე „ფარის“ აღმართვის შემდგომ. ზღუდეს შიგნით თუ მის გადანანგრევზე აღმოჩნდა რამდენიმე ქვევრისა და თონის ნაშთები.

არქეოლოგიური მონაპოვარი ამ უბანზე კვლავ მრავალრიცხოვანი იყო და მრავალფეროვანიც. მეტადრე ყურადსაღებია ადრინდელი მოჭიქული კერა-



მიკა, რომელიც, სამწუხაროდ, არც აქ ჩნდებოდა პირველად ფენაში და შუაფეოდალური ხანის კერამიკასთან იყო შერეული (ტაბ. I, II ფ). ამრიგად, საანგარიშო წელს მხოლოდ XIII თხრილში გვქონდა დროის სამივე დიდი მონაკვეთის, ადრე, შუა და გვიანფეოდალურ ხანათა თვალსაჩინო ძეგლები — ნაშენობის ნაშთები თუ ნივთიერი მონაბოვარი.

XIV—XV თხრილები პატარ-პატარა იყო. გაიჭრა ციხის შუაგულში, ადრინდელ II—XIII და VI—VIII თხრილთა შორის თუ მახლობლად, ორივეგან ზედაპირთან სულ ახლოსვე, რაცის ქვის შენობათა ნაშთები შუაფეოდალური ხანისა ჩანს, უხვად ამომავალი არქეოლოგიური მასალის მიხედვით. მათშიც, თითქოს სამი ფენა გამოიყოფა მეზობელი VI თხრილის მსგავსად. ეს მონაბოვარი, ჩვეულებისამებრ, უმთავრესად წარმოდგენილი იყო მოუჭიჭივე და მოჭიჭილი კერამიკით (ამ უკანასკნელში ყურადსაღებია სამეფა „სამელნე“ და სხვ.), მინის ნაწარმით და ა. შ.

ამ საცდელმა თხრილებმა შეგვივსეს და დაგვიზუსტეს წარმოდგენა ციხის შუა უბნის არქეოლოგიური შინაარსის თაობაზე. ოღონდ ვერ მოვასწარით მათი დაყვანა ამ მიწამდე, ასე რომ, ჯერ არა გვეთქმის-რა უფრო ძველ ფენათა შესახებ.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ გვამცნობს, თუ კვლავაც რა ნაყოფიერი იქნება ნაციხვარის თხრა, ხოლო ამის შემდგომ — ყველა შედეგის შეჯამება და ერთიან ქრონოლოგიურ სქემაზე აკინძვა; ჯერ კიდევ დაშორიშორებულ უბნებს შორის გათხრა და ამრიგად გამოვლენილ ძირითად ნაგებობათა და არქეოლოგიურ ფენათა შეჯერება-გადაბმა, მას კი რამდენიმე ხანგრძლივი კამპანია მაინც დასჭირდება.

რუსთავის ნაციხვარი ისეთ მეტყველ ძეგლად გვევლინება, რომ საესეებით იმსახურებს ამდენ მუშაობას, რამაც საბოლოოდ მისი სახე, შინაარსი და რთული თავგადასავალი რაც შეიძლება სრულად უნდა წარმოგვიდგინოს.

### III. შრთავრისი დასკვნები

ამ ნაშრომის ბოლოში აღარ დავლით მკითხველის ყურადღებას იმის ნაბიჯ-ნაბიჯ გაცვლევით, თუ რომელ წერილობით წყაროში როგორ და როდის იხსენიება რუსთავი, რომელი ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო იგი, როდის ვის უბოძეს მეფეებმა და ა. შ. ეს მით უმეტეს აღარ გვეჩვენება საჭიროდ, რომ რუსთავში არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებამდე ბევრად ადრე მიმოიხილა ისინი ბ. ინგოროყვამ, ზემოთ მრავალჯერის ნახსენებ „Rustveliana“-ში თავისი საესებით გარკვეული კვლევითი მიზანდასახულობის შესაბამისად, ხოლო წელს კიდევ უფრო ვრცლად გააკვლია რუსთავის წერილობითი ისტორია იმავე ნაშრომის „ეპილოგში“<sup>32</sup>. ესეც არ იყოს, 1958 წელს ჩვენი ექსპედიციის მონაბოვარზე დაფუძნებულ ნაშრომში ლ. ჭილაშვილმა, ასე ვთქვათ „გაგვითავისუფლა ამ მოვალეობისაგან“, რომლის მოხდასაც 1949—51 წწ. კამპანიითა ვრცელ ანგარიშში ვაპირებდით<sup>33</sup>, ოღონდ იმავე მიზეზმა თვით ამ ანგარიშის დაწერის „აუცილებლობისაგანაც გაგვითავისუფლა“.

ყოველივე ამის გამო ახლა ისღა მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ჩვენი შეიდი წლის გათხრებისა, მისი გაზრებისა და დაკვირვება-გარაუდებისა, თუ მეტნაკლებ გარკვეული დასკვნების ვრცლად გადმოცემის შემდეგ, ჩამოვყავი-ბოთ რაც შეიძლება მოკლე ნარკვევი, ჯერ „წინარერუსთავის“ სამოსახლოები-

32 უტრ. „მნათობი“, თბ., 1963, № 3, 7.  
33 გ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ქ., დამოწ. ნაშრ., გვ. 192, შენ.



სა და შემდეგ კი ციხე-ქალაქ რუსთავის ისტორიისა — ისე, როგორც გვესახებოდა.

ყიასწყარ უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად ზოგიერთი მომენტისა, რომელიც ავლენს ჩანაწერს მტკვარს გაღმა-გამოღმა მდებარე სამოსახლოების ერთობლივ განვითარების შესახებ თითქმის უარყოფით შთაბეჭდილებებს გვექმნიან<sup>84</sup>, მაინც ვამჯობინებთ, რომ მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე თბრით გამოვლენილი ძეგლები ამ ორი „წინარე-რუსთავისა“, შეძლებისამებრ ერთობლივად ანა, მხარდასაჩარ მაინც განვიხილოთ, ხოლო რუსთავის გაქალაქების დროიდან მათი ასეთი დაკავშირება, პირადად ჩვენ, უკვე სავსებით მარაბებულად გვეჩვენება.

ამრიგად, დღევანდელი რუსთავის უძველესი წინამორბედი, მარჯვენა ნაპირზე მდებარე სამოსახლოს ხნოვანება სადღაც, თითქმის შუა ბრინჯაოს ხანაში იძირება, თუ უფრო ღრმად არა: ვაჩნია, რომელი ავტორის აზრს გავიხარებთ, პიოტროვსკისას თუ პანჩარისას, ამდროინდელი სამოსახლოს ერთადერთი არქეოლოგიური ძეგლის — შავად მოხატული წითელბრიალა ქოთნის მსგავსი კერამიკის შესახებ, რომელიც, ალბათ, იმ სამოსახლოს სამაროვნიდან მომდინარეობს.

გვიან ბრინჯაოს ხანაში — უფრო სწორად, მის მიწურულში, მარცხენა ნაპირზედაც ჩანს სამოსახლო, ისევე და ისევე დამახასიათებელი სამარხული ინვენტარის მიხედვით, რამდენადმე უფრო გვიანდელი ძეგლები — ბრინჯაოს დიდი მშვილდაკანი, ცვილით მოხატული შავი ქოთანი და სხვ. — გვამცნობენ, რომ იმ ხანაში მარცხენა ნაპირზედაც განაგრძობს არსებობას სამოსახლო.

უფრო განვრცობილი ჩანს სამოსახლოები, ორივე ნაპირზე, ადრეულ რკინის ხანაში, მის საწყის ეტაპებზე. მარცხენა ნაპირზე ამ დროს უკვე მნიშვნელოვანი სამოსახლო ჩანს იმ გორაზე, რომელზედაც შემდეგ რუსთავის ციხე შენდება. მისგან შემორჩენილია: რიყის ქვითა და თიხით ნაშენი სახლის კედელი (უძველესი შენობა დღევანდელი რუსთავის ტერიტორიაზედაც და „წინარე-რუსთავშიც“); კერები, ცხოველთა ძეგლები, კარგი ხარისხის შავ-ლეგა კერამიკის მრავალი ნიმუში, ძველებური ზელსაფქვაკები და კარგა დიდი, რელიეფურ-სამკაულოანი ქოცო, რომელიც შეიძლება უკვე საღვინედაც კი მივიჩნიოთ. ამ სამოსახლარის ფენა თითქმის მთელ გორაზეა, ღრმად, კერამიკა მას ძვ. წ. XII—VI სს-ით გვითარილებს (სამთავრული ანალოგიების მიხედვით). ეს მოსახლეობა განვითარებული მიწათმოქმედებისა და თან მესაქონლეობის პატრონი ჩანს, იმავე დროის სამოსახლარს უნდა დაეტოვებინა შავლეგა კერამიკა, რომლის ნატყებებიც თავს იჩენდა უღრმეს ფენაში 1950 წლის კამპანიის დროს ციხის გარეთა ნაქალაქარის თხრისას, ციხის გორის პირდაპირ, არბს გამოღმა მდებარე ზეგანზე, სადაც ახლა საავადმყოფოა აშენებული. ზოგი რამ იმავედროინდელი შავლეგა კერამიკის მარჯვენა ნაპირზედაც არის მოპოვებული, ისე რომ, იქაც უწყვეტლივ გრძელდება მოსახლეობა. მომდევნო ეტაპის ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების (სახელდობრ, VI—V სს.) სამოსახლომ გვიანშენებს მარჯვენა ნაპირზე გათბრილი „ხელსატეგრიანი ბერიკაცის“ — სამარხი — ბრინჯაოს ისრისპირების მიხედვით და, აგრეთვე, ბრინჯაოს მოცვარულ ფირფიტაინი საყურეებისა და მწველსაქაიმის შემცველი სამარხები. შეიძლება რამდენადმე უფრო გვიანდელი იყოს 1959 წელს მერმინდელ ქვის სამარხთა ქვეშ გათხრილი ერთი ორი — სამარხის ნაშთი, რომელშიც ბრინჯაოს სამკა-

84 შავ. ბრინჯაოს ხანაში (შინ შესახებ იხ. გ. ნიო რ ა ძ ე, ზემო დეკალის სამარხ; გ. ლო მ-ო ა თ ი ძ ე, ბრინჯაოს სატყურები და მახელები სამთავროს სამაროვანში).



ულები აღმოჩნდა. დაახლოებით იმავე დროის სამოსახლო შეგვიძლია გვეგულო-  
სხმოთ მარცხენა ნაპირზედაც — ალბათ ცხის გორაზედ და განთავსდნენ  
არსებულ სამოსახლოთა ორგანულად განმგრობნი — ბრინჯაოს ისრისაპირისა  
და ზოგი კერამიკული ჭურჭლის მიხედვით.

ასე მიედივართ ანტიკური ხანის გარაყრატადღე. უნდა აღინიშნოს, რომ  
შემოგანხილული, წინარეანტიკურ სამოსახლოთა მანიშნებელი ძეგლების გა-  
მოცნობაცა და დათარიღებაც სრულიად არ არის საძნელო, ვინაიდან ყოველი  
ნათვანს თითქმის რომ ზედმიწევნითი, ხშირად მრავალი პარალელი მოეპოვება,  
უბრუნებულს ყოვლისა, მცხეთა-სამთავროს სამაროვანში და აგრეთვე შიდა  
ქართლისა და კახეთის სხვა ძეგლებში, ისე რომ, წინარე რუსთავის კულტურულ-  
ლი ავლადიდების მიხედვით მისი მოსახლეობა ორგანულად ჩაბმული ჩანს აღ-  
მოსავლურ-ქართულ ტომთა ერთიანობაში. მხოლოდ ერთი, უძველესი, შავად  
ნოხატული წითელი ჭურჭელი, უფრო ქვემო ქართლისაკენ და სამხრეთი და  
აღმოსავლეთი მუზობლებისაკენ გვადებიანებს გეზს, და მხოლოდ ამამი თუ გა-  
მოიხატება „მტკვარ-სამხრეთული“ ორიენტაცია მარცხენა ნაპირის „წინარე-  
რუსთავის“ კულტურისა.

რაც შეეხება ანტიკურ ხანას, რუსთავის ტერიტორიაზე მისი ძეგლების არ-  
სებობა-არარსებობისა და მიგნება-გერმიგნების საკითხი დღესაც, ექსპე-  
დიციის 7 კამპანიის შემდეგაც კი გადაუჭრელია და ეს უნდა ჩავთვალოს უმნიშ-  
ვნელოვანეს ხარვეზად ექსპედიციის (თუ რუსთავის არქეოლოგიურ კამპ-  
ლექსს?). აქ ორი — სამი რამ შეიძლება იყოს მიზეზი: ა) ან არის ეს ფენები  
წარმოდგენილი, მაგრამ ჯერ ვერსად მიგვიკვლევია ისე, რომ სხვა ფენებივით  
უყოყმანოდ მიეკუთვნოს ანტიკურ ხანას; ბ) ან ძალიან უმნიშვნელოა იმდრო-  
ინდელი ნაშთები და, მამსადაამე, სათანადო ხანაში რუსთავის დასახლებამ ძალ-  
ზე შეკვეცა, გ) ან აქაური, ანტიკური ხანის ძეგლები კი არის, მაგრამ მცხეთა-  
უფლისციხე — ურბნისისა და მით უფრო კოლხეთის, უკვე მეტ-ნაკლებ შე-  
სწავლილი ცენტრებისაგან განსხვავებით, სრულიადაც არ გამოირჩევა ისე შეკ-  
ფიოდ, მაგალითად, აღრეანტიკური რკინის ხანის სულ დასაწყისი ეტაპისაგან  
და კარგა ხანს შემოპყვება იგივე შავლევა-პრიალა კერამიკა, იგი არ უთმობს  
ადგილს წითელს, ჭურჭლეულის დამახასიათებელ ახალ ფორმებს, არა ჩანს წი-  
ნარეფეოდალური ხანის მინის ჭურჭელი, სამკაულის სპეციფიკური სახეები და  
ა. შ. დ) შესაძლოა, ცოტ-ცოტა სამივე მიზეზი იყოს ერთად და ეს კიდევ უფრო  
აბუნდოვანებდეს საკითხს. გვიანანტიკურ ხანაზე, ახ. წ. ბირველ სამ საუკუ-  
ნეზე, თითქმის კიდევ შეიძლება რაღაცა მეტის თქმა — ოქროს ერთი სამკა-  
ულისა და წითელპრიალა კოჭობისა, ხელადისა და აგრეთვე მარცხენა ნაპი-  
რის ერთი პაციევი კოჭობისა და გაუთხრელ ნამოსახლარში თითქმის იმ დრო-  
ისათვის დამახასიათებელი ზომა-მოყვანილობის კრამიტის მიხედვით, მაგრამ  
ეს ძალიან ცოტაა (თანაც ასეთი კრამიტი შუა საუკუნეთა დასაწყისშიც არის),  
1950 წელს შემდეგ თითქმის არაფერი მიმატებია (ნაციხვარზე აღმოჩენილი  
ერთი საეჭვო სანელსაცხებლის მსგავსებური ტანი და თიხის ერთი შემოხორკ-  
ლილი კოჭობის გარდა, რომლებიც შეიძლება რამდენიმედღე უფრო გვიანდელიც  
კი იყვნენ). მთავარი კი ისაა, რომ არსად არც ერთი იმ დროინდელი მონეტა არ  
აღმოჩენილა — მაშინ, როცა მცხეთაშიაც და ურბნისშიაც ისინი ძალიან მრავ-  
ლად არიან, — და საერთოდ რუსთავის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ლათონის  
ფულში უძველესად დღემდე რჩება იუსტიანე I-ს ბიზანტიური მონეტა (VI ს-  
ის პირველი ნახევარი). ეს გარემოება უკეთეს შემთხვევაში, იმას მაინც მო-  
ასწავებს, რომ თუ კიდევაც იყო რუსთავში იმდროინდელი სამოსახლოები, მა-

თი ეკონომიური ცხოვრება დუნე ყოფილა და თვით სამოსახლოებიც აღბათ არ იქნებოდნენ მაინცა და მაინც მნიშვნელოვანნი.

ყოველდღე ამის გამო უნდა ვაღიაროთ, რომ ჭერჭერობით ვერ დავემოწმებით არქეოლოგიური მასალებით ლეონტი მროველის ცნობას იმის შესახებ, რომ ელინისტური ხანის დამდევს აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ „ძლიერ ციხე-ქალაქთა“ შორის რუსთავიც ყოფილა — მით უმეტეს, რომ თვით ციხის ნაშენობაშიც არსადა ჩანს იმდროინდელი თავისებური ელემენტები, რომელთაც თვალსაჩინოდ ვიკნობდით მცხეთაში — ბაგინეთში, სარკინეთში და ს. ვიმეორებთ, საერთოდ, მთელი ანტიკური ხანა ამ ციხე-ქალაქის ისტორიაში „ამოვარდნილი“ თუ არა, ძალიან უფერული მაინცა ჩანს და მის უკეთესად გამოვლენას კვლავაც ბევრი მუშაობა დააჭირდება.

სამაგიეროდ, უცხად და მრავალ ადგილას, ორივე ნაპირზე ისევ იჩენს თავს მნიშვნელოვანი სამოსახლოები წუთა საუკუნეთა გარაუბრებულად ადრეფეოდალური ხანის დამდევს, IV საუკუნეიდანვე. სამოსახლობის ინტენსივობით ეს ხანა განუზომლად აღემატება უშუალოდ წინამორბედს: სათანადო ნაშთებს ძებნა არ სჭირდებათ, ისინი თავისთავად გვივარდებიან ხელთ.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ საუკუნეში აღნიშნავს ჩვენი ძველი მატანე რუსთავის, როგორც ქართლის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საარტიკაციო მშენებლობის ადგილს („ტრდატ მეფემან გამოიღო რუ“), რასაც, საფიქრებელია მოჰყვებოდა „რუსთავის“ დამცველი და მომვლელი ციხისა თუ სხვა ნაგებობათა აღმართვა და თანდათან წარმოქმნა ნამდვილი ქალაქისა — ორთავე ნაპირზე მომძლავრებულ სამოსახლოთა ნიადაგზე. ამ უკვე ნამდვილ თანხმობას ვხედავთ წერილობითი წყაროების ცნობასა და არქეოლოგიური კვლევის შედეგებს შორის.

თვით ადრეფეოდალური ხანა ჩვენს არქეოლოგიაში სრულიადაც არა ჩანს ექვსივე საუკუნის ნაწილზე ერთგვაროვანი და განუყოფელი. უპირველეს ყოვლისა, მცხეთის საპაროვნების მიხედვით ხდება აუცილებელი მასში სამი საფეხურის გამოყოფა: IV—VI სს. (ანტიკურიდან ფეოდალურზე გარდამავალი, ს. ჯანაშვიას მიხედვით „ფეოდალურა რეკოლუციის“ წესაბამისი). VI—VIII სს. (ნამდვილი ფეოდალურა ხანის დასაწყისი) და VIII—X სს. (გერ არაბობის და შემდეგ თურქ-სელჩუკობის მიმე პირობებში ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და გავრთიანებისადმი სწრაფვის ხანა, ამ უკანასკნელით დავეირგვინებელი). საკუთრივ პირველ ეტაპს მიეკუთვნება მარჯვენა ნაპირზე არსებული ის სამონასტრო, რომელსაც დაუტოვებია ორმოსამართავანი (ნაწილობრივ შესწავლილი 1949 წელს), ფრიად თავისებური, ცხოველთა საფლავებითურთ, მაგრამ მცხეთურთან ბევრი რამ საერთოს მქონე ინვენტარის შემცველი და მათივე მიხედვით IV—V საუკუნეებით დათარიღებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ოქროს ნივთები იერთია და აღნაგობა-ტექნიკით ძალიან მოგვაგონებს მცხეთურს, ისე რომ, მათი ადგილობრივი ნაკეთობის საკითხი არც წამოგვეჭრება, მინის ჭურჭელი ისეთი ჩანს, რომ, პირიქით, გვაფიქრებინებს, ადგილობრივ არის ნაკეთები და თან ძალიან კარვად, ფაქიზად. ეს არის პირველი ნიშანი იმისა, რომ ფეოდალური ხანის სულ დასაწყისისათვისვე შეგვიძლია გიგულისხმობთ რუსთავში საკუთარი საწარმოთა კერა მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი დარკისა და ასეთი დავეირვება კი მისი უკვე ქალაქობის მომასწავებელ გარემოებათა რაცხეს შეემატება.

A priori საკულისხმობა აგრეთვე კერამიკის წარმოების არსებობა — ჩვეულებრივი წითელკეციანი თუ რუხკეციანი ჯამ-ჭურჭლისა და სამშენებლო კე-



რამიკისა — კრამიტისა მიინც, რადგან ერთსაცა და მეორესაც მრავლად ვხე-  
დავთ, ერთად, ნამოსახლარად მიჩნეულ ნაშთებს შორის და თან შე-  
კრამიტი ზომა-მოყვანილობით ჯერ კიდევ ვერ დასცილება ჩვენებურ ანტიკურ  
სტანდარტს<sup>35</sup>. აქვე უნდა ვიგულისხმოთ კერამიკული წარმოების ერთი ისეთი  
თავისებური სახეობა, როგორც არის მიცვალბულთა სამარხავად თიხის სა-  
კოფაგების აშენება და გამოწვა. ერთი ასეთი საკოფაგი, მარჯვენა ნაპირს სა-  
მაროვან ველზე 1957 წელს შემთხვევით აღმოჩენილი და რუსთავის მუზეუმში  
დაცული, ეკუთვნის ე. წ. „აბაზანისებურ“ ვარაანტს. მისი ინვენტარი ვერ მო-  
იკრიბა (ან ეგებ მართლა სულაც არა ყოფილა რა შიგ), მაგრამ, საქართველოში  
თიხის საკოფაგთა გავრცელების უკვე საკმაოდ კარგად ცნობილი სურათის  
შესაბამისად, ისიც IV—V სს-ებს უნდა მიეკუთვნოს, ისე რომ, ზემოაღნიშნული  
ორმოსამარხების ტოლი უნდა იყოს, ოღონდ ალბათ სამაროვნის სხვა უბანზე  
ყოფილა დაფლული. იმავე დროის სხვა სამაროვანსა თუ ვრცელი სამაროვნის  
სხვა საგრძნობლად დამორბეულ უბანს უნდა შეადგენდეს ის 29 მეტწილად  
საოჯახო სამარხი (19 ფილაქციით ნაგები, ხოლო 10 — ორმოსამარხი), რომლე-  
ბიც 1959 წელს გაითხარა, 1949 წელს ნათხართა ჩრდილო-დასავლეთით, რამ-  
დენიმე ასეულ მეტრზე და რომელთაგან მხოლოდ 8 შეიცავდა ინვენტარს, რო-  
მელთა ხნოვანება შეიძლება გავრცელდეს დაზარჩენებზედაც. ადრეფეოდალურ  
ხანას (დაუნაწევრებლაც) მიეკუთვნება იმ რამდენიმე მოზრდილი, რიყის ქვი-  
თა და თიხით ამოყვანილი შენობის ნაშთი, რომლებიც 1959 წელს გაითხარა  
ახალი ხიდის თავის მახლობლად, მტკვრის ქალისზედა ტერასაზე. შენობები  
მიწასთან მოსწორებული და გაუსახურებული იყო, მათში მოპოვებული საო-  
ჯახო კერამიკა კონკრეტულად ვერ თარიღდებოდა, მაგრამ იმის მიხედვით, რომ  
მოჭიქული კურჭლისა თუ მინის სამაჯურის არც ერთი ნატეხი არ გამოჩენულა  
მონაპოვარში, შეგვიძლია დანამდვილებით დავასკვნათ, რომ აქ IX საუკუნე-  
ზე უფრო გვიანდელი ფენა არსად არა ვეჭონია<sup>36</sup>. შედარებით უფრო კონკრე-  
ტულად გვიჩვენება (ბიზანტიური, VII ს-ის ვერცხლის ფულისა და ბერძულ  
წარწერიანი ქვის საბეჭდვის მიხედვით) იმ „მარან-ბელღების“ ხნოვანება, რო-  
მელთა მცირე ნაშთი გაითხარა 1949 წელს, ზედ IV—V სს. ორმო-სამარხების  
თავზე. მარცხენა ნაპირზე, ციხეს გარეთა ნაქალაქარის ადგილას რომ ადრე-  
ფეოდალური ხანის დაწყებითს ეტაპზედვე ყოფილა სამოსახლო, ამას მოწმობს  
ზემოთ, თავის ადგილას აღნიშნული თითო-ოროლა, მაგრამ ხნოვანების მხრივ  
სავსებით მკაფიოდ შემოფარგლული ნივთი — სამარხეული თუ ნასახლარები-  
დან მომდინარე (რაც ახლა ჩვენთვის სულ ერთია). ეს იყო: სასანური ქვის  
გემიანი საბეჭდავი, პირველი ნიშანი სასანური სპარსეთის ვავლენისა, საინ-  
ძის მარჯნის თავი (მცხეთური ტიპისა, ბროწეულის ყვავილის გამომხატველი),  
ბიზანტიური, VI საუკუნის მონეტა, რომელიც სხვათა შორის, პირველი მოქს-  
წავებელია რუსთავის შორეული ეკონომიკური კავშირების და სხვა. რაც  
შეეხება ზოგადად იმავე დროის სამაროვანს, რომელიც ამ სამოსახლოს უნდა

35 ასეთივე ვითარება ურბნისში (სადაც აშკარად IV—V სს-თა სამაროვნებშია ბევრი  
სამარხი, აშენებული ჯერ კიდევ ანტიკური სტანდარტის კრამიტისაგან) და უქარმანში, სადაც  
დასტანგ გორგასლის დროინდელი ნაშენობათა დასაბურავად მხოლოდ იმ სტანდარტის კრამი-  
ტია გამოყენებული.

36 თავის დროზე ასეთივე დასკვნა გამოციტანეთ ურბნისში გათხრილ ნაშენობათა ნაშთე-  
ბას შესახებ და როგორც შემდგომმა კვლევამაც დაგვიჩვენა არ შეგვიძლია ვთქვათ (იხ. ჩვენა  
„ურბნისის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი“, № 4, თბ., 1964).



კუთვნივობა, მას თვალნათლივ გვიანშნებს ჯერ კიდევ 1949 წლამდე რამდენ-  
საშე ადგილას გათხრილი ჯგუფები ფილაქციით ნაშენი სამაროვნებისა და  
მელოთაგან ზოგი შეიკავდა VI—VIII სს-თვის დამახასიათებელ სამკაულსა და  
ორიოდე სხვა ნივთს, ხოლო ეს ხნოვანება მთელ სამაროვანზე გავრცელა  
გათხრილმა მართებულად.

ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის განმავლობაში მტკვრის ორსავე მხარე-  
ზე ჩანს მოზრდილი (გაიხსენოთ მ. ივანშინკოს ვარაუდი, 20000 სული  
ცხოვრობდა) მნიშვნელოვანი, უკვე ინტენსიურად მცხოვრები სამოსახლო და  
სწელი სათქმელიც კია; თუ რომელი სკარბობს.

მაგრამ მარცხენა ნაპირზე შესწავლილ კომპლექსთა შორის არის უმნიშვნე-  
ლოვანესი — ნაციხარი, რომლის შესატყვისი გაღმა არა მოიპოვება რა და  
რომელმაც გამოგვიჩინა სწორედ ადრეფეოდალური დროისა და კერძოდ, მისი  
საწყისი ეტაპისათვის მისაკუთვნილებელი რამდენიმე დიდი ძეგლი. ისე რომ,  
აქ აღარა ვართ იძულებული თითო-ორილა შემთხვევით სამკაულს, ჭურჭელს  
თუ მონეტას დავეყრდნოთ (აქვე დავსქენთ, რომ ციხის შემდგომი რთული  
თავგადასავლის შედეგად, ამ ციხისთვის უძველესი ფენებისა მხოლოდ ნაგლე-  
ჯები თუ გადარჩენილა და იმდროინდელ ნაგებობათა ნაშთებიც კი მერმინდელი  
„კულტურული დანალექით“ ავსილა). ოთხი კამპანიის განმავლობაში ვულდას-  
ნით დაკვირვებამ ჩვენთვის უეჭველყო, რომ ციხის ზღუდის ზოგ უბანზე —  
შეტადრე არხს გასწვრივ ფსაადზე შემორჩენილია, თითქმის ხელუხლებლად  
(ე. ი. არც ძალიან დანგრეულია და ამიტომ არც საფუძვლიანად შეუქცობიანთ  
თუ აღუდგენიანთ ხოლმე), თავდაპირველი პერანგი, რომელშიც შეგვიძლია და-  
ვინახოთ ზოგი რამ, ჯერ კიდევ გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი  
მშენებლობის ტექნიკისა და მხატვრული იერისაგან შემორჩენილია. ამ უბანზე  
პერანგის შემადგენელი ქვები ძალზე გამოფიტული და გაცვეთილია, რაც აგ-  
რეთვე მოწმობს მათ დიდ სიძველეს. პერანგი შედგება დიდრონი, რამდენადმე  
გამობურცული, ერთიმეორეზე ძალიან მჭიდროდ მორგებული ქვათილებისა-  
გან, რომელთა შორის არც ავტრები ყოფილა დატანებული, არც რიყის ქვები და,  
მით უმეტეს არც ხელახლა გამოყენებული არქიტექტურული დეტალები (რასაც  
წმირად ვხედავთ სხვა უბანზე, მერმინდელი შეკეთების გამო). რაც შეეხება  
ზღუდის თავდაპირველ პროფილს, ამ ცოცხლად შემორჩენილი ნაწილების მი-  
ხედვით, მას ახასიათებს მალიმილ გამოწვდილი ნაბეგარწროული, ყრუ ბურ-  
ჯები — რიგ-რიგობით დიდ-პატარა.

ციხის გაღვენის თავდაპირველი ნაშენობის ტოლი უნდა იყოს მის შიგ-  
ნით, ჩრდილო-დასავლეთი კედლის მახლობლად გათხრილი ქვიტკირის დიდი,  
ოთხსენაკიანი, კაპიტალური ნაგებობა (რომელსაც ყველა დანარჩენთაგან გან-  
სხვავებით, კედლები დიდრონი ნატეხი ქვითა აქვს ამოყვანილი და არა რიყის  
ქვით) და მასზე მიშენებული, ბირწმინდად აგურით აშენებული აბანო, რომლის  
აღნაგობაშიც თვალნათლივ ჩანს გვიანანტიკური დროის ორი მცხეთური აბანო-  
სათვის დამახასიათებელი ზოგი დეტალი (ისევე, როგორც ურბნისში 1956 წელს  
გათხრილ აბანოში). არ იქნება დაუშვებელი, თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს აბა-  
ნო, მიდგმული ნაგებობა, ციხის შიგნით მჯდარ ხელისუფლის სასახლე თუ არა,  
სასახლს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უჯრედი მაინც უნდა ყოფილიყო.

თხრის მიმდინარეობისას თანდათან შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ზღუ-  
დეს შიგნით უნდა მდგარიყო ძველი — „კეთილშენი“ და კარგად მორთული,  
თლილი ქვით შემოსილი საყდარი. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა ქრო-  
ნოლოგიური თუ მნიშვნელობრივი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო ამ დღემ-  
დე კიდევ მხოლოდ ნაგულისხმევი საყდრისა და იმ საყდარს შორის,

რომლის გაუსახურებელი ნაშთებიც 1951 წელს გაითხარა ჩაქალიქარის რუს  
გალქა მდებარე უბანში და როგორ უნდა „განაწილდეს“ მით შორის მდებარე  
ოდე დეტალი ჩუქურთმისა და თუ სხვა დეკორისა, რომლებიც სადღესასწაულებ  
გვებოძებენ — მიწიდან ამოთხრილი, ჯერაც ციხის მერმინდელ პერანგში ჩარ-  
თული, თუ იქიდან ამოძრობილი. შესაძლოა, ეს დეკორი სულაც ციხეზე მდგარ  
საყდარს ეკუთვნოდა, როგორც უფრო მნიშვნელოვანსა და ამიტომ უფრო სა-  
იმედოდ დაცულს?

როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ახლაც, უმჯველია, რომ ზე-  
მოაღნიშნული დეტალები დეკორისა და აგრეთვე ის რამდენიმე ათეული დი-  
დი, მოკრძო ქვათილი, რომლებიც ციხის ჩრდილო კედლის შეკეთებულ პე-  
რანგშია რამდენიმე წყებად ჩართული, სრულიად თავისუფლად შეიძლება მი-  
ეკუთვნოს საკმაოდ დიდსა და მართლაც „კეთილშენ“ ეკლესიას, დეკორის მო-  
ტივებისა (ყერძოდ, ორი „ბოლნური“ ჯვრისა) და მეჩხრად დაკბილული ლე-  
ვილად შესაფერისი იქნებოდა ვახტანგ გორგასლის მიერ სხვა საერისთაო  
ცენტრთან ერთად, კუხეთის ცენტრში, რუსთავეში დასწული ეპისკოპოსის საყ-  
დრისა. მართალია, ზოგი ჩუქურთმის ნატეხი სპეცილისტებმა აღრეფეოლა-  
ლური ხანის მომდევნო საფეხურს, VIII—IX საუკუნეებს უფრო მიაკუთვნეს,  
მაგრამ ეგებ სწორედ ისინი ეკუთვნოდნენ მეორე, ციხისგარეთა ეკლესიას?  
ვახტანგის დროინდელ ტაძარს ისიც დაუკერს მხარს, რომ ციხის პერანგში  
ჩართული ზოგი საზოგადოებრივი მათი შემსწავლელის, თ. ბარნაველის წინასწარი  
ვარაუდით, შეიძლება კედლის დეკორს ეკუთვნოდეს, სწორედ ჩვენნი (მაგ., ბოლნისში,  
წოფში და სხვ.) აღრეფეოლალური ხანის დამდევს ღიდად გავრცელებულ  
ტაძრების მახლობლად აღმართულ სტალებს ეკუთვნოდნენ.

თუ მართლაც მიაკვლია, საბოლოოდ, ექ-პედიციამ ამ უმჯველესი ეკლესიის,  
საკუთრივ შენობის ნაშთს ციხის შიგნით, მაშინ გამართლდება მისი წინას-  
წარი აზრი იმის შესახებ, რომ ერთბაშის სასახლეც, მთავარი ტაძარიცა და,  
მასთანადამე, ეპისკოპოსის სადგომიც შიგ ციხეში უნდა მდგარიყო, მით უმეტეს,  
რომ ზღუდეს გარეთ სიმედო დამცველი ნაგებობა არაფერი ჰქონდა. ამას მხარს  
დაუჭერს სვეტიცხოვლის გალავანში წელს ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს მიერ წარმო-  
ებული თხრის შედეგად წარმოდგარი სურათი, რომელიც გვამცნობს, რომ  
ჩვენთვის, აქამოდ საყურადღებო ხანაში მეფის სასახლე, უმნიშვნელოვანესი  
ტაძარი და ეპისკოპოსის სადგომი ტერიტორიულად ერთად შეჭკუვებულად  
ყოფილა და, ჩანს, საერთო გალავნით შემოზღუდვულიც.

დასასრულ, ამავე ხანას უნდა მიეკუთვნოს ის ღრმად გამოვლენილი ნაშ-  
თები დიდრონი კუთხული ქვებით ამოყვანილი ორი ნაგებობისა, რომელთაგან  
ერთმა ციხის შიგნით იპოვა თავი, ერთმა — გარეთ და რომლებიც გვაფიქრე-  
ბინებენ, რომ მერმინდელ, რაყის ქვით ნაშენ სახლებთან შედარებით აღრეფე-  
ოლალურ ხანაში თითქმის ნაკლები, მაგრამ უფრო კაპიტალურად უშენებიათ  
(ესეც ანტიკურის გადმოჩანსით მოვლენა ხომ არ არის?).

მომდევნო, შუაფეოდალური ხანა, როგორც უკვე რამდენჯერმე ითქვა,  
ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი (თუმცა კი ნაკლებ საინტერესო), მეტწილად  
რაყის ქვა — თიხის საცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობებით არის წარ-  
მოდგენილი ციხეშიცა და მის გარეთაც. ისინი ორივეგან შეიცავდნენ დიდძალ  
არქეოლოგიურ მასალას, რომელიც ასევე დიდ უმეტესობას შეადგენენ ექსპედი-  
ციის მონაპოვრისა. თვით შუაფეოდალური ხანის ნანგრევთა შორის ორივე  
უბანზე მკაფიოდ გამოიჩინოდა დანგრევა-განახლების სამი თუ ორი, ორი



ეტაბი მინც. განსაკუთრებით მკაფიოდ იჩინა თავი ამ ეტაპებმა (რომელთა შორის სატყვისი ფენები ნახანძრევით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი) ციხის გიერთ კუთხეში. თვით ციხის ზღუდის პერანგის დიდი ნაწილის კაპიტალური კანახლება და სამისოდ თავისებური, ჩვენში ბევრ ადგილას (თბილისის ციხეში, არმაზის მონასტერში და სხვ.) დამოწმებული თავისებური წყობის — აგურებით „შემოჩარჩობული“ დიდრონი ქვათილებების — გამოყენება აგრეთვე შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნის. ოღონდ, იმის გამო, რომ ამ წყობაში სრულიად დაუზრდებლად არის გამოყენებული სწორედ ძველი ქართული ტაძრის ქვათილებები, დეკორის თუ სტელათა ნატეხები, გვექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამის ჩამდენი უნდა იყვნენ თურქ-სელჩუკები, XI საუკუნეში ძალიან მკვიდრად ჩამხსდარნი, აღმოსავლეთ საქართველოს. სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად, რუსთავეცი — სანამ დავით აღმაშენებლის ჯარმა არ გარეჯა ისინი იქიდანაც (1115 წელს). შესაძლოა თვით ის საყდარიც სწორედ მათ მიერ იყოს ესოდენ გულდაგულ დარღვეული და ისე განადგურებული, რომ ჯერ საძიკველიც კი არსად ჩანს.

პირობით სწორედ თურქ-სელჩუკების მიერ ციხე-ქალაქის დაპყრობის (ცხადია არა უმეტყვენულოდ მომხდარს) უნდა მიეწეროს, ჯერ ერთი, მარჯვენა ნაპირის სამოსახლოს თითქმის სულ მოსპობა და მეორეც, ზღუდის ისე დანაწევრება, რომ ძალზე შესაკეთებელი გამხდარა და აგრეთვე ის ნახანძრევი, რომელიც შუაფეოდალური ხანის უძველესა და მომდევნო ფენებს გამოცნავს. მეორე ნახანძრევი ეგებ მათი ვარეკოსათვის ბრძოლის შედეგი იყოს, მესამე და ყველაზე ძლიერი კი ბერქა-ყაენის მიერ ქალაქის მძვინვარე აკლება-განადგურებისა, რომლის შემდეგ თვით ქალაქს ვეღარც წამოუწევია წელი, ხოლო ციხეზე მხოლოდ ნაწილობრივ უწარმოებიათ მშენებლობა.

ციხე-ქალაქის ისტორიის ყველაზე უფრო მჩქეფარე, მაქსიმალური გაზრდა-განვითარებისა და ეკონომიური მოღონიერების ხანა, არქეოლოგიური გათხრის მიხედვით ყოფილა ის საუკუნე-ნახევარი, რომელსაც სელჩუკთა განდევნიდან ბერქას ლაშქრობამდე გაუვლია. იმდროინდელია ყველაზე უფრო ინტენსიური ცხოვრებისა, საწარმოო საქმიანობისა (კერძოდ, კერამიკის, მინის, ლითონის საგნებისა და სამკაულის წარმოების, მიწათმოქმედების) და ცხოველი ეკონომიკური ურთიერთობის მომასწავებელი (უამრავი მონეტა) არქეოლოგიური ფაქტები, რომლებიც რუსთავეს მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრად წარმოგვიდგენენ დავით — თამარის საქართველოში.

მონღოლთა მიერ მიწასთან მოსწორებული ქალაქის ადგილი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ განახლებულა და ისიც ფრიად მცირე ტერიტორიული გაქანებით — ჩანს, სოფლის სახით. სწორედ ამით აისახება, რომ ათიოდე საუკუნის განმავლობაში რუსთავეს მჭდარს „რუსთაველ ეპისკოპოსს“ წოდება კი იგივე შეუნარჩუნებია, მაგრამ ძალაუფლებურად მოხდომია მარტყოფში გადაბინავება, რაც ფრიად ყურადსაღები ფაქტია.

გამაჰმადიანებულმა ერეკლე პირველმა ანუ ნაზარ-ალი ხანმა რომ რუსთავის ნაციხვარზე მოაწყო საზამთრო რეზიდენცია, ამისა სრულიად უტყუარი და მეტყველი არქეოლოგიური მოწმობა გამოავლინა ექსპედიციამ 1959 და 1962 წწ. თბრისას. ეს არის თვით სასახლის ძალზე დანგრეული ნაშთი (დაღუპულ ადამიანთა ჩონჩხების შემცველი), გარედან მიშენებული (სპარსულ ყაიდაზე მოწყობილი, აგურით ნაშენი, აბაზანებიანი და ფრესკულად მოხატული ნალესობით შემკული) აბანო, გრემის XVII საუკუნის აბანოს დიდად მიგავსი და გადანგრეული ზღუდე-ბურჯების შევსება-აღდგენის მიზნით 4 დენიშე



ადგილას ამოყვანილი ალიზ-დულაბის წყობა. თვალნათლივ გამოჩნდა მხოლოდ მას აგრეთვე ნაზარ-ალი-ხანის ამ „ბუღის“ ეკატანე VI-ის ბრძანებით განზრახ — ჩანს, აფეთქებით — დაზარალებულ დემონსტრაციული მოსპობის ნაგავლეიცა როგორც უკვე ითქვა.

ერთიც უნდა აღინიშნოს, 1950 წელს ვათბრილი, გვიანფეოდალური დროის ორმოსამარხების მიხედვით, საფიქრებელია, რომ რუსთავში დამკვიდრებულ ნაზარ-ალი-ხანს იქ ქრისტიანი მოსახლეობაც დახვედრია. ეს ალბათ სწორედ ის სოფელი იყო, „ნარუსთაველზე“ რომ მიაწვ ამოცენებულა და, წერილობითი საბუთების მიხედვით — აბრეშუმით იხდიდა გადასახადს (რუსთავთან მტკვრის ქალაში ახლაც მრავლადაა საყვარელ გატყეურებული თუთის ხეები).

ასეთია, ჩვენი ნამუშევრის მიხედვით, ქალაქ რუსთავის „არქეოლოგიური ისტორია“, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, თითქმის საესეებით ემუშეება წერილობით ისტორიას და თან ბევრ რამეში „ნივთიერ ხორცს“ ასხამს მას, ხოლო ბევრ რამეში სრულიად უცნობი მომენტებით ავსებს.

Г. А. ЛОМТАТИДЗЕ

ГОРОД РУСТАВИ ПО АРХЕОЛОГИЧЕСКИМ ПАМЯТНИКАМ  
(АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ ИСТОРИЯ ГОРОДА РУСТАВИ)

(РЕЗЮМЕ)

В работе подытожены важнейшие результаты археологических раскопок, ведущихся в Рустави под руководством автора с 1949 года, небольших разведочных и контрольных раскопок 1944—1948 гг., а также систематических наблюдений и охранных мероприятий, осуществляемых Руставским краеведческим музеем. С другой стороны, прослеживаются данные письменных исторических источников, уделяющих внимание городу, начиная с изложения событий еще раннеэллинистической эпохи и вплоть до позднего средневековья. Археологическая летопись, очерченная в аннотируемой работе, значительно раздвигает как эти хронологические рамки, заходя в глубь бронзовой эпохи (середина II тысячелетия до н. э.), так и территориальный диапазон изучаемого комплекса памятников, включая интересные остатки поселений с могильниками и правобережного участка, который предстает как органический компонент раннесредневекового Рустави.

Основные группы археологических памятников, вскрытых большей частью экспедицией Института истории им. Джавахишвили (в 1949—1951 и 1959—1962 гг.), сведены в рабочую хронологическую шкалу, служащую фундаментом для их периодизации. Шкала эта покрывает период протяжением примерно в 25 столетий, конечно, с различной степенью вскрытия и изученности соответствующих памятников. Особенно бросается в глаза не находящийся пока должного объяснения пробел в шкале, вызванный почти полным отсутствием памятников античной эпохи — во всяком случае в виде тех специфических образцов строительного искусства и малых искусств, которые столь обильно представлены и уже в достаточной степени изучены археологически в таких центрах Грузии античной эпохи, как иберийская столица Мцхета, Урбниси, Уплисцихе, Вани и причерноморская Бичвинта, нес-

смотря на то, что историческая традиция подразумевает наличие и в Рустави наряду с тремя из вышеперечисленных и др. городов (Картли-Иберия) «сильного укрепленного города» уже в эллинистическую эпоху.

Археологическую историю Рустави приходится разбивать на два этапа: 1) этап «пред-Рустави» и 2) этап «собственно Рустави», значительного уже (судя по письменным источникам) города, имеющего довольно мощную крепость, воздвигнутую у начала крайне важного государственного ирригационного сооружения-канала, проведенного из р. Куры в IV веке н. э. С тех же примерно времен Рустави становится и административным центром области Кухети, простирающейся между Картли и Кахети и достигающей среднего течения р. Арагви. Он, и удельный город, и резиденция епископа Руствели — держателя кафедры, учрежденной во второй половине V века, позднее становится резиденцией эристава, но чаще всего остается, по древней традиции, собственностью тех или иных представителей царствующего в Картли, во всей Грузии или в Кахети дома. За этот тринадцативековый период Рустави два раза оккупируется иноземными захватчиками, засевшими в нем, наряду с Тбилиси и другими укрепленными городами Восточной Грузии: арабами в VIII столетии и пришедшими им на смену турками сельджуками во 2-й половине XI столетия. Последние изгоняются из Рустави Давидом Строителем в 1115 году, но спустя ровно полтора века (в 1265 г.) город разоряют и разрушают монголы под водительством хана Берке. К концу XVII века Рустави, задолго до того превратившийся захиревшее до такой степени село, что епископ Руствели переносит свою резиденцию в Марткопи, оживает и частично восстанавливается. Это вызвано тем, что Ираклий первый — в мусульманстве Назар-Али-хан, на месте крепости строит себе зимний дворец. Однако следующий за ним царь Картли, христианин Вахтанг VI демонстративно разрушает его дворец в Рустави. Он же восстанавливает древний Руставский канал. На этом и заканчивается «книжная история» города, возрожденного социализмом лишь в середине 1940-х гг., в виде мощного индустриального очага.

«Пред-Рустави», изучаемый исключительно по археологическим памятникам, уже простирается на обоих берегах р. Куры, однако остается неясным, когда именно начинается тесное сближение этих двух поселений (или групп поселений), важной предпосылкой для чего должно было послужить возведение моста через Куру, крупную реку, служившую в архаичные времена значительным барьером между племенными группами, населявшими ее северные и южные берега. Древнейший из известных на территории нын. Рустави археологических памятников, красный сосуд с черной геометрической росписью, найденный на правом берегу, является типичным образцом именно южно-кавказской керамики среднебронзовой эпохи (Таб. XXI, 1). За ним следуют, на обоих берегах, могильные находки в виде черно-серой лощеной керамики и княжалов и копий, типичных для Восточной Грузии позднебронзовой эпохи; затем погребения с железным оружием и трехгранными бронзовыми стрелами «скифского» типа, а также бронзовыми украшениями (Таб. XXIII, 1—6) на правом берегу и остатки земледельческого поселения с черно-серой керамикой той-же раннежелезной эпохи на левом берегу — в частности на холме под крепостью. (Таб. XIV, XXII). Следующая непосредственно за этим античная эпоха представлена случайным золотым украшением примерно II века н. э., двумя-тремя сосудиками будто бы позднеантичного облика и фрагментами немалочисленных крупных двубортных черепиц, близких по форме и размерам к стандарту того же времени, который, впрочем,



продолжает бытовать в Грузии и в раннем средневековье. Нет ни одной монеты моложе VI века н. э. Нет ни одного сооружения и ни одного погребения н. э., которые можно отнести ко времени раньше IV века.

Именно IV век н. э. и является, судя как по письменным, так и по археологическим материалам, переломным в развитии этого пункта и, по-видимому, временем образования там настоящего города, в чем немалую роль играет, естественно, постройка большого канала, берущего начало именно у крепости, возведенной в те же времена. Первоначальные фортификационные сооружения на холме с остатками древнего поселения, представлены капитальной оградой из рваного камня на извести с частыми полукруглыми выступами, облицованными крупными тесаными блоками, тесно пригнанными друг к другу (таб. 1,2; XVII). Эта первоначальная облицовка сохранилась лишь на отдельных участках ограды, резко выделяясь от последующих восстановлений. Внутри ограды раскопаны остатки капитального сооружения из рваного камня на извести, с небольшой кирпичной баней (таб. IX—XII), устройство которой сохраняет ряд черт, характерных для бань поздантичной эпохи, раскопанных в Мцхета. Комплекс этот, как и несколько фрагментов древнейших стен из крупных блоков, вскрытых глубоко как в крепости, так и во внешнем поселении, относится, видимо, к началу средневековья. К первой половине раннефеодальной эпохи следует отнести и тот христианский храм, фрагменты, характерного архитектурного декора которого использованы вторично, в основном в обновленной облицовке крепостной ограды, видимо, после насильственного разрушения храма. Указанным сооружениям на внешнем поселении соответствуют фрагменты культурного слоя, датированного византийской монетой VI века, рядом украшений и отдельными стеклянными и глиняными сосудами, а также каменная пещера, некоторые погребения которого содержат инвентарь (таб. XXV—XXVI) характерный для раннехристианской Картли-Иберии. Такой же комплекс памятников-остатки жилых помещений (с винохранилищем и зерновыми) ямами с серебряной византийской монетой VII века и могильник, часть которого содержит инвентарь (иногда золотые украшения, изящные стеклянные сосуды, возможно, местного изготовления и др.), датированный IV—VI веками н. э. Следует отметить, что с конца раннефеодальной эпохи поселение на правом берегу, бывшее до того густым и оживленным, почти исчезает, возможно, в связи с тяжелыми нашествиями турок-сельджуков (во второй половине XI века), засевших под конец в крепости на левом берегу.

Среднефеодальная эпоха распадается в истории города на два этапа: первый ознаменован турко-сельджукской оккупацией, а второй начинается после изгнания турок и заканчивается разрушением города монголами. Второй и является временем наибольшего роста, многолюдности и процветания города, сосредоточившегося уже на левом берегу, вокруг крепости. К первому этапу условно относится большое восстановление крепостной ограды, отмеченное пренебрежительным отношением к деталям разрушенного раннего христианского храма, их использованием в качестве строительного материала для облицовки (таб. II). Три резких потрясения в жизни города, отмеченные слоями пожарищ и двух восстановлений, прослеживаются как внутри ограды, так и во внешнем поселении. Обильные находки на обоих участках (разнообразнейшие керамика и стекло, украшения, орудия и оружие, монеты, клады, церковная утварь (таб. XXXI—XXXIX), а также ряд жилищно-хозяйственных комплексов, остатки сооружений с очагами, винными кувшинами, хлебными печами — «тоне», зерновыми

16.02.57 30  
210-111033

ямами, зернотерками, жерновами запасами семян с многочисленными костными остатками различных домашних животных и т. д.) дают представление о городе указанной эпохи, о хозяйственном и культурном облике его жителей, не отрывавшихся и от интенсивного земледелия и скотоводства. Многочисленные материальные остатки свидетельствуют о производственных занятиях горожан, о гончарном, стеклоделательном, кузнечном, металлопластическом, ювелирном и др. ремеслах, а исключительно многочисленные монеты (в подавляющем большинстве грузинской чеканки XII—XIII вв.) и несколько кладов различного объема, зарытых как в самой крепости, так и во внешнем поселении, говорят об интенсивной торговой жизни города, об его соответствующих связях, а также о периодически урожаивавших городу опасностях. Наконец, ряд явно импортных изделий, бытовавших среди более состоятельных горожан, указывает на более или менее дальние экономические сношения руставских кушцов, не говоря уже о живом обмене производственным опытом ремесленников и продукцией с другими городами Грузии.

Конец расцвету положила монгольщина, в частности, закавказский поход Берке-хана в 1265 г., который видимо, уничтожил город Рустави (как крепость, так и внешние кварталы погибли от огня и меча), а после этого события археологический материал становится sporadическим и спорным, т. к. остается, видимо, лишь село.
